

178

1981

12

ISSN 0132-5981

საქართველოს
საზოგადოებრივი
მედიის ცენტრი


საქართველო საზოგადოებრივი მედიის ცენტრი



1981



ՀԱՅԱՍՏԱՆԻ
ՆԱԽԱՐԱՐԱԿԱՆ





პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველო საენციკლოპედია

№ 2

მარტი
აპრილი
1981 წელი

შურნალი გამოდის 1928 წლის 1 მარტიდან

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს, კროპუჩატურისა და უმაღლესი სასამართლოს მეცნიერულ-კრეატიული შურნალი

უ ი ნ ა ა რ ს ი

განვახორციელოთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებები	3
რ. შენგელია — სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებები და იურიდიული კადრების მომზადების ამოცანები	8
გ. ტყეშელაძე — ღირებულების პრობლემა და სამართალი	16
ბ. სავანელი — ადამიანის გენეტიკის ზოგიერთი სოციალური და ეთიკურ-სამართლებრივი პრობლემა.	24
ა. გაბიანი, მ. დიდებულიძე — ქალაქსა და სოფელში დამნაშავეობის შესწავლის ზოგიერთი თეორიული და მეთოდოლოგიური საკითხი	73
ა. კობახიძე — განაჩენის სარეზოლუციო ნაწილი	40
ე. ხითაიშვილი — აღკვეთით მოქალაქეთა უკანონო მსჯავრდადების ფაქტები	49
გ. კვანტალიანი — ვადაეპციით თბილისის სანიმუშო წესრიგის ქალაქად	55
მექრთამეთა ჭგუფი მხილებულია	54
ქალთა საერთაშორისო დღისათვის	69
პროფ. ნ. წარბაქიძის დაბადების 75-ე წლისთავის გამო	
მ. კობახიძე, ი. სიხარულიძე — ფართო სამეცნიერო-პედაგოგიურ და საზოგადოებრივ სარბიელზე	72
ოფიციალური მასალა	75
ინფორმაცია	77
ბეკროლოგი	79

СОДЕРЖАНИЕ

Решения XXVI съезда КПСС — в жизнь!	3
Р. Шенгелия — Решения XXVI съезда КПСС и задачи подготовки юридических кадров	8
Г. Ткешелнадзе — Проблема ценности и право	16
Б. Саванели — Некоторые социальные и этическое-правовые проблемы генетики человека	24
А. Габiani, М. Дидебулидзе — Некоторые теоретические и методические вопросы изучения преступности в городе и на селе	33
А. Кобахидзе — Резолютивная часть приговора	40
Э. Хитаришвили — Искоренить факты незаконного осуждения граждан	49
Г. Кванталиани — Превратим Тбилиси в город образцового порядка	55
Группа взяточников разоблачена	64
К международному Дню женщины	69

К 70-ЛЕТИЮ ПРОФ. Н. ЦЕРЕТЕЛИ

М. Комахидзе, И. Сихарулидзе — На широком научно-педагогическом и общественном поприще	72
Официальный материал	75
Информация	77
Некрологи	79



სარედაქციო კოლეგია:

- ო. კაციტაძე (მთ. რედაქტორი), ლ. ალექსიძე, ა. ბარაბაძე,
- გ. ბერძენიშვილი (პ/მგ მდივანი), გ. ინწკირველი, აკ. კარანაძე,
- მ. ლეკვეიშვილი, გ. ტყეშელიაძე, ვ. ქვაჩახია, ა. შუშანაშვილი,
- ა. ხოჭოლავა, ს. ჯორბენაძე

© „საბჭოთა სამართალი“, 1981 წ.

რედაქციის მისამართი, თბილისი, ალშანოვის კრ. 103. ტ 95.58.87, 95.88.49.

გადაეცა ასაწყობად 15.IV.81 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 24.VI.81 წ.,
 ფორმატე 70×108¹/₁₆, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 5, პირობითი ნაბეჭდი
 ფურცელი 7. სააღრიცხვო-საგამომცემლო თანახმა 7,5
 შეკვ. № 1121 ტირაჟი 15.150 უე 08473



განჯახორცილოთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებები

ძიმიანარე წლის 23 თებერვალს გაიხსნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობა, რომლის მუშაობა რვა დღეს გაგრძელდა. ღენინის პარტიის ყრილობები ყოველთვის წარმოადგენენ უმნიშვნელოვანეს ისტორიულ ნიშანსებებს და უდიდეს როლს ასრულებენ არა მარტო ჩვენი ქვეყნის, არამედ საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის, კაცობრიობის პროგრესული ნაწილის, მთელი პლანეტის ცხოვრებაში. სკკპ XXVI ყრილობა, რომელიც უჩვეულოდ მაღალი ორგანიზებულობის და ერთსულოვნების ვითარებაში ჩატარდა, მაინც შეუდარებელია დასახული დიდი ამოცანებით და მკაფიო პერსპექტივებით, საკითხების განხილვის ხიღრმითა და მასშტაბურობით, მარქსიზმ-ლენინიზმისადმი უსაზღვრო ერთგულებით. XXVI ყრილობა ყველაზე წარმომადგენლობითია პარტიის ისტორიაში. მის საქმიანობაში მონაწილეობდა თითქმის 18 მილიონი კომუნისტის მიერ წარგზავნილი ნდობით აღჭურვილი 5.000-დე დელეგატი, აგრეთვე საზღვარგარეთის 100 ქვეყნის კომუნისტური, მუშათა, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიებისა და ორგანიზაციების 128 დელეგაცია.

ყრილობის დელეგატებმა, აგრეთვე სტუმრებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს და ერთხმად მოიწონეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენება „სკკპ ცენტრალური კომიტეტის ანგარიში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობისადმი და პარტიის მორიგი ამოცანები საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში“. მოხსენება და ყრილობის მიერ მიღებული დოკუმენტები მარქსისტულ-ლენინური თეორიის შემოქმედებითი განვითარების ნიშნებია. მათში ყოველმხრივ არის შეჯამებული და გაანალიზებული მსოფლიო-ისტორიული მიღწევები, ჩვენმა ქვეყანამ რომ მოიპოვა მათე ხუთწლედის მანძილზე სოციალ-პოლიტიკური ცხოვრების ყველა დარგში. ყრილობამ დასაბამი მისცა სოციალისტური დემოკრატიის სრულყოფის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს მართვაში საბჭოთა მოქალაქეების მონაწილეობის გაფართოების ახალ ეტაპს.

სკკპ XXVI ყრილობამ განსაზღვრა მომავალი განვითარების ძირითადი ტენდენციები, ჩვენი ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის მიმართულებანი ხანგრძლივი პერიოდისათვის. ყრილობა ახალ ეტაპს მოასწავებს საბჭოთა საზოგადოების, მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების, სოციალური პრობლემის გადაწყვეტის მხრივაც. ეჭვი არ არის რომ კომუნისტური პარტიის ისტორიაში იგი განსაკუთრებულ ადგილს დაიკავებს.

პარტიის სოციალურ-ეკონომიკური სტრატეგია მთლიანად ოთხმოციანი წლებისათვის შესანიშნავად არის გადმოცემული და დასაბუთებული ხსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ტხოზოვის მოხსენებაში „ხსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარება 1981-1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებანი“. მეთერთმეტე ხუთწლიანი გეგმა, რომელიც ყრილობამ ამ მოხსენების საფუძველზე მიიღო, ითვალისწინებს საბჭოთა ხალხის მატერიალური და კულტურული ცხოვრების დონის მნიშვნელოვან ზრდას, სამრეწველო და სოფლის მეურნეობის საწარმოებში მეცნიერების უახლეს მიღწევათა დანერგვას, წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას, კომუნისმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნას. მოხსენებაში ხაზგასმით ითქვა, თუ როგორ იქცა დღეს პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს მთავარ პოლიტიკად ეკონომიკა, რომლის წარმატებამაც მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული ჩვენი საზოგადოების წინსვლა კომუნისმისაკენ და სოციალისტური სახელმწიფოს საერთაშორისო პოზიციების განმტკიცება.

ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებაში დიდი ადგილი დაეთმო საბჭოთა პოლიტიკური სისტემის, სოციალისტური სახელმწიფოსა და დემოკრატიის, სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში სამართლებრივი საფუძვლების განმტკიცების საკითხებს. მოხსენებაში მაღალი შეფასება მიეცა იუსტიციის, სასამართლოს, პროკურატურის, შინაგან საქმეთა და სახელმწიფო უშიშროების ორგანოების საქმიანობას, აღინიშნა, თუ რა დიდ როლს ასრულებენ ისინი კანონიერებისა და დისციპლინის განმტკიცებაში, დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

პარტია ყოველთვის დიდ ყურადღებას უთმობდა საბჭოთა ადამიანების აღზრდას კომუნისტური სულისკვეთებით, მათს შეგნებაში კერძომესაკუთრული, ინდივიდუალისტურ-ეგოისტური გადმონაშთების აღმოფხვრას. ამ ამოცანების გადაწყვეტის მნიშვნელობა ამჟამად, სკკპ XXVI ყრილობის შემდეგ კიდევ უფრო იზრდება. ამისათვის ყველა პირობას ქმნის მშრომელთა მატერიალური უზრუნველყოფის, კულტურული დონისა და შეგნების განუხრელი ზრდა. ეს კი მოითხოვს, რომ მკაცრად ვიბრძოდეთ უწესობის, ჩვენთვის უცხო წეს-ჩვეულებათა მატარებელი პირების წინააღმდეგ, რადგან მათი ქცევა ვერ ეგუება საბჭოთა წყობილების ბუნებას, იწვევს ხალხის სამართლიან გულისწყრომას და მისი შეწყენარება დაუშვებელია. აუცილებელია გავით-

ვალისწინოთ, რომ დამანაშავეობისა და სხვა ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლა წარმოებს უკლებლივ ყველა პათიოსანი მშრომლის ინტერესებისათვის, ამიტომ ამ საქმეში უშუალო მონაწილეობა პარტიული ორგანოების, სახალხო დეპუტატთა საბჭოების, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების, თვით საზოგადოებრიობის გადაუღებელ ამოცანად არის მიჩნეული. ყრილობაზე ითქვა, რომ საბჭოებში თითქმის მილიონი კომუნისტი დეპუტატია, რომელთა ავტორიტეტსა და გამოცდილებას შეუძლია გადაწყვეტი როლი შეასრულოს ხანმოშუო წესრიგის დამყარებაში.

ბოლო ხანს სახალხო დეპუტატების საბჭოების საქმიანობა დემოკრატიზმის პრინციპების დაცვისა და მუშაობაში საჭაროების შემდგომი გაღრმავების საფუძველზე საგრძნობლად გაუმჯობესდა. პრაქტიკაში მკვიდრდება საჭაროება სესიების მომზადებისას, საკითხების შესწავლისა და რეკომენდაციების შემუშავებისას. ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმები, უმნიშვნელოვანესი დადგენილებები განიხილება მოსახლეობის მონაწილეობით.

ამასთან, ზოგან არ ხორციელდება ღონისძიებანი სოციალისტური დემოკრატიის, კოლექტიური ხელმძღვანელობის განვითარებისა და სრულყოფისათვის, ცოტა რამ კეთდება დეპუტატების წინადადებათა მხარდასაჭერად, მათი ავტორიტეტის ასამაღლებლად. უფრო მეტიც, ურიგდებიან სახალხო დეპუტატთა სტატუსის შესახებ კანონის დარღვევასაც კი.

ზოგი სამინისტრო და უწყება უგულბებელყოფს დეპუტატთა სტატუსის მშ-ე მუხლის მოიხვეჭას, რომლის მიხედვითაც არ შეიძლება დეპუტატების დათხოვნა აღმინისტრაციის ინიციატივით სამუშაოდან, მათი გარიცხვა კოლმეურნეობიდან ან დისციპლინური წესით დასჯა სახალხო დეპუტატთა შესაბამის საბჭოსთან წინასწარ შეთანხმებულად. ამ მუხლის მოთხოვნებს არ იცავენ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის, მუშაუბი მრეწველობის, ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროები. თანამდებობის მიუხედავად მკაცრი პასუხი უნდა მოეთხოვოს ყველას, ვინც უხეშად არღვევს კანონს სახალხო დეპუტატთა სტატუსის შესახებ.


თავის მოხსენებაში ლ. ი. ბრეუნევი აღნიშნა, რომ „სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებაში დიდა იუსტიციის, სასამართლოს, პროკურატურის ორგანოების, საბჭოთა მილიციის პასუხისმგებლობა. ამ ორგანოების მუშაკთა პროფესიული ცოდნა უნდა ერწყმოდეს მოქალაქეობრივ მამაცობას, მოუსყიდავობასა და სამართლიანობას. მხოლოდ ასეთ ადამიანებს შეუძლიათ ღირსეულად შეასრულონ დაკისრებული სერიოზული მოვალეობანი. საბჭოთა ხალხს უფლება აქვს მოითხოვოს, რომ მათი მუშაობა მაქსიმალურად ეფექტიანი იყოს, რომ ყოველ დანაშაულს ჭეკოვანად იძიებდნენ და დამანაშავეს საკადრისად სჯიდნენ. ამ საქმეში მართლწესრიგის დამცველ ორგანოებს სავსებით დაუტყერს მხარს პარტია, და ეტვი არ მეპარება, მთელი ჩვენი საზოგადოებრიობა“¹.

ეს შეფასება და სახელმძღვანელო მითითებები ზრდის აღმინისტრაციული ორგანოების, მისი თითოეული მუშაკის პასუხისმგებლობას, რომელთა საპატიო მოვალეობაა კვლავაც საიმედოდ დაცვან ყოველგვარი ხელყოფისაგან ჩვენი საზოგადოებრივი წყობილება, სოციალისტური საკუთრება, საბჭოთა მოქალაქეების კანონით გარანტირებული უფლებები და ინტერესები. არც ერთი დანაშაული, კანონიერების დარღვევის არც ერთი ფაქტი არ უნდა დარჩეს სათანადო რეაგირების გარეშე. საჭიროა გამოვავლინოთ ყოველი დანაშაული, ვამხილოთ ყველა დამანაშავე, უზრუნველყოთ, რომ არც ერთი უდანაშაულოდ არ იქნეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული და მსჯავრდებული.

ამ პოზიციებიდან თუ განვიხილავთ სასამართლო და პროკურატურის ორგანოების საქმიანობას, იგი საკმარისად არ უნდა მივიჩნიოთ. ბევრგან საჭირო ყურადღება არ ექცევა დამანაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზაციას, არცთუ იშვიათად სასამართლოს სამსჯავრო სხდომები ტარდება მოუშაადებლად, ეს განსაკუთრებით ითქმის სასამართლოს გამსვლელ სესიებზე, რომლებიც წინასწარ სრულყოფილად არ არის ორგანიზებული. ძალიან ხშირად სასამართლოებს არ აინტერესებთ, თუ რა შედეგი მოხვდა კონკრეტული დანაშაულის აღმოფხვრის თაობაზე სამრეწველო და სოფლის მეურნეობის საწარმოებში, ორგანიზაციებში გაგზავნილ წარდგინებასა და კერძო განჩინებას.

აღმინისტრაციული ორგანოების მუშაკთა ერთი ნაწილი უსულგულობას იჩენს მოქალაქეთა ბედ-იღბლისადმი, არის მოქალაქეთა უკანონო მსჯავრდებულების არაერთი ფაქტი, რაც მოქალაქეთა

¹ ლ. ი. ბრეუნევი. „სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობას და პარტიის მორიგი ამოცანები საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში“, გვ. 109. თბილისი, „საბჭოთა საქართველო“, 1981 წ.



სამართლიან უპაყუფილებას იწვევს. ჩვენი უურნალის ამ ნომერში ქვეყნდება საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის ე. ხითაროშვილის სტატია, რომელშიც ნაჩვენებია, რომ ამ მხრივ მდგომარეობა დამაყუფილებელი ვერ არის. სასამართლოები საქმეებს ჯერ კიდევ კანონის უხეში დარღვევებით განიხილავენ, რასაც შედეგად მოხდეს მოქალაქეთა უსაფუძვლო მსჯავრდადება. არის სხვა ნაკლოვანებებიც, პროკურატურის ორგანოებსა და სასამართლოებში ხშირად არ იცავენ საქმეთა გამოძიებისა და განხილვის ვადებს. ბოლომდე არ არის აღმოფხვრილი სახელმწიფო აღრიცხვიდან დანაშაულის დაფარვის ფაქტები. ასეთი პრაქტიკა ქმნის დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში წარმატების ილუზიას, სინამდვილეში კი ვერ უზრუნველყოფს მის შეპყრობას და მით უმეტეს აღმოფხვრას.

დამნაშავეობის შემცირების საქმეში დიდი როლი უნდა შეასრულოს პროფილაქტიკურმა ღონისძიებებმა. სწორი დასჯით პრაქტიკის განხორციელებასთან ერთად მეტი უნდა ვიწარმოოთ დანაშაულის პროფილაქტიკისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ, არ დავუშვათ იგი.

განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ამჟამად უსაქმურობასთან, მუქთახორობასთან ბრძოლის გაძლიერება. მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ მუქთახორა პოტენციური დამნაშავეა, მუქთახორობა კი დანაშაულის წარმოშობის წყარო. სკკპ XXVI ყრილობაზე სავსებით სამართლიანად ითქვა, რომ „საზოგადოებრივი შრომისათვის თავის არიდება შეუთავსებელია სოციალიზმის პრინციპებთან. ეს კი ნიშნავს, რომ ორგანიზაციული, ფინანსური და იურიდიული საშუალებებით მაგრად უნდა ამოვქოლოთ მუქთახორობის, მექრთამეობის, სპეკულაციის, უშრომელი შემოსავლის, სოციალისტური საკუთრების ყოველგვარი ხელყოფის ყოველგვარი ხერხი“².

ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკები მოვალენი არიან უზრუნველყონ საბჭოთა კანონების უზუსტესი დაცვა. როგორც ლ. ი. ბრეჟნევი აღნიშნა თავის მოხსენებაში სკკპ XXVI ყრილობაზე, „კარგი კანონი ჩვენ საქმოდ გვაქვს მიღებული. ახლა საქმე უწინარეს ყოვლისა ის არის, რომ მათ უზუსტად და განუხრელად ვაზორციელებდეთ. ყოველი კანონი ხომ მხოლოდ მაშინ ცოცხლობს როცა იგი სრულდება,— სრულდება ყველას მიერ და ყველგან“³.

კანონისადმი უპატივცემულობა, მისი შეუხრულებლობა, ვისგანაც უნდა მომდინარეობდეს იგი, შეუწყნარებელია. სამწუხაროდ, ფაქტები მოწმობს, რომ მთელ რიგ სამინისტროებში, უწყებებსა და მათდამი დაქვემდებარებულ ორგანიზაციებში უგულვებელყოფენ კანონის მოთხოვნებს, კერძოდ კი შრომის კანონმდებლობის ელემენტარულ ნორმებს. ბევრ საწარმოში დაბალი შრომის დისციპლინით და შრომის ორგანიზაციაში არსებული ნაკლოვანებებით გამოწვეული სამუშაო დროის დანაკარგები ანაზღაურებელია ზეგანაკვეთური სამუშაოებით, რაც კანონით დაუშვებელია. ირდევია მუშა-მოსამსახურეთა უფლება ყოველწლიური კუთვნილი შვებულებით სარგებლობის შესახებ. მუშა-მოსამსახურეებს სამუშაოდან ითხოვენ პროფკავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივ კომიტეტთან შეუთანხმებლად.

შრომის კანონმდებლობა ხშირად ირდევია საქართველოს სსრ ვაკრობის, კავშირგაბმულობის, მშენებლობის, სასოფლო მშენებლობის, საავტომობილო ტრანსპორტის, სატყეო მეურნეობის, სოფლის მეურნეობის, ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროების, „ცეკავშირის“, ამიერკავკასიის რკინიგზის სამართველოს სისტემებში. ადმინისტრაციულმა, კერძოდ პროკურატურის ორგანოებმა უნდა შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი ამ დარღვევათა შესამცივრებლად.


ყრილობაზე ითქვა, რომ უკანასკნელ ხანს მიღებულია ბევრი ახალი კანონი და ნორმატიული აქტი, რომლებიც აწესრიგებს საბჭოთა ხალხის ცხოვრების სხვადასხვა სფეროს. „ახალი კანონები საშუალებას გვაძლევს უფრო ზედმიწევნით, უფრო უზუსტად მოვაწესრიგოთ საზოგადოებრივ ურთიერთობათა სხვადასხვა მხარე. მუშაობა კანონმდებლობის სრულყოფისათვის კვლავაც გაგრძელდება“⁴.

დიდი შრომატევადი სამუშაო შეასრულა კანონმდებლობის კოდიფიკაციისათვის, ახალ კონსტიტუციასთან მისი შეთანხმებისა და შემდეგ გამოცემისათვის საქართველოს სსრ იუსტიციის სა-

² ლ. ი. ბრეჟნევი. „სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობას და პარტიის მორიგი ამოცანები საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში“. გვ. 99. თბილისი, „საბჭოთა საქართველო“, 1981 წ.

³ იქვე. გვ. 109.

⁴ იქვე. გვ. 109.



მინისტრომ. შემუშავებული და მიღებულია ბევრი მნიშვნელოვანი სამართლებრივი აქტი. ამოცანა ახლა ის არის, რომ ბოლომდე იქნეს მიყვანილი რესპუბლიკის მოქმედი კანონმდებლობის კრებულის გამოცემა როგორც ქართულ, ისე რუსულ ენებზე, დროულად მომზადდეს და დაინტაშბოს კანონთა წიგნი, უზრუნველყოფილ იქნას მათი ხელმოწერით გავრცელება.

სკკპ XXVI ყრილობაზე დიდი ყურადღება დაეთმო მშრომელთა წერილების, განცხადებების, საჩივრების განხილვისა და გადაწყვეტის სრულყოფის, მოქალაქეთა მიღების ორგანიზაციის საკითხებს. სამწუხაროდ, რესპუბლიკის აღმინისტრაციულ ორგანოებს ამ საქმეში სერიოზული ხარვეზები აქვთ. ბევრგან მოუგვარებელია მოქალაქეთა წერილებისა და საჩივრების აღრიცხვაც კი. დაწესებული არ არის სათანადო კონტროლი განცხადებებისა და საჩივრების განხილვისადმი, რის გამოც არ არის აღმოფხვრილი მშრომელთა განცხადებებისადმი ბიუროკრატიული დამოკიდებულების ფაქტები. უხეშად ირღვევა საჩივრების გადაწყვეტის დადგენილი ვადები, რაც განვირგობით საჩივრებს იწვევს. საკმარისი ყურადღება არ ექცევა საჩივრების წარმომშობი მიზეზების გამოვლენასა და აღმოფხვრას. მთელი რიგი ნაკლოვანებებია მოქალაქეთა მიღების საქმეშიც. ხშირად არ იცავენ კანონით დადგენილ წესს მოქალაქეთა მიღების შესახებ.

ამ ცოტა ხნის წინათ საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს კოლეგიამ განიხილა სამინისტროში მოქალაქეთა მიღების ორგანიზაციის, განცხადებების და საჩივრების განხილვის მდგომარეობა და მიიღო ვრცელი დადგენილება გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. 1980 წელს აქ თითქმის 6.000 განცხადება და საჩივარი შემოვიდა, მათ შორის 500-მდე სასამართლოში საქმეთა განხილვის ვადების უხეშად დარღვევის ფაქტის გამო. განა შესაწყნარებელია, რომ თითქმის სამი წელია გრძელდება სასამართლოებში ლ. ქათამაძის სამოქალაქო საქმის განხილვა ორჯონიკიძის რაიონის სახალხო სასამართლოში იგი ხუთჯერ იქნა წარმოებით შეჩერებული, სამჯერ — განუხილველად დატოვებული, 29-ჯერ კი მისი განხილვა გადაიდო. წელიწადი და ხუთი თვე დასჭირდა თბილისის მეთორმეტე სასოტარო კანტორას, რათა დაეკმაყოფილებინა მოქალაქე რ. ზროიჩიკოვას კანონიერი მოთხოვნა, მიეცა ქონების ნაწილზე კუთვნილი მემკვიდრეობის მოწმობა. საკითხი გადაწყდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც რ. ზროიჩიკოვას საჩივარი კონტროლზე აიყვანა სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტრომ. თითქმის ამდენივე ხანი ჭიანურდებოდა კიროვის რაიონის სახალხო სასამართლოში ა. სუჩკოვის აღმასრულებელი ფურცელის შესრულება.


ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რათა აღმოფხვრათ მოქალაქეთა საჩივრებისადმი უსულგულო დამოკიდებულების ფაქტები, გავაძლიეროთ ბრძოლა ფორმალიზმისა და ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ, ავამაღლოთ მუშაკთა პასუხისმგებლობა მინდობილი საქმისათვის. ამ საქმეში უნდა გამოვიყენოთ როგორც მუშაკთა ნდობის, ისე კონტროლის სისტემა.

უკანასკნელ ხანს სკკპ ცენტრალური კომიტეტი დიდ ყურადღებას უთმობს მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმებას. როგორც სკკპ XXVI ყრილობაზე ითქვა, ამ მხრივ ჯერ კიდევ ყველაფერი რიგზე არ არის. ნაკლოვანებათა დიდი ნაწილი გამოწვეულია სწორედ კარგად გააზრებული სისტემატიური კონტროლის უქონლობით. 1981 წლის 7 აპრილს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე გამოსვლისას ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ „კიდევ უფრო მჭიდროდ დავუკავშიროთ საკანონმდებლო მუშაობა მართვასა და კონტროლს... გავაძლიეროთ ცოცხალი ორგანიზატორული მუშაობა, უზრუნველყოთ კანონებისა და გეგმების შესრულებისადმი კონტროლის შედეგიანობა, თანამიმდევრულად განმტკიცდეს საშემსრულებლო დისციპლინა“⁵.

სკკპ XXVI ყრილობის მოთხოვნათა მიხედვით მთელი ჩვენი საქმიანობის გარდასაქმნელად გადაწყვეტილი მნიშვნელობა ენიჭება შრომის და საშემსრულებლო დისციპლინის განმტკიცებას, კადრების პასუხისმგებლობის ამაღლებას, რათა ისინი საერთო-სახელმწიფო ინტერესებს ყველაფერზე მაღლა აყენებდენ. ეს მოითხოვს დავხვეწოთ მუშაობის სტილი და მეთოდები, ვიანაწილოთ ჩვენი საქმიანობისადმი კრიტიკული დამოკიდებულება. „საქმე ეხება მუშაობის ისეთი სტილის შემუშავებას, სადაც საშემსრულებლო დისციპლინა ორგანულად იქნება შეხამებული თამამ ინიციატივასთან და ფინანსთან. პრაქტიკულობა და გერგილიანობა დიადი მიზნისათვის სწრაფვასთან, ნაკლოვანებებისადმი კრიტიკული დამოკიდებულება — ჩვენ მიერ არჩეული გზის ისტორიული უპირატესობის ურყევ რწმენასთან“⁶.

⁵ გაზეთი „კომუნისტი“, 2 აპრილი, 1981 წელი.

⁶ ლ. ი. ბრეჟნევი, „სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობას და პარტიის მორიგი ამოცანები საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში“. გვ. 85, თბილისი: „საბჭოთა საქართველო“, 1981 წ.



კანონიერების განმტკიცებაში თავისი წვლილი შეაქვთ იურიდიული სამსახურის, მშაჩის რაიონის განყოფილების მუშაკებს, ნოტარიუსებსა და ადვოკატებს. საჭიროა რომ კიდევ უფრო გავზარდეთ მომსახურებლობა მათ მიმართ, სრულყოფით ამ კონტიგენტის კადრების შეჩვენება, განაწილება და აღზრდა, რათა აქ მუშაობდნენ ისეთი სპეციალისტები, რომლებსაც თავისი ცოდნით და გამოცდილებით შეუძლიათ პროფესიულად გადაჭრან მათ წინაშე დასახული გავრდილი ამოცანები.

ბოლო ხანს მოსახლეობის სამართლებრივმა აღზრდამ საყოველთაო ხასიათი მიიღო. იურიდიული დისცპლინები ისწავლება საშუალო სკოლებში, ტექნიკუმებში, პროფესიულ-ტექნიკურ და უმაღლეს სასწავლებლებში. რესპუბლიკაში მოქმედობს 34 სამართლის სახალხო უნივერსიტეტი, რომლებშიც 12.000 მსმენელია გაერთიანებული. სამართლის შემსწავლელი წრეებია შექმნილი პიონერთა სახალხესთან, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებთან. სულ ცოტა ხნის წინათ ამაზე მხოლოდ ოცნება თუ შეიძლებოდა. მაგრამ ეს დღეს უკვე აღარ გვაკმაყოფილებს. ცხოვრება წინ მიდის და ახალ ამოცანებს გვიყენებს. სკკპ XXVI ყრილობაზე ითქვა, რომ პროპაგანდის უდიდესი საშუალებები მთლიანად არ არის გამოყენებული, ხშირად არ ითვალისწინებენ ახალ მოვლენებსა და გარემოებებს. ზოგან ამ სწავლებას ფორმალური ხასიათი აქვს. მხოლოდ ამით შეიძლება აიხსნას, რომ ბევრი სამეურნეო ხელმძღვანელი სამართლის ელემენტარულ საკითხებში უცოდინარობას იჩენს, რაც მათი მხრივ იწვევს შრომის კანონმდებლობის უხეშ დარღვევას. რესპუბლიკაში სასამართლოების მიერ უკანასკნელი ორი წლის მანძილზე სამუშაოზე აღდგენილია უკანონოდ დათხოვნილი 758 კაცი. სამართალდამზრდელობითი მუშაობის შეფასების ერთადერთი კრიტერიუმი ის უნდა იყოს, თუ როგორ იცავენ კანონებს რაიონში, ქალაქში, სამრეწველო და სოფლის მეურნეობის საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში.

სკკპ XXVI ყრილობამ დიდი ამოცანები დაუსახა სამეცნიერო დაწესებულებებსა და სწავლულ იურისტებს. ისინი მოვალენი არიან გააფართოონ სამართლებრივი კვლევის ფრონტი, დაამუშაონ უფრო აქტუალური თემები, რომლებიც უშუალოდ ემსახურება სოციალისტური კანონიერების განმტკიცებას, აქტიური მონაწილეობა მიიღონ მოსახლეობის სამართლებრივი კულტურის ამაღლებაში.

ამ ბოლო ხანს იურიდიული მეცნიერება საქართველოში აღმავლობის გზაზეა. ცალკეული ჩვენი ავტორების საინტერესო მონოგრაფიები გამოდის მოსკოვში, მათი სტატიები სისტემატიურად იბეჭდება საქავშირო ჟურნალებში, აგრეთვე საზღვარგარეთის პერიოდიკაში. ქართველი სწავლული იურისტები ხშირად მონაწილეობენ საერთაშორისო კონგრესებსა და სიმპოზიუმებში. მაგრამ ცხოვრება ახალ, გავრდილ ამოცანებს უყენებს იურიდიულ მეცნიერებასა და სწავლულ იურისტებს. სამწუხაროდ, ჭერ კიდევ დაძლეული არ არის კუსტარულობა, მეცნიერთა ძალების დაქსაქსვა, გაუმართლებელი ურთიერთდაპირისპირება. განსაკუთრებით ჩამორჩენილია ჩვენში საბჭოთა სამართლის თეორიის პრობლემების დამუშავება. მიუტყვებელი ხარვეზები, აშკარად მცდარი დებულებებია ზოგიერთ წიგნში, რომლებიც უკანასკნელ წლებში გამოიცა.

იურიდიული სამეცნიერო დაწესებულებები მოვალენი არიან რადიკალურად გარდაქმნან თავიანთი საქმიანობა სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად. განახორციელონ ორგანიზაციული და პრაქტიკული ღონისძიებანი, რათა უზრუნველყონ იურიდიული მეცნიერებას შემდგომი წინსვლა.

სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა და უმნიშვნელოვანეს დებულებათა პროპაგანდაში დიდი როლი აქისრია ჟურნალ „საბჭოთა სამართალს“, რომელიც მოწოდებულია ხელი შეუწყოს რესპუბლიკის ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის გაუმჯობესებას, განამტკიცოს მეცნიერთა და პრაქტიკოსთა თანამშრომლობა, პრაქტიკაში სწავლული იურისტების მეცნიერული რეკომენდაციების ფართოდ დანერგვას.

პროკურატურის, იუსტიციის, სასამართლო ორგანოების მუშაკები მოვალენი არიან ღრმად შეისწავლონ XXVI ყრილობის მასალები და შემდეგ აქტიურად გასწიონ მათი პროპაგანდა შრომითს კოლექტივებში, მოსახლეობაში. ამ მიზნით გამოიყენონ სხვადასხვა ფორმა — სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციები, ლექციების ციკლი, სამართლის სახალხო უნივერსიტეტები და სხვა, რაც უზრუნველყოფს კანონიერების განმტკიცებაში მოსახლეობის მობილიზაციას.

ეჭვი არ არის, რომ რესპუბლიკის ადმინისტრაციული ორგანოები და იურიდიული სამეცნიერო დაწესებულებები ყველაფერს იღონებენ, რათა წარმატებით შეასრულონ სკკპ XXVI ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებები.



სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებები და იურიდიული კაღჯების მომზადების ამოცანები

დოკ. რ. შენგელია

სკკპ XXVI ყრილობა უმნიშვნელოვანესი ნიშანსვეტია საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში. მან ერთხელ კიდევ გვიჩვენა თუ რა ტიტანურ შრომას ეწევა პარტია ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური ძლიერებისა და მისი უშიშროების განმტკიცებისათვის, საბჭოთა ადამიანების ცხოვრების შემდგომი გაუმჯობესებისათვის, მშვიდობის შენარჩუნებისათვის. ყრილობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მიერ გაკეთებული საანგარიშო მოხსენება — ეს არის მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების შემოქმედებითად განვითარებაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილი.

საანგარიშო მოხსენება, რომელიც ერთსულოვნად მოიწონა ყრილობამ, პარტიასა და ხალხს რაზმავს ახალი ამოცანების გადასაწყვეტად, სახავს კომუნისტური აღმშენებლობის შთამაგონებელ პერსპექტივას. ამ ამოცანების მასშტაბურობაზე მეტყველებს XXVI ყრილობის მიერ მიღებული სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებანი, რომელშიც განზოგადებულია სსრ კავშირში კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკა, შეჯამებულია განვლილი პერიოდის შედეგები და განსაზღვრულია ეკონომიკური და სოციალური განვითარების ამოცანები მომავლისათვის.

სკკპ XXVI ყრილობამ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო საბჭოთა სოციალისტური საერთო-სახალხო სახელმწიფოს შემდგომი განვითარების გზებს, სოციალისტური სახელმწიფოებრიობის სრულყოფის, სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი განვითარების, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების სამართლებრივი საფუძვლის განმტკიცების საკითხებს. სსრ კავშირის კონსტიტუციის საფუძველზე საბჭოთა კანონმდებლობის განახლება მიჩნეულია ერთერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად. ახალმა კანონებმა უფრო სრულყოფილად უნდა მოაწესრიგონ საზოგადოებრივი ურთიერთობანი. მუშაობა კანონმდებლობის სრულყოფისათვის კვლავაც გაგრძელდება — აღნიშნა ლ. ი. ბრეჟნევმა ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში.

საბჭოთა სახელმწიფოებრიობის განვითარება, სამართლის სრულყოფა და სოციალისტური კანონიერების განმტკიცება ეს არის მთავარი მიმართულებანი, რაც საფუძვლად უნდა დაედოს ყრილობის მიერ დასახულ გრანდიოზულ ამოცანათა განხორციელებას. ამის უზრუნველყოფა კი ბევრად არის დამოკიდებული იურისტთა კადრებზე.

ცხოვრებამ გვიჩვენა, რომ იურისტები დღეს ჩვენს ქვეყანას ისევე მრავლად სჭირდება, როგორც, ვთქვათ, ინჟინრები, ექიმები, ეკონომისტები, აგრონომები და სხვ. ამასთან ესენი უნდა იყვნენ თავისი საქმის ტრფიალი სპეციალისტები. ასეთი კადრები საჭიროა არა მარტო იმისათვის, რომ ჩვენს რესპუბლიკაში ამ ბოლო წლების მანძილზე მორალურ-ფსიქოლოგიური და ზნეობრივი კლიმატის გასაჯანსაღებლად ფართოდ გაშლილი ბრძოლა იურისტის პროფესიას უდიდეს პასუხისმგებლობას აკისრებს, არამედ იმიტომაც, რომ დღეს იურიდიული სამსახური მთელი სახალხო მეურნეობის განუყოფელ ნაწილად იქცა, ამაღლდა იურისტის როლი და მნიშვნელობა სამეურნეო მექანიზმის მარ-

თვაში. იმ მდიდარ და მრავალფეროვან შესაძლებლობათა სრულყოფილად გამოყენება, რომლებსაც სოციალისტური სამართალი შეიცავს, შეუძლიათ მხოლოდ მაღალკვალიფიციურ, კომპეტენტურ კადრებს.

იურისტთა კადრებს საქართველოში ძირითადად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი ამზადებს, რომლის დღის, საღამოსა და დაუსწრებელ განყოფილებებზე 1200-ზე მეტი სტუდენტი სწავლობს. გარდა ამისა, მალე ჩვენს იურისტთა რიგებს შეემატებიან აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის და სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსკოვის უმაღლესი სკოლის თბილისის ფაკულტეტის მიერ გამოშვებული სპეციალისტები.

წარსულთან შედარებით თბილისის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე მნიშვნელოვნად გაიზარდა აბიტურიენტთა მიღება, ამაღლდა სწავლების ხარისხი, გაუმჯობესდა კურსდამთავრებულთა განაწილება, სამართალდამცველი ორგანოები და სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგები უკეთესად არიან უზრუნველყოფილი იურიდიული კადრებით. მაგრამ მიუხედავად ამისა, ჩვენს წინაშე ჯერ კიდევ ბევრი პრობლემა არის გადასატრელი, რაზეც არაერთხელ იყო მითითებული სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებებში.

იურიდიული ფაკულტეტის დღის განყოფილებაზე მიღება წლების განმავლობაში შეზღუდული იყო, რასაც შედეგად მოჰყვა რესპუბლიკაში იურისტთა კადრების დეფიციტის წარმოშობა. ეს პრობლემა დღემდე არ არის მოხსნილი დღის წესრიგიდან. სასამართლო და სანოტარო ორგანოებში, შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში, სახალხო მეურნეობაში იურისტის ზოგიერთი თანამდებობა დიდი ხნით ვაკანტურია. ჯერ კიდევ არის შემთხვევები, როცა იურისკონსულტებად არაიურისტები მუშაობენ. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ სწორედ ამიტომ მიიღო სპეციალური დადგენილება სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს მდივნებად და მთელი რიგი განყოფილებების ხელმძღვანელებად უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე პირთა დაწინაურების შესახებ. მიუხედავად ამისა, ხშირად შინაგან საქმეთა, სოციალური უზრუნველყოფის, საბინაო განყოფილებების, მმაჩის ბიუროს ხელმძღვანელებად მუშაობენ არაიურისტები. იურიდიული აპარატის წამყვან რგოლებში სპეციალისტთა ნაკლებობა უარყოფითად მოქმედებს ოპერატიულ-საგამოძიებო და სასამართლო ორგანოების საქმიანობაზე, საწარმო-დაწესებულებათა და მოსახლეობის იურიდიულ მომსახურებაზე. ამის ერთ-ერთი მიზეზი ისიც არის, რომ უმაღლესი იურიდიული განათლების სისტემაში ჭარბობს საღამოსა და დაუსწრებელი სწავლების ფორმა. განაწილება კი მხოლოდ დღის განყოფილების სტუდენტებს ეხება. საღამოს განყოფილების სტუდენტთა უდიდესი უმრავლესობა და დაუსწრებელი განყოფილების განსაზღვრული ნაწილი უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ ან გაუნაწილებელი რჩება, ან რაიონში არ მიდის. სამუშაოდ. ამას თუ იმასაც დავუმატებთ, რომ ჩარიცხულთა თითქმის ნახევარი ჩარიცხვამდეც და დამთავრების მომენტშიც პროფილით არ მუშაობს, ადვილად დავრწმუნდებით, რომ საღამოსა და დაუსწრებელი სწავლების ფორმები მიზანს ვერ აღწევს. საბოლოოდ ვიღებთ პარადოქსულ სურათს: ერთი მხრივ, გაზრდილი ოდენობით ვუშვებთ სპეციალისტებს იურისტის დიპლომით, მეორე მხრივ კი, სამართალდამცველ ორგანოებს აკლიათ კადრები.

ამის შესახებ ბევრჯერ ითქვა სხვადასხვა მაღალი რანგის თათბირებზე და კონფერენციებზე, საერთო და სპეციალურ იურიდიულ პრესაში. მიუხედავად იმისა, რომ დღის სწავლებას განსაზღვრული უპირატესობანი აქვს როგორც ხარისხობრივი ისე ეკონომიკური მოსაზრებითაც, სალამოსა და დაუსწრებელ სწავლებას, როგორც კადრების მომზადების ფორმას, ჯერ კიდევ დიდი ყურადღება ეთმობა. ამიტომ მიზანშეწონილია დღის განყოფილების სტუდენტთა კონტიგენტის გაზრდა. ეს, რა თქმა უნდა სრულიადაც არ ნიშნავს, რომ საერთოდ უარი ვთქვათ სალამოსა და დაუსწრებელ სწავლებაზე. მაგრამ გავითვალისწინოთ, რომ სალამოს და დაუსწრებელმა სწავლებამ თავისი განვითარების უმაღლესი საფეხური უკვე გაიარა და ახლა ფაქტობრივად ლებულობს კადრების კვალიფიკაციის ამაღლების ფორმას. ეს მოითხოვს იურიდიული კადრების მომზადების ფორმების სტრუქტურა შესაბამისობაში იქნას მოყვანილი რეალურ სიტუაციასთან.


დღეს სპეციალისტთა მომზადების ხარისხის სრულყოფის საკვანძო პრობლემა — ეს არის ფუნდამენტური და სპეციალური მომზადების ყველაზე ოპტიმალური შეხამება, რაც განსაზღვრავს კურსდამთავრებულის მიზანშეწონილად გამოყენების მომავალ სფეროს, მისი ცოდნის გათვალისწინებით. ფუნდამენტალური, საერთო თეორიული ცოდნა შედარებით გვიან ძველდება, ვიდრე ცალკეული დისციპლინები, ამასთან ხელს უწყობს მიღებული კვალიფიკაციის შემოქმედებითად გამოყენებასა და სრულყოფას. იურიდიული ფაკულტეტი ამზადებს ფართო პროფილის სპეციალისტს, რომელიც ფუნდამენტალურ ცოდნას ეყრდნობა. ამას მეტყველებს თუნდაც ის, რომ სხვა სპეციალობებისაგან განსხვავებით იურისტებს აქვთ ერთი საერთო სპეციალობა — სამართლისმცოდნეობა, რომელსაც ისინი საფუძვლიანად და ღრმად უნდა ფლობდნენ. ასეთი ორიენტაცია იურიდიული კადრების მომზადების სფეროში მისასაღებელია. უფრო მეტიც, მომავალში იურისტთა მომზადების ფუნდამენტალურობა კიდევ უნდა გაფართოვდეს. მაგრამ ამასთან ერთად საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს სპეციალურ მომზადებასაც. დღეს ნებისმიერი იურისტი ყოველდღიურ პრაქტიკულ საქმიანობაში წყვეტს არა მარტო წმინდა იურიდიულ, არამედ მრავალ სამეურნეო-ეკონომიკურ და ორგანიზაციულ საკითხს. ეს ეკონომიკისადმი სამართლის ზემოქმედების ზრდის ლოგიკური შედეგია. თანამედროვე პირობებში საზოგადოების განვითარებაზე განსაზღვრულ გავლენას ახდენს არა მარტო მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, რამედ პროგრესი ეკონომიკისა და მმართველობის სფეროში. დღის წესრიგში დგება სამეურნეო-სამართლებრივი და ეკონომიკურ-მმართველობითი ცოდნის სულ უფრო მეტი ინტეგრაცია. უმაღლესი იურიდიული სკოლის მიერ მომზადებული სპეციალისტის ტრადიციული ლოგიკური მოდელი — ეს არის პროკურორი, მოსამართლე, გამომძიებელი, ადვოკატი, ნოტარიუსი. შემდეგ ამ სიას დაემატა არბიტრი. ამჟამად უკვე შესაძლებელია გამოიკვეთა სახალხო მეურნეობაში მომუშავე იურისტის ფიგურაც — იურისკონსულტი.

დღეს იურისკონსულტი წარმოადგენს სამართლებრივი საქმიანობის აქტიურ ორგანიზატორს, ერთ-ერთ მნიშვნელოვან თანამდებობის პირს საწარმოში, რომელზეც ბევრად არის დამოკიდებული წარმოების ეფექტიანობის ამაღლება, შრომის ნაყოფიერების ზრდა, ეკონომიის დაცვა და სახელმწიფო სახსრების უპირატესად ხარჯვა. ამიტომ აუცილებელია უფრო მეტი ყურადღება მიექცეს იურისტთა მომზადებას სამეურნეო-ეკონომიკური კუთხით.

წარმოუდგენელია, რომ დღევანდელი იურისტი ღრმად არ ერკვეოდეს ეკონომიკაში. ეს საჭიროა არა მარტო სახალხო მეურნეობაში მომუშავე იურისტისთვის, არამედ სასამართლო — საპროკურორო და საგამოძიებო მუშაკებისათვის, რადგან უამისოდ ახლა შეუძლებელია კვალიფიციური საპროკურორო ზედამხედველობა, სამეურნეო დანაშაულობათა არსში გარკვევა, ეფექტიანი ბრძოლა მათ წინააღმდეგ და სხვა. ეს იურისტის ფართო პროფილზე მეტყველებს. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ფართო პროფილის იურისტი არ არის უნივერსალი იურისტის ადექვატური. მაგრამ რატომღაც ასეთი წარმოდგენა მაინც არსებობს. ამას მეტყველებს სპეციალისტთა მომზადებისა და განაწილების პრაქტიკაც. იურიდიული ფაკულტეტის კურსდამთავრებულები სამუშაოდ იგზავნებიან პროკურატურის, შინაგან საქმეთა, იუსტიციის ორგანოებში, სახალხო მეურნეობის ცალკეულ დარგებში, სახალხო დეპუტატთა საბჭოებსა და მათ აღმასკომებში და სხვ. იმას, თუ სად უნდა იმუშაოს, კურსდამთავრებული იგებს უმაღლესი სასწავლებლის დამთავრებამდე ცოტა ხნით ადრე, სამუშაოზე განაწილების დროს. ყველა მათგანი ერთნაირად უნდა იყოს მომზადებული, რომ ნებისმიერ სფეროში იმუშაოს. მაგრამ, არის თუ არა შესაძლებელი, სწავლების ხუთი წლის მანძილზე მოვამზადოთ ისეთი სპეციალისტი, რომელსაც კარგად ეცოდინება არა მარტო ზოგადი საფუძვლები, არამედ მომავალი საქმიანობის ყველა წვრილმანი. რა თქმა უნდა, ეს შეუძლებელია. სწორედ ამიტომ არის საჭირო გარკვეული პროფილის სპეციალისტ-სამართლისმცოდნეთა მომზადება.

იურიდიული ფაკულტეტის დღის განყოფილებაზე წინათ შემოღებული იყო სპეციალიზაცია. მესამე კურსიდან სტუდენტები მეცადინეობდნენ სისხლისსამართლებრივ, სახელმწიფო-სამართლებრივ და სამეურნეო-სამართლებრივ ჯგუფებში. მათ საერთო ლექციებთან ერთად უტარდებოდათ სპეციალური კურსები.

სისხლისსამართლებრივი ჯგუფის კურსდამთავრებულებს უნდა ემუშავათ საპროკურორო-საგამოძიებო საქმიანობის სფეროში, სახელმწიფო-სამართლებრივი ჯგუფისას — ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოებში, ხოლო სამეურნეო სამართლებრივი ჯგუფის კურსდამთავრებულებს კი — სახალხო მეურნეობის ცალკეულ დარგებში იურისკონსულტებად. მაგრამ ფაქტობრივად კურსდამთავრებულთა უმრავლესობა სამუშაოზე იგზავნებოდა არადანიშნულები სამეგრ. არც ერთი კურსდამთავრებული არ გაგზავნილა სამუშაოდ სახალხო დეპუტატთა საბჭოსა და მათ აღმასკომში. მოსამართლეებად, პროკურორებად დაწინაურდნენ ისეთი პირები, რომლებიც სამეურნეო-სამართლებრივ ჯგუფებში მეცადინეობდნენ. საგვეგმო ორგანოებმა სრული ინდიფერენტიზმი გამოიჩინეს ამ საკითხისადმი. ფაკულტეტმა არ იცოდა და არც ახლა იცის წინასწარ, რამდენი სპეციალისტია საჭირო სახალხო მეურნეობაში, რამდენი სამართალდამცველ ორგანოებში და რამდენი — ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოებში. ამას დაემატა სპეციალიზაციის ფორმალურად არსებობა, მისი არასრულყოფილება ორგანიზაციული მხრივაც. ამიტომ დღის წესრიგში დადგა მისი გაუქმების საკითხი. მხედველობაში იქნა მიღებული ისიც, რომ სტუდენტს ისეთი მომზადების დონე უნდა ჰქონოდა, რომ შესაძლებოდა ემუშავა წინათ არსებული სპეციალიზაციების შესაბამის სამუშაოზე. ამ მიზნით მე-4 და მე-5 კურსებზე შემოღებულ იქნა გაძლიერებული სპეცკურსები, რომლებმაც მოიცივა სპეციალიზაციის დროს ცალკეული სპეცკურსებით გათვალის-



წინებული საკითხები. ამგვარად, ერთი სპეციალობის შიგნით ფაქტობრივად შეუძლებელი გახდა პროფილირება. ამიტომ მომავლისათვის მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს მეორე სპეციალობის — სამეურნეო-სამართლებრივის შემოღება, მით უმეტეს, რომ ამის კარგი გამოცდილება კავშირის მასშტაბით უკვე არსებობს. ეს ხელს შეუწყობდა სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგებისათვის იურისტთა მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებას.

ვიდრე ეს საკითხი პრაქტიკულად არ გადაწყვეტილა, საჭიროა ღონისძიებათა იმ კომპლექსის განხორციელება, რომელიც ხელს შეუწყობს არსებულ ვითარებაში პროფილირების საკითხის ოპტიმალურ მოგვარებას. არსებობს აღნიშნული საკითხის დადებითად გადაწყვეტის ორი ვარიანტი:

პირველი — სპეციალიზაციის აღდგენა და მისი მიზნობრივად გამოყენება ან, მეორე — განსაზღვრულ ღონისძიებათა განხორციელება ფუნდამენტალური და სპეციალური ცოდნის შესახამებლად.

სპეციალიზაციის აღდგენა მჭიდროდ უკავშირდება საგვეგმო ორგანოების უზადო მუშაობას. აუცილებელია ზუსტად განისაზღვროს იურიდიული ფაკულტეტის კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობანი არა მარტო თითოეული წლისათვის, არამედ ხუთწლეულებისთვისაც. იურისტი უნდა გაიგზავნოს იმ სამუშაოზე, რომლისთვისაც არის მომზადებული. ეს კი, როგორც უკვე ზემოთ ითქვა, ჯერჯერობით შეუძლებელია. ამიტომ მეორე ვარიანტი უფრო ეფექტიანი იქნება. იმ ღონისძიებათა შორის, რომლებიც ხელს შეუწყობს ფუნდამენტალური და სპეციალური ცოდნის შეხამების საფუძველზე იურისტის მოვალეობის ეფექტიანად შესრულებას, საჭიროა აღინიშნოს წინათ არსებული ყველა სპეციალიზაციის ძირითადი დებულებების ყველასათვის სწავლება და სამუშაოზე სტუდენტთა განაწილების V კურსიდან მეოთხეზე გადმოტანა. პირველი ღონისძიება უკვე ხორციელდება ფაკულტეტზე და კარგი შედეგიც აქვს. მაგალითად, თუ წინათ საბინაო კანონმდებლობა სპეცკურსის სახით მხოლოდ სამეურნეო-სამართლებრივ ჯგუფში იკითხებოდა, ხოლო სხვა ჯგუფების სტუდენტებს მასზე წარმოდგენა ექმნებოდათ სამოქალაქო სამართლის საერთო კურსში, ახლა ეს სპეცკურსი გათვალისწინებულია მთელი კურსისათვის, რადგან ჩვენი აზრით, მისი ღრმა ცოდნა საჭიროა ყველა სფეროში მომუშავე იურისტისათვის. იგივე ითქმის სამეურნეო სამართლის შესახებ და ზოგიერთ სხვა სპეცკურსზე. რაც შეეხება სტუდენტთა ადრე განაწილებას, იგი უდავოდ ეფექტიანი იქნება. ფაკულტეტს შესაძლებლობა ექნება სტუდენტთა სპეციალური მომზადება და საწარმოო პრაქტიკა ბოლო კურსზე წარმართოს იმის მიხედვით, თუ სად იმუშავენ სტუდენტთა.

მაღალკვალიფიციური იურისტის აღზრდის ერთ-ერთი პირობაა ლექციების ხარისხის ამაღლება და სტუდენტთა უზრუნველყოფა სასწავლო და მეთოდური ლიტერატურით. ამჟამად ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებელთა შორის 18 იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორია და ამდენივე მეცნიერებათა კანდიდატი და დოცენტი. ფაკულტეტზე შეიქმნა შემოქმედებითი შრომის კარგი ატმოსფერო და მეცნიერთა და პედაგოგთა ისეთი კოლექტივი, რომელსაც შეუძლია წარმატებით გადაჭრას კადრების აღზრდისა და იურიდიული მეცნიერების უმნიშვნელოვანესი პრობლემები. მიუხედავად ამისა, გასაკეთებელი მაინც ბევრია. კვლავ გვმართებს ლექციის ხარისხის სრულყოფა, მისი უფრო მაღალ საფეხურზე აყვანა. საჭიროა გაუმჯობესდეს სასწავლო-მე-

თორღიკური ლიტერატურის მომზადებისა და გამოცემის საკითხი. ამ მხრივ უკანასკნელ წლებში ფაკულტეტზე ბევრი რამ გაკეთდა. უმრავლეს საგნებში ქართულ ენაზე შეიქმნა სასწავლო წიგნები, ესენია: პროფ. ს. ჯორბენაძის — საბჭოთა სოჯახო სამართალი, პროფ. გ. ინჭკირველის — სახელმწიფოსა და სამართლის თეორია, პროფ. ე. ნეიძის — საბჭოთა შრომის სამართალი, პროფ. ბ. ფურცხვანიძის — საბჭოთა სისხლის სამართალი (ზოგადი და განსაკუთრებული ნაწილი), სისხლის სამართლის პროცესი, პროფ. გ. ერემოვის — ადმინისტრაციული სამართალი, პროფ. ბ. ხარაზიშვილის — კრიმინალისტიკა, მართლმსაჯულების ორგანიზაცია სსრ კავშირში, პროფ. ა. ფალიაშვილის — საპროკურორო ზედამხედველობა სსრ კავშირში, პროფ. ლ. ალექსიძის — თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, პროფ. ლ. თამარაშვილისა და დოც. ზ. ახვლედიანის — საზღვარგარეთის სოციალისტური ქვეყნების სახელმწიფო სამართალი, დოც. რ. შენგელიას — საბჭოთა საფინანსო სამართალი და სხვ.

ფაკულტეტის თანამშრომელთა ერთმა ნაწილმა გამოაქვეყნა ლექციების კურსი. ამ მხრივ გამოირჩევა პროფ. გ. ნადარეიშვილის, დოც. ლ. ადვიშვილისა და სხვათა საქმიანობა. სხვადასხვა მეთოდური მასალა და ნორმატიული აქტების კრებულები გამოსცეს: პროფ. ნ. წერეთელმა, დოც. ნ. ლორთქიფანიძემ, პროფ. ვ. ლორიამ, დოც. დ. ცინცაძემ, მასწ. ი. არჩვაძემ და სხვებმა.

ზემოაღნიშნული ავტორების აქ მოყვანილი და სხვა შრომების გარდა სტუდენტებს დიდ დახმარებას უწევს პროფესორების — ი. სურგულაძის, შ. ჩიკვაშვილის, ლ. ჯომარჯიძის, თ. ლილუაშვილის, ა. გაბიანის, ვ. აბაშმაძის, მ. კეკელიას, ვ. ფარქოსაძის, დოცენტების — ა. ლაბარტყავას, მ. ლეკვიშვილის, ვ. მეტრეველის, შ. ფაფიაშვილის, მ. უგრეხელიძის. ზ. წულაიას, რ. ჭოდოშვილის, გ. ნაჭყებუას, ვ. გეწაძის, ზ. ჯინჯოლავეას, ნ. კორძაია-სამაღაშვილის, ბ. ზოიძის და სხვათა მიერ ქართულ ენაზე გამოქვეყნებული სტატიები, ბროშურები და მონოგრაფიები. ასევე სასარგებლოა ამ მხრივ ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის სამართლის სექტორის თანამშრომელთა შრომები.

მიუხედავად ამისა, ბევრ ფუნდამენტურ საგანში ჯერ კიდევ არა გვაქვს სახელმძღვანელოები ქართულ ენაზე. ასეთი საგნებია: სამოქალაქო სამართალი, სამოქალაქო სამართლის პროცესი, საკოლმეურნეო და მიწის სამართალი, სახელმწიფო სამართალი, კრიმინოლოგია, სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი ისტორია და სხვ. ეს უპირველეს ყოვლისა ამ საგნებში მომუშავე მეცნიერების ბრალია და აუცილებლად უნდა გამოსწორდეს უახლოეს მომავალში.

სრულყოფას საჭიროებს საწარმოო პრაქტიკა და სტაჟირება. უნივერსიტეტის კედლებში მიღებული თეორიული ცოდნა სწორედ პრაქტიკით უნდა იქნეს განმტკიცებული. ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს პრაქტიკის სწორ ორგანიზაციას. მით უმეტეს, რომ პრაქტიკას გადიან არა მარტო დღის განყოფილების, არამედ საღამოსა და დაუსწრებელი სწავლების სტუდენტებიც. ამ უკანასკნელთ მხოლოდ პროკურატურის ორგანოებში უწევთ ერთთვის პრაქტიკა. ხოლო დღის განყოფილების სტუდენტებს — ჯერ მესამე კურსის ბოლოს, შემდეგ კი მეხუთე კურსზე — სხვადასხვა ორგანოში. სტუდენტთა პრაქტიკასა და სტაჟირებას დიდი ყურადღებით ეკიდებიან საქართველოს სსრ პროკურატურის, იუსტიციის და შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელები. აქ დამკვიდრდა იურიდიული ფაკულტეტს სტუდენტთა პრაქტიკის მდგომარეობის განხილვა კოლეგიის სხდომებზე. უნივერსიტეტშიც ამ უწყებათა წარმომადგენ-

ლების მონაწილეობით ხდება პრაქტიკის ჩათვლები. მაგრამ გასაკეთებელი კიდევ ბევრია. უპირველეს ყოვლისა, დაუყოვნებლივ უნდა გადაწყდეს სამეურნეო-სამართლებრივი ხასიათის პრაქტიკის შემოღების საკითხი. თუმცა ბოლო წლებში კურსდამთავრებულთა ნახევარზე მეტს სახალხო მეურნეობის ცალკეულ დარგებში ვუშვებთ სამუშაოდ, მაგრამ სასწავლო გეგმა არ ითვალისწინებს არც ვასაცნობ და არც საწარმოო პრაქტიკას ცალკეულ საწარმოებში, უწყებებში, მშენებლობაზე და სხვ. საბაზო დაწესებულებებს პრაქტიკის გასავლელად არავინ არ განსაზღვრავს. არ არის შემუშავებული დიპლომის შემდგომი სტაჟირების პროგრამა. პრაქტიკისა და სტაჟირების ორგანიზაციის საქმეს არავინ უწევს კოორდინაციას და ხელმძღვანელობას. ამის მოუგვარებლად კი ძნელია სახალხო მეურნეობისათვის მალალკვალიფიციური იურისტების მომზადება. უნდა დამკვიდრდეს პრაქტიკის გავლა აგრეთვე ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოებში, რომლებიც უნდა შეივსოს საქმის მცოდნე სპეციალისტ-იურისტებით. ეს მხედველობაშია მისაღები სტუდენტთა განაწილების დროსაც.

ამ მდგომარეობის გამოსწორება, ნაწილობრივ მაინც შესაძლებელია იურიდიულ ფაკულტეტზე სპეციალური, გამომშვები კათედრის შექმნით. ასეთი კათედრა შეიძლება შექმნილიყო ან უნივერსიტეტში ან სამართალდამცველი რომელიმე რესპუბლიკური ორგანოს ბაზაზე. მისი ძირითადი ამოცანა იქნებოდა სწავლულ იურისტთა და პრაქტიკოსთა თანამშრომლობის განმტკიცება, იურიდიული მეცნიერების მიღწევათა პრაქტიკაში დანერგვის ხელშეწყობა, იურიდიული ფაკულტეტისა და ადმინისტრაციული ორგანოების სამეცნიერო საქმიანობის კოორდინაცია, სტუდენტთა პრაქტიკისა და სტაჟირებისადმი მეთოდური ხელმძღვანელობის გაწევა და სხვ. ასეთი კათედრის შექმნა ხელს შეუწყობდა არა მარტო ფაკულტეტის საქმიანობის სრულყოფას კადრების აღზრდის დარგში, არამედ იურიდიული მეცნიერების განვითარებისთვისაც ექნებოდა დიდი მნიშვნელობა. ამ წინადადების წამოყენების დროს მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ დღეს რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ორგანოებში 30-ზე მეტი იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი მუშაობს.

იურიდიულ ფაკულტეტზე აბიტურიენტთა კონტიგენტის შერჩევაში ბევრი ხელისშემშლელი ვარემოება გველობება. თუნდაც ის, რომ დღის განყოფილებაზე შემსვლელს უთუოდ უნდა ქონდეს მუშაობის ორი წლის სტაჟი (გამონაკლისის სახით მისაღებ გამოცდებში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ მედალოსნებს და იმათ, ვისაც ატესტატში მხოლოდ ხუთიანები აქვს). ეს წესი მხოლოდ და მხოლოდ იმ „სამსახურს“ გვიწევს, რომ ნიჭიერი აბიტურიენტი, რომელმაც წარჩინებით დაამთავრა საშუალო სკოლა ორ წელიწადს არ იცდის და სხვა ფაკულტეტზე აბარებს, ან თუ იცდის, ისე მომზადებული აღარ არის, როგორც ორი წლის წინათ იყო. ამის გამო იურიდიული ფაკულტეტის დღის განყოფილებას ავსებს ძირითადად საშუალო დონის ახალგაზრდობა. აუცილებლად მიგვაჩნია, რომ გაუქმდეს ეს წესი, ან იურიდიულ ფაკულტეტზე მისაღები კონტიგენტის განსაზღვრული პროცენტი დაეთმოს ახალ კურსდამთავრებულებს (როგორც ეს ჩვენი ქვეყნის წამყვან უნივერსიტეტებშია).

რაც შეეხება საღამოსა და დაუსწრებელ განყოფილებებზე ჩარიცხვის დროს განსაზღვრული უპირატესობის მინიჭებას პროფილით მომუშავეთათვის, ესეც მთლიანად არ არის გამართლებული და აი, რატომ: ფაქტობრივად პრო-

ფილმა დაკარგა მიზანი, რადგან პროფილად ითვლება ბევრი იმგვარი მოვალეობა, რომლის შესრულებისათვის სრულებით არ არის საჭირო იურიდიული განათლება. მაგალითად, საპრობილეების ზედამხედველი, საგზაო ზედამხედველობის ინსპექტორი, პროკურატურისა და სასამართლოს კანცელარიის მდივანი, რიგითი მილიციელი და სხვ. ასეთ ადგილებზე საშუალო სკოლადამთავრებულები სპეციალურად ეწყობიან იმისათვის, რომ უმალეს სასწავლებელში ჩარიცხვისას უპირატესობა მიიღონ, ჩარიცხვის შემდეგ კი უმეტესად იცვლიან სამუშაოს. ამის შედეგია, რომ საღამოსა და დაუსწრებელ განყოფილებებზე ირიცხებიან 16-18 ქულიანი აბიტურიენტები, მაშინ როცა 23-25-ქულიანი პროფილის არმქონე აბიტურიენტები უმალეს სასწავლებელში ვერ ხვდებიან. ამ გზით ჩარიცხული პირები, უკეთეს შემთხვევაში საშუალო დონის კადრებად წაიღებებიან. ამიტომ იურიდიულ ფაკულტეტზე მიღების წესები უნდა გადაისინჯოს, თანაც რაც შეიძლება მაღალ.

გვერდს ვერ ავუვლით ერთ ასეთ გარემოებასაც: იურიდიულ ფაკულტეტზე მისაღებ გამოცდებს იბარებენ ფილოლოგები, ისტორიკოსები და უცხო ენების მასწავლებლები. ფაკულტეტის თანამშრომლები კონტაგენტის შერჩევაში ფაქტობრივად არ მონაწილეობენ. კარგი იქნებოდა, იურიდიული ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლებს აქტიური მონაწილეობა მიეღოთ სტუდენტთა კონტაგენტის დაკომპლექტებაში. ისიც შეიძება, რომ იურიდიულ ფაკულტეტზე შემსვლელთათვის დაწესდეს მისაღები გამოცდა სამართლის საფუძვლებსა და საზოგადოებათმცოდნეობაში.

გადასასინჯია იურიდიულ ფაკულტეტზე მოსამზადებელი განყოფილების არსებობის მიზანშეწონილობის საკითხი. რამდენიმე წელია დღის განყოფილების პირველ კურსზე სტუდენტთა განსაზღვრული ნაწილი ირიცხება მოსამზადებელი განყოფილებიდან, მაგრამ გამორჩეული შედეგი ამას არ მოსდევს. თუ სხვა ფაკულტეტებზე მეტნაკლებად ამართლებს დანიშნულებას მოსამზადებელი განყოფილება, იურიდიული ფაკულტეტის მიმართ ამას ვერ ვიტყვი. მაგალითად, ისტორიის ფაკულტეტზე შემსვლელის მომზადება ისტორიაში დადებითად მოქმედებს მის შემდგომ მეცადინეობაზე. იურიდიულ ფაკულტეტზე შემსვლელი კი ემზადება ქართულსა და ისტორიაში, ხოლო სპეციალურ საგნებს ფაკულტეტზე ჩარიცხვის შემდეგ სწავლობს. ამიტომ არის ალბათ, რომ მოსამზადებელი განყოფილებიდან ჩარიცხული სტუდენტების მოსწრების დონე საშუალოსთან შედარებით დაბალია. ჩამორჩენილთა შორის იურიდიულ ფაკულტეტზე უმეტესად მოსამზადებელი განყოფილებიდან ჩარიცხული პირები გვხვდებიან. ამიტომ ან უნდა გაუქმდეს მოსამზადებელი განყოფილებიდან იურიდიულ ფაკულტეტზე პირთა ჩარიცხვა, ან მომზადების სტრუქტურაში განსაზღვრული ცვლილება განხორციელდეს.

ამ წინადადებათა გათვალისწინება და არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრა, უთუოდ დადებით გავლენას მოახდენს სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტლებათა შესაბამისად იურისტთა კადრების მომზადებაზე, ხოლო ამის საფუძველზე სოციალისტური კანონიერებასა და მართლწესრიგის შემდგომ განმტკიცებაზე.

ლიკაბულაის პრობლემა და საპარტოალი*

გ. ტყეშელაშვილი

1. ახლო ბოლო ხანს საბჭოთა ფილოსოფოსები ინტენსიურად იკვლევდნენ ღირებულების პრობლემას. გამოკვლევდა ამ პრობლემისადმი მიძღვნილი მრავალი ნაშრომი, მოეწყო სიმპოზიუმები და ა. შ. ეს გარემოება შეუმჩნეველი არ დარჩენია ჩვენს სწავლულ იურისტებს. სამართლის ზოგად თეორიაში იგი პირველად პროფესორმა ს. ალექსეევმა განიხილა. სამართლის ცალკეული დარგებიდან ამ პრობლემის კვლევა უპირველეს ყოვლისა კრიმინალისტიკაში დაიწყო (ი. დემიდოვი, პ. ოსიპოვი, პ. ჯამოსკოვოვი და სხვ.). მათი ნაშრომები მრავალ სინტერესო და დასაბუთებულ მოსაზრებას შეიცავს სამართლის ღირებულების შესახებ. აუცილებელია კვლავაც გავაგრძელოთ და, რაც მთავარია, კიდევ უფრო გავადრმოვოთ წამოწყებული კვლევა-ძიება. ამის აუცილებლობას ადასტურებს სსრ კავშირის ახალი კონსტიტუცია, რომელიც ადამიანს განიხილავს უმადლეს ღირებულებად, უძირითადეს მიზნად. რაც უფრო ადეკვატურად არის ასახული სოციალისტურ სამართალშემოქმედებაში უზენაესი ადამიანური ღირებულებები, მით უფრო მაღალია მისი სოციალური ღირებულება.

2. ჩემი აზრით, ღირებულების პრობლემისადმი მიძღვნილ იურიდიულ გამოკვლევებს ერთი საერთო ნაკლი აქვთ: მათში ნათლად არ არის ნაჩვენები თავად ამ პრობლემის ფილოსოფიური საფუძვლები. ამის გამო თავდაპირველად შევცდებოდი სწორედ ეს საკითხი გავაშუქო.

XIX საუკუნის მიწურულს კანტის ფილოსოფია განსაკუთრებით პოპულარული გახდა. ამის უმთავრესი მიზეზი ის იყო, რომ ლიბერალურ ბურჟუაზიას უკვე აღარ შეეძლო რაიმე ახალი თეორია დაეპირისპირებინა დიალექტიკური მატერიალიზმისა და მასზე დაფუძნებული მეცნიერული სოციალიზმის თეორიისათვის. ამიტომ იგი ხსნას წარსულის თეორიების აღორძინებაში ხედავდა. ამ თეორიებიდან მან კანტის ფილოსოფია შეარჩია. ჩამოყალიბდა სხვადასხვა ნეოკანტიანური მიმართულება. ამ მიმართულებათაგან ამჟერად ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფრეიბურგის (ბადენის) სკოლა, რომლის წარმომადგენელთა თვალსაზრისით ღირებულებებს პრობლემის შესახებ უველაზე სრულად ასახულია ვ. ვინდელბანდის (1848-1915) და ი. შტერტის (1868-1938) ნაშრომებში. ერთიც და მეორეც კანტის თეორიას ეყრდნობოდა.

კანტმა ფილოსოფიის გარეთ გაიტანა ადამიანის ცოდნის მთელი შინაარსი. მან ფილოსოფიის ფუნქცია შემოფარგლა იმ ფორმების ანალიზით, რომელთა საშუალებითაც შემეცნება ხორციელდება. მისი თვალსაზრისით, ფილოსოფიამ კრიტიკულად უნდა გამოიკვლიოს ის, თუ როგორ და რომელი კანონების მიხედვით ყალიბდება ადამიანის ცნობიერებაში მსჯელობები, ეს მსჯელობები, მართალია, ემპირიული სინამდვილიდან გამომდინარეობს, მაგრამ მათ საყოველთაო და სავალდებულო მნიშვნელობა აქვთ. თავდაპირველად მან კვლევის ასეთი პრინციპი გამოიყენა შემეცნების თეორიაში, ხოლო შემდეგ გავრცელა ეთიკისა და ესთეტიკის სფეროზე. ამის მიზეზად ის იყო მიჩნეული, რომ ეთიკური და ესთეტიკური მსჯელობები საყოველთაო მნიშვნელობით ხასიათდება.

კანტის ეს თვალსაზრისი ფრეიბურგის სკოლის წარმომადგენელთათვის ძირითად წინამძღვრად იქცა მეცნიერებისა და ღირებულების შესახებ თეორიის დაპირისპირებისათვის. ვ. ვინდელბანდი აღნიშნავდა, რომ ძველ საბერძნეთში ფილოსოფიის ცნება მთელ ცოდნას მოიცავდა. მაგრამ ფილოსოფიის განვითარების კვალობაზე ფილოსოფიას თანდათან გამოეყო დამოუკიდებელი მეცნიერული დისციპლინები. საბოლოოდ, მთელი არსებული სინამდვილე დანაწილებული აღმოჩნდა სპეციალურ მეცნიერებათა შორის. ფილოსოფია მეფე ღირის მდგომარეობაში აღმოჩნდა, როდესაც ღირება მთელი თავისი ქონება შეიღებებს მისცა, ხოლო თავად ლატაკად იქცა. რა დარჩა ფილოსოფიის საგნად? ამ კითხვას ვინდელბანდი ასე უპასუხებს: ფილოსოფიას „შეუძლია არსებობა განაგრძოს მხოლოდ როგორც მოძღვრება საყოველთაოდ მნიშვნელოვან ღირებულებათა შესახებ. იგი ამიერიდან აღარ ჩაერევა ცალკეულ მეცნიერებათა

* სტატიაში განხილულია ზოგიერთი ასპექტი.

საქმიანობაში, რომელთაც ამჟამად მიეკუთვნება ფსიქოლოგიაც. იგი არ არის იმდენად კატი-
ვმოყვარე, რომ თავის მხრივ შეეცადოს იმის შეცნობას, რაც უკვე შეიცნეს და კმაყოფილებას
ალარ განიცდის კომპლიაციით, იმით, რომ ცალკეულ მეცნიერებათა ყველაზე უფრო ზოგადი
დასკვნებიდან შექმნას ყველაზე უფრო ზოგადი წარმონაქმნი¹.

ამრიგად, ვინდელბანდის მიხედვით ფილოსოფიის საგანია არა სინამდვილე, არამედ ღირ-
ებულებები, საყოველთაოდ მნიშვნელოვანი კულტურული ღირებულებები. ღირებულებები
სინამდვილეში კი არ არსებობენ, არამედ „მნიშვნელობენ“. აქვთ მნიშვნელობა, ფილოსოფიის
არაფერი ესაქმება სინამდვილესთან, სინამდვილეს კონკრეტული მეცნიერებები სწავლობენ.
„მე, — წერდა ვინდელბანდი — არ უარვყოფ სიტყვა „ფილოსოფიის“ მნიშვნელობის ისტორიულ
ცვალებადობას და არავის არ ვართმევ უფლებას ფილოსოფიად მიიჩნიოს ის, რაც მას
მოუხურვება... მე ფილოსოფიად, მისი სისტემური (და არა ისტორიული) აზრით, შემძლია მი-
ვიჩნიო მხოლოდ კრიტიკული მეცნიერება საყოველთაოდ სავალდებულო ღირებულებათა შე-
სახებ: ეს განსაზღვრავს ფილოსოფიის საგანს, კრიტიკულ მეცნიერებას, ეს განსაზღვრავს მის
მეთოდს“². ვინდელბანდმა ფილოსოფიის საგანი და ღირებულება გაათანაბრა. ფილოსოფია მან
გათიშა საბუნებისმეტყველო მეცნიერებისაგან. უფრო მეტიც, ფილოსოფია ამ უთანასწოელზე
მალდა დააყენა. ფილოსოფიის საგნად მან გამოაცხადა სინამდვილეს მოწყვეტილი საზოგადო
პრინციპები, ნორმები და ა. შ. მისმა მიმდევარმა, გ. რიკერტმა ეს აზრი ასე ჩამოაყალიბა: „უ-
ფიერების შესახებ ყველა მეცნიერებას, როგორცადა უნდა განსხვავდებოდნენ ისინი, აქვთ ეს
საერთო, რომ ცდილობენ დაადგინონ ის, რაც არის და როგორ არის. შემეცნების თეორია,
როგორც მეცნიერება თეორიული ღირებულებების შესახებ, არახდის არ ისახავს ასეთ ამო-
ცანას. მისი ერთადერთი პრობლემა არის ღირებულებები, რომლებიც უნდა ფლობდნენ მნი-
შვნელობას, რათა პასუხებს უფიერების შესახებ (რა არის?) საზოგადოდ აზრი ჰქონდეთ“³.

არსებობს გამოთქმის ორი სახე: მსჯელობა და შეფასება. მსჯელობისა და შეფასების განს-
ხვავების საცუფველზეა აგებული ვინდელბანდისა და მისი მიმდევრების თეორია ნორმატიული
ცნობიერების შესახებ. ნეოკანტიანელები მსჯელობისა და შეფასების განსხვავების ნათელსა-
ყოფად ასეთ წინადადებებს მიმართავენ: „ეს ნივთი თეთრია“ და „ეს ნივთი კარგია“. ფორმით
ეს ორი წინადადება ერთმანეთისაგან არ განსხვავდება; ერთშიც და მეორეშიც არის ქვემდებარე
(მსჯელობის სუბიექტი ან შეფასების სუბიექტი), რომელსაც მიეწერება შემასმენელი (თეთრია,
კარგია). მაგრამ პირველ წინადადებაში პრედიაკტი („თეთრი“) გამოხატავს საგნის თვისებას.
ყოველგვარი მსჯელობა აფართოებს ჩვენს ცოდნას იმით, რომ პრედიაკტი გამოხატავს საგნის
თვისებას, საქმიანობას, მდგომარეობას და ა. შ. მეორე წინადადებას, ვინდელბანდის მიხედვით,
არა აქვს ასეთი ფუნქცია. მისი ფუნქცია სულ სხვაა. შეფასებას არა აქვს შემეცნებითი მნიშ-
ვნელობა, იგი გამოხატავს სუბიექტის დამოკიდებულებას შესაფასებელი საგნისადმი. ვინდელ-
ბანდის ამ მოსაზრებას ეხმაურება რ. შარტანის შემდეგი დებულება: „თვითმფრინავი, რომე-
ლსაც მიაქვს ატომური ბომბი ქალაქისაკენ, წარმოადგენს ბუნებისმეტყველების ობიექტს, ან,
სხვა სიტყვებით, ფაქტს, როდესაც მას შეისწავლიან ნავიგაციის, ფიზიკის, მექანიკის, აეროდინ-
ამიკის და ა. შ. შესახებ მეცნიერების თვალსაზრისით. მაგრამ იგი იქცევა აქსიოლოგიის ან
ღირებულებების ობიექტად, როდესაც მას ამოწმებენ ამ მეცნიერების თვალსაზრისით. მაგალითად,
თვითმფრინავის — „ნოლა გეის“, — რომელმაც ჩამოაგდო ატომური ბომბი ხიროსიმაზე,
მეორე პილოტის ჩანაწერი საბორტო ურნალში: „ღმერთო ჩემო, ეს რა ვქენის!“ — წარმო-
ადგენს არა ბუნებისმეტყველების, არამედ აქსიოლოგიის ობიექტს“⁴.

ამრიგად, ნეოკანტიანელები ამტკიცებენ, რომ არსებობს ღირებულებათა განსაკუთრებული
სამეფო. იგი რეალურად შეიძლება დავს. ბევრი რამ, რის შესახებაც წერენ ვინდელბანდი და რი-
კერტი, არსებითად წარმოადგენს ტრადიციული ობიექტურ-იდეალისტური იდეების ნაირსახეო-
ბას. თავად ღირებულებათა ტრანსცენდენტალური სამეფო ენათესავება აბსოლუტური და უც-
ვლელი იდეების პლატონისეულ სამეფოს. არსობისა და ღირებულების დაპირისპირება ნა-
თლად დასტურებს ნეოკანტიანური ფილოსოფიის ობიექტურ-იდეალისტურ არსს.

¹ Виндельбанд В. История новой философии в связи с общей культурой и
стдельными науками. Прелюдии. СПб. 1904, с. 287.
² Виндельбанд В. Прелюдии. СПб. 1904, с. 23.
³ Риккерт Г. Два пути познания — Новые идеи в философии, 1913, № 7.
с. 52—53.
⁴ См. Майзель И. А. Наука и проблема ценностей — В сб.: Проблема цен-
ности в философии. М.-Л., 1966, с. 53—54.

55891

საქართველოს
საზოგადოებრივი
მეცნიერებათა
აкадеმიის
გაზეთი

მ. ზოგიერთის აზრით, მარქსიზმი არ ცნობს ღირებულების პრობლემას. მათი შეხედულებათ, არც მარქსს, არც ენგელსს და არც ლენინს არ დაუყენებიათ ასეთი პრობლემა, თუ სათვალავში არ მივიღებთ მარქსიზმის მიერ გადაწყვეტილ პრობლემას ობიექტური ღირებულების შესახებ ეკონომიკურ ურთიერთობათა სფეროში. რეცენზიაში რიკერტის წიგნზე „მეცნიერება ბუნების შესახებ და მეცნიერება კულტურის შესახებ“ გ. კლემანოვი წერდა: „...განა სასაცილო არ არის ვამტკიცებდეთ, რომ პროლეტარიატის თვალსაზრისით ან, როგორც გ. რიკერტი აღნიშნავს, იმ თვალსაზრისით, რომელსაც თეორეტიკოსები თვლიან მასების თვალსაზრისად, უურაღებდა უმთავრესად ექცევა ეკონომიკურ ღირებულებებს? თუ ვინმე ამყარად ძირითად უურაღლებას აქცევს ამ ღირებულებებს, ეს არის სწორედ პროლეტარიატის მოწინააღმდეგე ბურჟუაზია. ისტორიის მატერიალისტური გაგების თანამედროვე მომხრეებს შესანიშნავად ესმით ეს და არასდროს ამას არ ივიწყებენ. ამრიგად, ამ მხრივაც რიკერტის მიერ მათზე ნათქვამი მოკლებულია უკველგვარ გონიერ საფუძველს“⁵. კ. მარქსი „ზედმეტი ღირებულების თეორიაში“ ბურჟუაზიის იდეოლოგებს სწორედ იმას უსაყვედურებდა, რომ მათ სულიერი ღირებულებები საზოგადოების სიმდიდრიდან გამორიცხეს და ისინი ეკონომიკურ ღირებულებამდე დაიყვანეს. მარქსიზმი უარყოფს აქსიოლოგიის (ღირებულების) აბსოლუტიზაციას, ამ უკანასკნელის მეცნიერულ ცოდნასთან დაპირისპირებას. ამავე დროს მარქსიზმი არ უარყოფს სინამდვილისადმი აქსიოლოგიური (ღირებულებითი) მიდგომის შესაძლებლობას, რეალურ ურთიერთობათა, ობიექტურ-სუბიექტურ ურთიერთობათა ერთ-ერთ ასპექტად მიაჩნია იგი.

ღირებულების პრობლემის გადაწყვეტისას ამოსავალ დებულებად მიჩნეულია კ. მარქსის დებულება ადამიანის მიერ სამყაროს სულიერი ასახვის (ათვისების) სხვადასხვა ხერხის შესახებ. ნაშრომში „კოლტიკური ეკონომიკის კრიტიკისათვის“ კ. მარქსი აღნიშნავდა, რომ „მოაზროვნე თავის“ მიერ სამყაროს ათვისების ხერხი ერთ-ერთი ხერხთაგანია, რომელიც განსხვავდება ამ სამყაროს მხატვრულ-რელიგიური, პრაქტიკულ-სულიერი ათვისებისაგან.

პიროვნების მიერ სამყაროს ასახვა (ათვისება) ხდება ისე, როგორც იგი რეალურად არსებობს, დამოუკიდებლად ჩვენი გრძნობებისა, მოთხოვნილებებისა, ინტერესებისა და მიზნებისა. სამყაროს ასეთი ათვისება დამახასიათებელია მეცნიერებისათვის, რადგანაც ამ უკანასკნელისათვის მთავარია ფაქტები, ე. ი. ნივთები და მოვლენები, რომლებიც არსებობენ დროსა და სივრცეში. მხოლოდ ამ საფუძველზე შეიძლება განხორციელდეს პრაქტიკული საქმიანობა. შემეცნება, როგორც აღნიშნავდა ლენინი, ამოდის პრაქტიკიდან, სტიმული ეძლევა მისი მოთხოვნილებებით, მის მსკვლელობაში მოწმდება და მასში ისხამს ხორცს მატერიალურად. შემეცნების შედეგები აისახება შემეცნებით, აღწერილობით, დესკრიპციულ მსკვლელობაში. სამყაროს თეორიული, სულიერი ასახვის, ათვისების მეორე ხერხი გამოიხატება „საგნის კავშირის განსაზღვრაში იმასთან, რაც სურს ადამიანს“. აქ, სუბიექტის მიზნებისა და ინტერესების მიმართ სამყაროს მოვლენები გვევლინება როგორც მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების სასარგებლო (ან არასასარგებლო) საშუალებები. შემეცნების სუბიექტისათვის მოვლენები სასარგებლო ან საზიანო, სასურველი ან არასასურველია. „სხვაგვარად რომ ვთქვათ, საგნის თეოლოგიური შეფასება ნიშნავს არა მის ბუნებრივ თვისებათა დადგენას (რადგან ბუნებრივი თეოლოგიური თვისებები უბრალოდ არ არსებობს), არამედ მის შეფასებას ისეთად (ან არა ისეთად), როგორც უნდა იყოს, — ე. ი. მასზე მსკვლეობას მისი ჭერარსობის, ჭერარსობასთან და არარსობასთან შესაბამისობის მიხედვით“⁶.

შეფასებითი მსკვლეობები აისახება ნორმებში, წესებსა და პრინციპებში. მეცნიერული შემეცნების მიზანია მოგვეცეს ცოდნა სინამდვილის კანონზომიერებათა შესახებ. შეფასებითი მსკვლეობის ფუნქცია იმით გამოიხატება, რომ შესაბამისი ნორმების საშუალებით მოაწესრიგოს ადამიანის ქცევა. „მიზნობრივ ღირებულებებს ბევრ შემთხვევაში აქვთ ნორმატიული ხასიათი, ე. ი. გულისხმობს განსაზღვრული წესების, ნორმების ან იდეალების არსებობას და ხორციელდება ამ ნორმების შესაბამისად. უკველგვარი მიზნობრივი მოღვაწეობის თავისებურება, როგორც მიუთითებდა კ. მარქსი, ის არის, რომ რაიმე სამუშაოს დაწყების წინ ადამიანს თავის თავში უკვე ჩამოყალიბებული აქვს სამუშაოს იდეალური სახე. ტექნიკაში ეს არის ნახაზები, სქემები და განაგარიშებანი, ეკონომიკაში — გეგმები, თეატრისა და კინოს ხელოვნებაში — სცენა-

⁵ Плеханов Г. В. Избр. фил. произв., т. III, с. 510.

⁶ Чавчавадзе Н. З. Культура и ценности — В сб.: Культура в свете философии. Тбилиси, 1979, с. 581.

რები, მორალში — ქცევის წესები. ეს ნორმები, როგორც კანონები, — წერდა მარქსი, განსაზღვრავს პრაქტიკული საქმიანობის მიმართულებას“⁷.

ღირებულების თეორიის მიხედვით ყოველგვარი სოციალური ნორმა, მათ შორის სამართლებრივი ნორმა, წარმოადგენს შეფასებით, სოციალურ-ნებელიზმის მსჯელობას. იგი წარმოადგენს ნიშნულს, მოდელს, მასშტაბს და, ამრიგად, კრიტერიუმს იმის განსასაზღვრად, თუ როგორი უნდა იყოს ადამიანის ქცევა მოცემული კოლექტივის — ორგანიზაციის, კლასის, საზოგადოების თვალსაზრისით. მაგალითად, სისხლისსამართლებრივი ნორმა შეიცავს ქცევის განსაზღვრულ წესს, რომელიც მოითხოვს ან საზოგადოებრივად საშიში ქმედობისაგან თავის შეკავებას, ან, პირიქით, საზოგადოებრივად სასარგებლო მოქმედებას. ქცევის ასეთი წესის დადგენით სისხლისსამართლებრივი ნორმა გვევლინება ღირებულებით მსჯელობად.

ხომ არ ნიშნავს საზოგადოდ შეფასებითი დებულების და, კერძოდ, სოციალური (მორალური, სამართლებრივი) ნორმის ღირებულების მსჯელობად მიჩნევა იმას, რომ იგი თავისუფალია აღწერილობითი, დესკრიფციული ელემენტისაგან?

ეს საკითხი ამჟამად ფილოსოფოსთა, ლოგიკოსთა და სამართალმცოდნეთა ყურადღების ცენტრშია. მეცნიერული ინტერესი ამ საკითხისადმი აიხსნება დეონტიკური ლოგიკის, ე. ი. ნორმათა და ნორმატიულ ცნებათა ლოგიკის წარმატებით. გამოთქმულია სულ სხვადასხვა შეხედულება. ერთნი ამტკიცებენ, რომ ნორმების მიმართ არ შეიძლება დაისვას კეშმარტიების საკითხი, სხვები კი იმ აზრისანი არიან, რომ სულ უბრალო ბრძანებასაც კი შეიძლება მივცეთ კეშმარტიების თუ სიცრუის მნიშვნელობა.

რით გამოიხატება აზრთა სხვადასხვაობა?

ლოგიკის მეცნიერებაში მსჯელობა განისაზღვრება როგორც „აზრის ფორმა, რომელშიც ხდება რაიმეს მტკიცება ან უარყოფა საგნების და მოვლენების თვისებების, კავშირების და ურთიერთობათა შესახებ და, რომელსაც აქვს ან კეშმარტიების ან სიცრუის გამოხატვის თვისება“⁸. აქედან გამომდინარეობს, რომ, თუ რაიმე აზრი არ შეიძლება დახასიათებული იქნეს როგორც კეშმარტი ან უაღბი, მაშინ იგი არ შეიძლება მივიჩნიოთ მსჯელობად.

ნეოპოზიტიური ეთიკის თანამედროვე წარმომადგენლები არსობისა და ჭეარარსობის განსხვავების საფუძველზე ამტკიცებენ, რომ პრინციპულად შეუთავსებელია მეცნიერება და მორალი. მეცნიერება, მათი შეხედულებით, იკვლევს ფაქტებს, საქმე აქვს კანონზომიერებასთან, ხოლო მორალს (და მათთანადამე, სამართალსაც) ნორმებთან. რომლებიც ჭეარარსობას გამოხატავენ. მეცნიერება აღწერს ფაქტებს, ხოლო მორალი აწესებს ქცევის წესებს. ამის გამო ნორმატიული მსჯელობები ანუ მსჯელობები ჭეარარსობის შესახებ, ფაქტების შესახებ მსჯელობებისაგან განსხვავებით, სულ სხვა გრამატიკული სტრუქტურით ხასიათდება. მსჯელობა ფაქტის შესახებ, ანუ მეცნიერული მსჯელობა ადასტურებს ან უარყოფს კავშირს ობიექტსა და მის დამახასიათებელ ნიშანს შორის. აქ მსჯელობას ასეთი ტიპური სახე აქვს: „არის“ ან „არ არის“ ნორმატიული მსჯელობა ასახავს არა ფაქტს, მის თვისებას, არამედ შეიცავს ბრძანებას, მოთხოვნას, — „არ იქურდო“, „არ მოკლა“ და ა. შ. ნორმატიულ მსჯელობას დირექტიული ხასიათი აქვს. ნორმა და შეფასება არ შეიძლება იყოს არც კეშმარტი და არც უაღბი. მათ არ შეიძლება მივაწეროთ პრედიკატი. მათი შეხედულებით, „კეშმარტიების“ პრედიკატი შეიძლება გამოვიყენოთ მხოლოდ მეცნიერული მსჯელობის მიმართ, ხოლო მორალური და ამიტომ სამართლებრივი ნორმები დგანან „კეშმარტიების სამეფოს“ და, მაშასადამე, „ლოგიკის სამეფოს“ მიღმა. ასეთ შეხედულებას მხარს უჭერს სოციალისტური ქვეყნების ზოგიერთი მეცნიერიც (გ. კლაუსი, ო. ვონინბერგერი, ვ. ეიხგორნი, დ. გორსკი).

ო. ვონინბერგერი ამტკიცებს, რომ ნორმატიული წინადადება თავისი ფუნქციით ისევე განსხვავდება გამოთქმისაგან, როგორც მსჯელობა „შენ არ უნდა იქურდო“ განსხვავდება გამოთქმისაგან „შენ მღერი“, გამოთქვაში (высказывание) აღწევს სინამდვილეს, შეიქმნება მისი ვერიფიცირება, აქვს შემცენებითი და ინფორმაციული ხასიათი (ფუნქცია). ყოველთვის ან კეშმარტიცა, ან — უაღბი. მის საწინააღმდეგოდ, ნორმატიული წინადადება არ წარმოადგენს გამოთქვას სინამდვილის შესახებ, იგი არ აღწერს, არ შეიძლება მისი ვერიფიცირება. არ ხასიათდება შემცენებითი მნიშვნელობით, არ წარმოადგენს ხატს და სინამდვილის ასახვას; იგი სინამდვილის პროდუქტია, ნიშანია. მის მიმართ არ შეიძლება გამოვიყენოთ „კეშმარტიების“

⁷ Тугаринов В. П. Теория ценностей в марксизме. М., с. 35—36.

⁸ Кондаков Н. И. Логический словарь-справочник. М., Мысль, 1975, с. 254.

ცნება. რადგან ახრულებს მხოლოდ „სახელმძღვანელო, მამოტივირებელ და მაკოორდინირებელ ფუნქციას“.⁹

იგივე შეხედულებისაა დ. გორსკიც. მას მიაჩნია, რომ სამართლებრივ და ეთიკურ ნორმებში ფიქსირდება არა ის, რაც არის, არამედ ის, რაც უნდა იყოს. თავად ობიექტური სინამდვილის მიმართ შეფასებითი, ან ნორმატიული წინადადებები (მაგალითად, „მისი ქცევა იმსახურებს წახალისებას“, „უკელა მშრომელი დაუგვიანებლად უნდა გამოცხადდეს სამსახურში“ „ესა და ეს დანაშაული ისეგაბა სისხლის სამართლის კოდექსის ამა და ამ მუხლით“) არ წარმოადგენენ ქეშმარიტს ან უაღბს ფაქტების შესახებ წინადადებების აზრით¹⁰.

ამ თვალსაზრისს ადგას ზოგიერთი ჩვენი სამართალმცოდნეც. მაგალითად, ა. ჩერდანცევი წერს: „თუ ვაღიარებთ სამართლის უკელა ნორმის ლოგიკურ მნიშვნელობას (ქეშმარიტებას ან სიუალებს), მაშინ უნდა შევთანხმებულიყავით იმაში, რომ: ა) ნორმების ქეშმარიტება დამოკიდებულია კანონმდებლისაგან, მაშასადამე საკანონმდებლო გზით შეიძლება შეცვალოთ ქეშმარიტება; ბ) სამართლის ნორმების ქეშმარიტება დამოკიდებულია კანონმდებლობის მდგომარეობისაგან; გ) ნორმები, რომლებიც რაიმე მიზეზის გამო არ მოქმედებენ, უაღბია; დ) ერთი და იმავე ფაქტის მიმართ შესაძლებელია ერთზე მეტი ქეშმარიტება, ე) ქეშმარიტება შეიძლება იყოს არაუკონკრეტული“¹¹.

საძიებელი საკითხის სწორად გადაწყვეტისათვის მხედველობაში უნდა ვიქონიოთ შემდეგი: როგორც ცნობილია, აღწერილობით მსჯელობის ძირითად ფუნქციას წარმოადგენს ფაქტობრივი ვითარების აღწერა. ასეთ მსჯელობებს იყენებენ აღწერილობითი მეცნიერებები, რომლებშიც წინა პლანზეა წამოწეული მსჯელობა ფაქტების შესახებ. მაგრამ, ვთქვათ, ბუნებია კანონი, რომელიც აღწერილობითი მსჯელობის ტიპურ მაგალითს წარმოადგენს, არა მარტო შეცვალებს ბუნებაში მიზეზ-შედეგობრივი კავშირების აღწერას, არამედ ამავე დროს უკარნახებს სუბიექტის იმოქმედოს განსაზღვრული სახით.

პირიქით, ნორმატიული მსჯელობაში ძირითად ფუნქციად გვემჩინება შეფასებით-იმპერატიული ფუნქცია. აქ შემეცნებითი მომენტები ექვემდებარება რეგულაციის ფუნქციას. სწორედ იმიტომ, რომ აღამიანის აზროვნება აქცენტს აკეთებს აღწერილობითი და პრეკრიპციული (მბრძანებლობითი) მსჯელობების ძირითად ფუნქციებზე, იქმნება ნიადაგი მათი ფარული. მაგრამ რეალური მეორეხარისხოვანი ფუნქციის უგულვებელყოფისათვის.

ვინაიდან ნორმატიული მსჯელობები გამოხატავენ არა ფაქტებს, არამედ ბრძანებებს, მოთხოვნებს, იქმნება მცდარი შთაბეჭდილება, თითქოსდა მათ არაფერი საერთო არ უნდა ჰქონდეთ სინამდვილესთან. მაგრამ ასეთი შთაბეჭდილება უსაფუძვლოა. არსებობს გენეტიკური კავშირი ჭეარასობისა, ე. ი. ნორმატიული მსჯელობისა სოციალურ ცხოვრებასთან.

ისტორია ადასტურებს, რომ საქმაოდ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში არსებობდა კონკრეტული (საგნობრივი) აზროვნება. იმპერატიული მსჯელობის წარმოშობა პირობადებულია ცნობიერების ევოლუციით. როგორც ეთიკოსი ლ. არხანგელსკი აღნიშნავს, იმპერატიული მსჯელობის წარმოშობას წინ უსწრებდა რეფლექსის მსჯელობები („X“ — სასარგებლოა, „Y“ — არაა სასარგებლო) და მათთან დაკავშირებული კონკრეტული, კაუზალურ-მიმოთვლური მსჯელობები (გააკეთებ „X“-ს, წარმოიშობა „Y“). ერთიპური ქცევის სარგებლობაზე უურადლების მრავალგზის გამახვილება, მისი განმეორების აუცილებლობა ქმნის შესაძლებლობას ასეთი კონკრეტული მსჯელობა შეიცვალოს შესაბამისი ქცევის განზოგადებული ზნეობრივი შინაარსის ამსახველი ზოგადი, ნორმატიული მსჯელობით (მაგალითად, „დახმარება — სასარგებლოა“), თანდათანობით, აღამიანის აზრის უნარის განვითარების კვალობაზე გასცდეს კონკრეტული სიტუაციის ჩარჩოებს, წარმოიშობა შესაძლებლობა მიზნის სახით დაიგეგმოს განსაზღვრული ტიპის ქცევები („აღმოუჩინე დახმარებას — მიადწევი სიკეთეს“). კონკრეტული ქცევები და ის სიტუაციები, რომლებშიც ისინი ხორციელდება, შეიძლება უსასრულოდ იცვლებოდეს, მაგრამ მათი განმამტიკებელი ლოგიკური ფორმა მყარია რჩება („გაკეთე „X“, წარმოიშობა „Y“). ვინაიდან ფორმა გაირკვა, იგი უკვე შეიძლება შევსებულიყო მისი შესაბამისი ნებისმიერი ადეკვატური შინაარსით. ამავე დროს აბსტრაგირებული აზრის შემდგომი

⁹ См. Кобляков В. П. Об истинности моральных суждений — Вопросы философии, 1968, № 5, с. 62.

¹⁰ См. Горский Д. П. Проблемы общей методологии науки и диалектической науки. М., 1966, с. 318—319.

¹¹ Черданцев А. Д. Специфика правового отражения — Правоведение, 1973, № 2, с. 103.

ევოლუცია განაპირობებდა განზოგადოების უფრო მაღალ ხარისხს... კაუზალურ-პიპოტეტური მსჯელობა დაიყვანება ენტიმეზამდე. იმპერატივი შენარჩუნებული რჩება. შედეგი იგულისხმება („გაკეთე X“). ასე წარმოიშობა ნორმატიული მსჯელობა როგორც მორალური მოთხოვნის გამოხატულება¹².

იმპერატიული მსჯელობების წარმოშობის პროცესი ასევეა წარმოდგენილი სამართლის მეცნიერებაშიც. „... ნორმატიული რეგულირება გულისხმობს გრძნობადი აზროვნებიდან. რომელიც არ განასხვავებს ზოგადსა და ცალკეულს, აღიქვამს ზოგადს ცალკეულთაგან განუყოფელ კავშირში, ზოგად ცნებებსა და მსჯელობებზე გადასვლას. ეს პროცესი შეესაბამება ადამიანის ცნობიერების საერთო განვითარებას მითიდიდან ლოგოსისაკენ. ნორმატიული რეგულაციის პირველი სისტემების ჩამოყალიბების დასაწყისში, (პერიოდი, რომელიც შეესაბამება სინამდვილის მითოლოგიურ აღქმას), არ არსებობს ნიშნისა და მნიშვნელობის, სახისა და ნივთის, ე. ი. გამოხატულებისა და გამოსახატავის განსხვავება. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ ეტაპზე კაცობრიობის ცნობიერება ჯერ კიდევ მკვეთრად არ განასხვავებს კონკრეტულ ნორმატიულ ურთიერთობასა და ზოგად აბსტრაქტულ ნორმას... ამიტომ ინდივიდუალური სამართლებრივი ურთიერთობა გენეტიკურად წინ უსწრებს ნორმას, რაც განსაკუთრებით თავს იჩენს სამართლის ძველ კაუზისტიკურ სისტემებში“¹³. მარქსიზმის კლასიკოსები მიუთითებდნენ, რომ უველაზე უფრო ადრინდელ და პრიმიტიულ ეპოქებში ეს ინდივიდუალური, ფაქტობრივი ურთიერთობები მათი უველაზე უხეში სახით წარმოადგენდა უშუალოდ სამართალს. სამოქალაქო საზოგადოების განვითარებასთან ერთად, ე. ი. პირადი ინტერესების კლასობრივ ინტერესებამდე ამაღლებასთან ერთად სამართლებრივი ურთიერთობები შეიცვალა და ცივილიზირებული სახე მიიღო. მათ უკვე განიხილავენ არა როგორც ინდივიდუალურ, არამედ საყოველთაო ურთიერთობედ¹⁴.

მორალური და სამართლებრივი ნორმების წარმომავლობა სოციალური სინამდვილიდან დასტურდება არა მარტო სოციალურ პრაქტიკასთან მისი გენეტიკური კავშირით, არამედ აგრეთვე თავად ამ ნორმების სტრუქტურის ლოგიკური ანალიზითაც.

იურიდიულ ლიტერატურაში ჩვეულებრივად მიუთითებენ, რომ სამართლებრივი ნორმა შედგება სამი ნაწილისა ან ელემენტისაგან. ესენია: პიპოტეზა, დისპოზიცია და სანქცია.

პიპოტეზა წარმოადგენს სამართლის ნორმის ნაწილს, რომელშიც განსაზღვრულია ის ფაქტობრივი გარემოებები, რომელთა არსებობისას მოქმედებს სათანადო ქცევის წესი. ქცევის წესის შემცველ სამართლებრივ ნორმის ნაწილს ეწოდება დისპოზიცია. სანქციაში კი მითითებულია სახელმწიფო იძულების ფორმაზე, რასაც იუენებენ ქცევის წესის დამრღვევი პირის მიმართ.

სამართლებრივი ნორმის ამ ლოგიკური სტრუქტურიდან ირკვევა, რომ სამართლებრივი ნორმა არ წარმოადგენს მხოლოდ შეფასებით, პრესკრიპციულ წინადადებას. ის ფაქტი, რომ სამართლებრივი ნორმა შეიცავს პიპოტეზასაც, ე. ი. სიტუაციის ამსახველ წინადადებას, საფუძველს ვაძლევს დავასკვნათ, რომ სამართლებრივი ნორმა წარმოადგენს აღწერილობითი და შეფასებითი, პრესკრიპციული მსჯელობების სინთეზს. ლოგიკის თვალსაზრისით, სამართლებრივი ნორმა შეიძლება განვიხილოთ როგორც პირობითი მსჯელობა, რომელიც უაღიბდება ორა სხვა მსჯელობისაგან ლოგიკური კავშირის — „თუ... მაშინ“ — საშუალებით. ამ შემთხვევაში ლოგიკური კავშირის საფუძველია სამართლებრივი ნორმის პიპოტეზა, ხოლო შედეგს წარმოადგენს სამართლებრივი ნორმის დისპოზიცია, ე. ი. ქცევის წესი აქედან წამომდგარი შედეგებით (სანქცია). ეს ნიშნავს, რომ თუ ჰეშმარტია წინადადება, რომელშიც აღწერილია შეხაბამისი სიტუაცია (პიპოტეზა), მაშინ პირობითი მსჯელობის საფუძვლის არსებობის გამო მოქმედებს ქცევის წესი, რაც გათვალისწინებულია სამართლებრივი ნორმის დისპოზიციაში.

4. ჩვენს ფილოსოფიურ და სოციოლოგიურ ლიტერატურაში დამკვიდრებული შეხედულების თანახმად, თეორიულ გამოკვლევებში აუცილებელია შესაბამისი პრობლემის კომპლექსური, უფრო ზუსტად, მეცნიერული, პროფესიულ-მიზნობრივი და ღირებულებითი (აქსიოლოგიური) თვალსაზრისით განხილვა. ამ შეხედულებას უშუალო დამოკიდებულება აქვს სამართალშემოქმედებასთან. სწორი საკანონმდებლო პოლიტიკა და საკანონმდებლო მოღვაწეობა გუ

¹² Архангельский Л. М. Курс лекции по марксистско-ленинской этике. М., Высшая школа, 1974, с. 65.

¹³ Зорькин В. Д., Муромцев М., Юрид. лит., 1979, с. 92.

¹⁴ См. К. Маркс и Ф. Энгельс. Соч., т. 3, с. 336—337.

ლისხმობს მეცნიერული და ღირებულებითი ასპექტების კომპლექსურ გათვალისწინებას. სამართალშემოქმედების პროცესში ღრმად, მეცნიერულად უნდა იქნეს შესწავლილი სოციალური პრაქტიკის მოთხოვნები და ამავე დროს გათვალისწინებული — მოწინავე საზოგადოებრივი აზრის მიერ აღიარებული ღირებულებები. არსებითად, საქმე ეხება სამართალშემოქმედების ეთიკურ კრიტერიუმებს. კანონმდებლის მიერ დასახული მიზნის განსახორციელებლად შეიძლება გამოვიყენოთ არა ყოველგვარი საშუალება, არამედ ისეთი საშუალება, რომელიც შეესაბამება კომუნისტური მორალის მიერ აღიარებულ ღირებულებებს.

სამართალშემოქმედებაში ყოველად შეუწყნარებელია საკითხის ცალმხრივი, მხოლოდ პრაგმატისტული, უტილიტარული გადაწყვეტა. „კომუნისტური მორალის შემოქმედება სამართლის სრულყოფაზე ძირითადად ხდება მორალური ცნობიერების ზეგავლენით საზოგადოების სამართლებრივ შეხედულებებზე. ქვეყნის მართლწოდებულობის ან არამართლწოდებულობის შესახებ წარმოდგენების ჩამოყალიბება ხორციელდება ჰუმანიზმის, ეთიკური ღირებულებების შეცნობის საფუძველზე“¹⁵.

ამ დებულების სისწორე შეიძლება მრავალი სამართლებრივი მოვლენის ანალიზით დავადასტუროთ.

მართვის ოპტიმალური მეთოდების შერჩევა გულისხმობს, რომ დასახული მიზნის განახორციელებლად გამოვანახოთ უმოკლესი გზა, მაქსიმალურად ეკონომიური და თანაც მარტივი. მართვის მეთოდების განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იყოს თავად ამ მეთოდების ეფექტიანობა და ისიც, თუ რამდენად მისაღებია ისინი სოციალურ-პოლიტიკური და ეთიკური თვალსაზრისით. კონკრეტულად ეს ნიშნავს, რომ, მაგალითად, სამეურნეო ამოცანების გადაწყვეტას გავითვალისწინოთ უფრო ზოგადი მიზანი: გულისხმიერი დამოკიდებულება ადამიანებისადმი, მათი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა. დასახულ მიზნის მისაღწევად შერჩეული მეთოდის შეფასება სოციალურ-პოლიტიკური ან ეთიკური თვალსაზრისით ხელს შეწყობს თავიდან ავიცილინოთ სოციალისტური სახელმწიფოს ჰუმანისტური მიზნებისაგან გადასრა. ისტორიულმა გამოცდილებამ დაადასტურა, რომ მანვე და მიუღებელია ფორმული: „მიზანი ამართლებს საშუალებას“. პრინციპი „უკვეთადი ადამიანისათვის, მისი კეთილდღეობისათვის“ წარმოადგენს იმ უმაღლეს პრინციპს, რომლითაც ხელმძღვანელობს კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა მართვის პრობლემების გადაწყვეტისას. ე. ა. შევარდნაძემ საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობაზე სამართლიანად მიუთითა, რომ პარტიული ორგანოს მუშაობის შეფასების კრიტერიუმს წარმოადგენს არა მარტო საბოლოო შედეგები, არამედ ისიც, თუ რა ხერხებით, რა საშუალებებით არის მიღწეული ეს შედეგები.¹⁶ რასაკვირველია, ამ ხერხებისა და საშუალებების შეფასებისას ერთ-ერთი უპირველესი მნიშვნელოვან მათ ღირებულებითს, უფრო ზუსტად, ეთიკურ მხარეს ენიჭება.

შეიძლება სხვა მაგალითების მოყვანაც.

დამნაშავეობის წინააღმდეგ მოქმედი სოციალური სისტემა მიზნად ისახავს დანაშაულთა შემცირებას და საბოლოოდ მის ლიკვიდაციას. მაგრამ ამ მიზნით მოქმედი სისტემის ეფექტიანობის შეფასებისას სავსებით სამართლიანად უურადღებებს ამავილებენ იმაზეც, თუ რამდენად შეესაბამება ჰუმანიზმის, მორალურ ღირებულებათა მოთხოვნებს დანაშაულის აღსაკვეთად და თავიდან ასაცილებლად გამოყენებული ხერხები და საშუალებები. ხერხის მიზანშეწონილობასთან ერთად საკიროა სათვალავში ვიქონიოთ ისიც, რომ იგი დასაშვები და მისაღები უნდა იყოს იდეოლოგიური, ზემობრივი და სოციალურ-პოლიტიკური თვალსაზრისით.

იმის დასამტკიცებლად, რომ დამნაშავეობასთან ბრძოლაში აუცილებელია აქსიოლოგიის მოთხოვნების დაცვა, პ. ოსიპოვს ასეთი მაგალითი მოჰყავს: კონკრეტულ-მეცნიერული მონაცემებით დადგენილია, რომ სექსუალურ დამნაშავეთა კასტრაცია გაუპატიურებასთან ბრძოლის უკველზე რადიკალურ ღონისძიებას წარმოადგენს. ასეთი ღონისძიება თითქმის გამორიცხავს რეციდივს და ამასთან სათანადო დამაშინებელ ზეგავლენას ახდენს. ყოველ შემთხვევაში ამ დანაშაულის შემცირებისათვის კასტრაცია უსათუოდ ქმედითი და ეკონომიურად უფრო ხელსაყრელი საშუალებაა, ვიდრე, ვთქვათ, თავისუფლების აღკვეთა. ასეთი საშუალება გამოიყენეს

¹⁵ Марксистско-ленинская общая теория государства и права. Социалистическое право. М., Юрид. лит., 1973, с. 194.

¹⁶ იხ. ე. ა. შევარდნაძე, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ინგარიში. მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობაზე 1981 წლის 22 იანვარს. საზოგადოებრივი სიტყვა 1981 წლის 24 იანვარს, თბილისი, საბჭოთა საქართველო, 1981, გვ. 143-144.

ფაზისტურ გერმანიაში, სადაც კასტრირებულ იქნა 2800 კაცი. კასტრაცია ამჟამად გათვალისწინებულია ზოგიერთი კაპიტალისტური ქვეყნის კანონმდებლობით. მაგრამ არც სოციალისტურ ქვეყნებში, არც უმრავლეს ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში არ იყენებენ ასეთ, ერთი შეხედვით ეფექტიან საშუალებას. იგივე ითქმის სიკვდილით დასჯაზე, რომელიც პროფესიულ-მიზნობრივი თვალსაზრისით მაქსიმალური ეფექტით ხასიათდება. თუ ასეთი სასჯელები არ არის გავრცელებული, ამის მიზეზი მეტად მარტივია: ამ სასჯელებს წინ ედობება იდეოლოგიურ ღირებულებათა სისტემა. ამრიგად, შეიძლება რაიმე საშუალება ეფექტიანი იყოს მოცემული მენეჯერების კრიტიკიუმების დონეზე, მაგრამ მიუღებელი აღმოჩნდეს აქსიოლოგიური თვალსაზრისით¹⁷.

ანდა ავიდეთ ევთანაზიის პრობლემა. მიუხედავად იმისა, რომ ევთანაზიის პრობლემას უარყოფითად ეკიდება საზოგადოებრივი აზრი და კანონმდებლობა, იგი ჩერჩვრობით არ შეიძლება საბოლოოდ უარყოფილად ჩაითვალოს.

ევთანაზიის ლეგალიზაციის მომხრენი არსებითად სიცოცხლის ღირებულების უტილიტარულ გაგებას ემყარებიან. 1936 წელს ინგლისის პარლამენტში ამ საკითხზე გამართული დისკუსიის დროს ცნობილია ექიმმა ლორდმა დოუსონმა აღნიშნა, რომ ჩვენს საუკუნეში სიცოცხლეს სულ უფრო მეტად აფასებენ თვისებრივი და არა რაოდენობრივი თვალსაზრისით. მცირე ღირებულება ეძლევა ცხოვრებას მაშინ, როდესაც მისგან სარგებლობა კლებულობს, ანდა როდესაც იგი დასასრულს უახლოვდება. სარგებლიანობის ამ პრინციპს, ერთი მხრივ, მიაწერენ ინდივიდს, სხილო მეორე მხრივ, საზოგადოებას. ასეთი მსჯელობის დედააზრი ის არის, რომ უკურნებელი და ძლიერი ტანჯვის თანმხლები სენის შემთხვევაში ავადმყოფის სიცოცხლის შენარჩუნებას აზრი აღარა აქვს არც თავად ავადმყოფის, არც მისი ოჯახისა და საზოგადოების ინტერესების თვალსაზრისით. თვით პრინციპს ანე აყალიბებენ: პიროვნებას აქვს არა მარტო სიცოცხლის, არამედ სიკვდილის უფლებაც¹⁸. ამ თვალსაზრისით სიცოცხლის ღირებულება მის სარგებლობაშია. სიცოცხლის შენარჩუნებას აზრი აღარა აქვს, თუ მას (სიცოცხლეს) აღარ ძაღლუძს განახორციელოს თავისი ფუნქცია.

მორალური და სამართლებრივი თვალსაზრისით ასეთი მოსაზრება ყოველად მიუღებელია. სიცოცხლე არ შეიძლება შეფასდეს მხოლოდ მისი კონკრეტული სარგებლიანობით. სიცოცხლე უზენაესი, აბსოლუტური ღირებულებაა და, მაშასადამე, სამართალმა უნდა დაიცავს იგი. ევთანაზია პრინციპულად შეუთავსებელია მედიცინის დანიშნულებასთან, არარად აქცევს ექიმის საზოგადოებრივ დანიშნულებას, ქმნის უარყოფით საზოგადოებრივ აზრს ამ პროფესიაზე. ამავე დროს ევთანაზია ძირს უთხრის ნდობას ექიმსა და პაციენტს შორის; პაციენტს ექმნება წარმოდგენა, რომ ექიმი მკურნალი კი არ არის, არამედ მისი პოტენციური მკვლეელი.

ამრიგად, ევთანაზიის დაუშვებლობა სისხლის სამართლის კანონმდებლობით პირველ ყოვლისა აქსიოლოგიური თვალსაზრისით არის ნაკარნახევი.

ასეთი მაგალითები შეიძლება კიდევ მოგვეყვანა, მაგრამ, ჩემი აზრით, ესეც საკმარისია იმის დასამტკიცებლად, რომ დანაშაულობასთან ბრძოლაში უთუოდ უნდა იქნეს გათვალისწინებული აქსიოლოგიური მოთხოვნები, რომ დაუშვებელია საზოგადოების დაცვის მიზნის აღიარებისას მხედველობიდან გავკეპაროს ხსენებული მოთხოვნები. საბჭოთა კანონმდებელი განუზრტლად იცავს ამ მოთხოვნებს.

წინამდებარე წერილში შევეცადე სამართლის ღირებულების პრობლემის ზოგიერთი საკითხი გამერჩია. მომავლისათვის ამ პრობლემის თვალთახედვით განვიხილავთ შესაბამის სისხლისსამართლებრივ ცნებებსა და ინსტიტუტებს.

¹⁷ Осипов П. П. Теоретические основы построения и применения уголовно-правовых санкций. Ленинград, 1975, с. 9.

¹⁸ См. Хорват Т. Эутаназия — проблема медицинской этики и уголовного права — В сб.: Правовые исследования. Сборник научных статей, посвященный 70-летию Т. В. Церетели. Тбилиси, 1977, с. 158.

ადამიანის გენეტიკის ზოგიერთი სოციალური და ეთიკურ-სამედიცინური პრობლემა*

ბ. სავანელი,

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

კაცობრიობა მიუახლოვდა გარემო ბუნებასთან ურთიერთმოქმედების თავისებურ და ამავე დროს მნიშვნელოვან და პასუხსაგებ მიჯნას. ადამიანის მოღვაწეობის სფერო იმდენად გაიზარდა, რომ იგი უკვე არსებითს გავლენას ახდენს თავის გარემომცველ ბუნებაზე, ცვლის მის სტრუქტურას, ბუნებაში არსებულ ნივთიერების მიმოქცევასა და ენერჯიის ბალანსს. ადამიანის ბუნებაზე ზემოქმედებამ, რომელმაც დღეს პლანეტალური მასშტაბები მიიღო, კაცობრიობის წინაშე დააყენა ბევრი ისეთი ახალი მეცნიერული პრობლემა, რომლებიც დაკავშირებულია თავად კაცობრიობის ბიოლოგიურ და სოციალურ მომავალთან.

ადამიანის ბუნებაზე ზემოქმედების შესაძლებლობებმა მნიშვნელოვნად გაუსწრო მისივე ბუნებაზე ზემოქმედების შედეგების გათვალისწინების შესაძლებლობებს. მართლაც, დღეს ძალზე ადვილია ქიმიური სუბსტანციების გამოყენებით დიდ ტერიტორიაზე მოვსპობთ სხვადასხვა სახის სასოფლო-სამეურნეო მავნებლები, მაგრამ იმავე დროს ძნელია განვსაზღვროთ ეკოლოგიური წონასწორობის დარღვევის მასშტაბები. რადგან ამ პრობლემის გადაწყვეტიან კომპლექსური მიდგომა არ არსებობს. საქმე ის არის, რომ ტექნიკური პროგრესის ტემპებს დიდი ხანია ვეღარ ეწევა მეცნიერთა ის მცირერიცხოვანი არმია, რომელიც მის შედეგებს იკვლევს. ამასთან მეცნიერთა ამ ნაწილის სიტყვას არცთუ იშვიათად სათანადო ავტორიტეტული მხარდაჭერა აკლია. მაგალითად, ჰაინარები, რომლებიც განვითარებულ ქვეყნებში მიედინებიან, დიდი ხანია კარგად იციან „ბუნებრივი წონასწორობიდან“ და იქნენ თავისებურ სატრასპორტო, ენერგეტიკულ, საკანალიზაციო სისტემებზე. მედიკოსები და ბიოლოგები წარმოების ტექნოლოგიის სულ უფრო მზარდი განვითარების პირობებში უკარასწორობენ იმ ახალი, ხელოვნური გზით მიღებული ნივთიერებების მავნეობის შემოწმებას, რომლებიც ნარჩენების სახით ხვდება ნიადაგში, მდინარეებში და ზღვებში. მეტეროლოგიური და ჰიდროლოგიური პროცესების შემოწმებით ეს ნივთიერებები სასუნთქი და საჭმლის მიმღები ორგანიზმების გავლით საბოლოო ანგარიშით ხვდება ადამიანის ორგანიზმში.

1. ცნობილია, რომ ქრომოსომული ცვლილებები სასქესო უჯრედებში, ჩანასახის და დაბადებული ბავშვის სომატურ უჯრედებში უმიზეზოდ არ წარმოიშობა. ამ ცვლილებებს იწვევს გარემოს ფაქტორები, რომლებსაც მუტაგენურ ფაქტორებს უწოდებენ. მუტაგენური ფაქტორები ძირითადად სამ დიდ ჯგუფად იყოფა. ესენია: ფიზიკური, ქიმიური და ბიოლოგიური ხასიათის მუტაგენური ფაქტორები.

* სტატია, რომელშიც ზოგადად მიმოხილულია საბჭოური ლიტერატურა, ეძღვნება მეცნიერების და პრაქტიკის თანამშრომლობის ერთ ასპექტს.

ფიზიკური (რადიაციული) მუტაგენური ფაქტორების საშიში გავლენა ადამიანის ორგანიზმის მემკვიდრეობით სტრუქტურაზე საფუძვლიანად არის დასაბუთებული და ჩვენს ქვეყანაში რადიაციული გამოსხივებისაგან ორგანიზმის დაცვა მაქსიმალურად უზრუნველყოფილია. რაც შეეხება ქიმიურ მუტაგენურ ფაქტორებს, მათი ორგანიზმის მემკვიდრეობით სტრუქტურაზე გავლენის საწინააღმდეგო ღონისძიებების შემუშავება — რეალიზაცია შორს არის პოზიტიური გადაწყვეტისაგან. პირიქით, ქიმიური მუტაგენური ფაქტორები სულ უფრო ღრმად აღწევენ ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაში და თუ დღესვე არ განხორციელდა რადიკალური ღონისძიებები მათი გამოყენების აკრძალვისათვის, უკვე არსებობს ადამიანის მემკვიდრეობითი პათოლოგიის გაზრდის რეალური საშიშროება. დღეს ქიმიური ხელოვნურად სინთეზირებული პრეპარატები ფართოდ გამოიყენება სოფლის მეურნეობაში, ყოფაში და მედიცინაში პესტიციდების, პერბიციდების და კონსერვანტების სახით. ყოველწლიურად დაახლოებით 250 ათასი ახალი ქიმიური ნივთიერების სინთეზირება ხდება, მათგან 500 ინერგება პრაქტიკაში. ლაპარაკია ხელოვნურ ე. ი. ისეთ შენაერთებზე, რომლებიც ბუნებაში არ მოიპოვება, არამედ მიღებულია ექსპერიმენტის გზით.

სახელმძღვანელო მეცნიერი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ნ. პ. დუბინინი და პროფ. ი. ვ. პაშინი თავიანთ ფუნდამენტურ გამოკვლევაში „მუტაგენური და გარემო“ განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ სწორედ ქიმიური მუტაგენური ფაქტორების სოციალურ შედეგების კვლევას. მათი აზრით, ქიმიური შენაერთების ფართო გამოყენებამ სოფლის მეურნეობაში გამოიწვია უდავო სამეურნეო წარმატებები, მაგრამ ასეთი მიღწევები, როგორც გაირკვა ფიზიკურად უჭდება კაცობრიობას¹.

მუტაგენური თვისებების შემცველ ობიექტებად მიჩნეულია: სამრეწველო (განსაკუთრებით ქიმიური) წარმოების ნარჩენები, აგრეთვე თვით წარმოების (განსაკუთრებით ქიმიური წარმოების) პროდუქტები, რომლებიც ხვდება მდინარეებში, ზღვებში, ნიადაგში და მათი მეშვეობით, საბოლოო ანგარიშით, ადამიანის ორგანიზმში. ამიტომ, ღრღისათვის მუტაგენური თვისებების შემცველ სისტემებად ითვლებიან: მდინარეები, შიდა (დახურული) ზღვები; ისეთი ღია ზღვები, რომლებიც ოკეანებთან და უფრო მოზრდილ ზღვებთან დაკავშირებული არიან ვიწრო და არაღრმა სრუტეებით; ისეთი ზღვები, რომლებშიც წყლის განახლება-ცირკულაცია მდორედ მიმდინარეობს; აგრეთვე ამ ზღვებში არსებული ის ფლორა და ფაუნა, რომელსაც ადამიანი მოიხმარს.

მუტაგენური თვისებების შემცველ ნივთიერებებად მიჩნეულია ზოგიერთი სამკურნალო პრეპარატი, განსაკუთრებით ე. წ. „სტრესის“ მოსახსნელი სხვადასხვა (საძილე, ჰიპოტენზიური, ასიქოტროპიული და სხვა) საშუალებები, აგრეთვე „მიცინის“ კლასის ზოგიერთი საშუალება (განსაკუთრებით ბიომიცინი და აზასერინი); თმის საღებავი საშუალებები, რომლის მუტაგენური ეფექტი ძალზე მაღალია და უშუალოდ ძლიერ ზემოქმედებას ახდენს პოპულაციაზე.

ის, რომ ქიმიური მუტაგენური ფაქტორები იწვევენ ისეთი გავრცელებული მემკვიდრეობითი ავადმყოფობების ჩასახვას, როგორც არის ჰიპერტო-

¹ Дубинин Н. П., Пашин Ю. В. Мутагенез и окружающая среда, М., 1978, с. 10—15, 29—50.

ნიული დაავდება, ათერიოსკლეროზი, გლაუკომა, კუჭის წყლული, აღარავის არ აეჭვებს².

2. ცნობილი მეცნიერის — პროფ. ი. ა. რაპოპორტის ნაშრომებიდან საინტერესოა ის თავები, სადაც განხილულია ქიმიური მუტაგენების მოქმედების საკითხი მრეწველობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დარგში — კვების მრეწველობაში³. ყურადღებას შევაჩერებთ ზოგიერთ მოსაზრებაზე.

ი. ა. რაპოპორტი სამედიცინო-ჰიგიენური თვალსაზრისით წინააღმდეგია ქიმიური მუტაგენების ძლიერ და სუსტ ჯგუფებად განაწილებისა. შეცდომაა, თითქოს ძლიერი მუტაგენები საბოლოო ჯამში წარმოადგენენ უფრო საშიშს ადამიანის ჯანმრთელობისათვის, ვიდრე სუსტი და ზომიერი მუტაგენები, რადგან გენეტიკური ზიანის მასშტაბი დამოკიდებულია არა მარტო ძლიერი და სუსტი მუტაგენების აბსოლუტური ერთეულების შეფარდებიდან ერთნაირი ან მაქსიმალური კონცენტრაციით, არამედ იმისაგან, თუ რამდენად სისტემატურად ხდება ადამიანის ორგანიზმში გენეტიკური საწამლავი.

სპეციალური ანალიზის შედეგად გაჩვენდა, რომ სუსტი და ძალზე სუსტი ქიმიური მუტაგენები ერთობლიობაში უფრო საშიშია, ვიდრე ძლიერი, რადგან, ჰიგიენისტები და ეკონომისტები სუსტ და ძალზე სუსტ ქიმიურ მუტაგენებს უფრო შეღავათიანად ეკიდებიან მათი შემცველი ნივთიერებების წარმოებაში დანერგვის დროს.


ადამიანის მემკვიდრეობითი ავადმყოფობების სტიმულატორების ნიმუშად ი. ა. რაპოპორტს მოჰყავს ჰერბიციდები, ინსექტიციდები, ფუნგიციდები და სხვა ტოქსიკური ნივთიერებები, რომლებიც გლობალურად გამოიყენება სოფლის მეურნეობაში. ი. ა. რაპოპორტს მიაჩნია, რომ საჭიროა „ციდების“ გამოყენების დაუყოვნებლივი აკრძალვა და მათი შეცვლა მცენარეთა ისეთი ჯიშებით, რომლებიც ინდუცირებული მუტაციების თვალსაზრისით უფრო მდგრადნი არიან.

ადამიანის მუტაგენეზის გადიდების ერთ-ერთ მთავარ ფაქტორად ი. ა. რაპოპორტს მიაჩნია კვების მრეწველობა. საქმე ეხება იმ ქიმიურ შენაერთებს, რომლებსაც რძეს, ღვინოს, ხორცს და სხვა პროდუქტებს ამატებენ იმ მიზნით, რომ გაიზარდოს ფაბრიკატის მდგრადობა, შესახედაობა და აპეტიტურობა, მაშინ როდესაც სრულიად შესაძლებელია ბუნებრივი კვებითი კომპონენტებს ისეთი ვარირება, რომელიც მოგვეცემს იგივე ეფექტს. სამწუხაროდ, კვების მრეწველობაში ჰიგიენისტ-გენეტიკოსს სიტყვა (ისიც მოკრძალებული) შეიძლება გავიგონოთ მხოლოდ მზა პროდუქციის შეფასებისას, მაგრამ არა წარმოების დაგეგმვის პროცესში.

ი. ა. რაპოპორტი, საბოლოო ანგარიშით იმ დასკვნამდე მიდის, რომ თანამედროვე კვებას მრეწველობა წარმოადგენს ადამიანში მუტაგენების ზრდის ერთ-ერთ უმთავრეს კერას. მკაცრი სახელმწიფო სანიტარული კონტროლის შესუსტების გამო. პასუხსაგებ მკაცრ კონტროლს, რომელიც მიზნად ისახავს გენეტიკურად მკვნე ხელოვნური შენაერთების აკრძალვას, შეუძლია ადამიანის მომავალი დამოკიდებული გახადოს უფრო მეტად ჰიგიენისტ-გენეტიკოსისაგან, ვიდრე თერაპევტისა და ქირურგისაგან.

² См. «Генетика и медицина. Итоги XIV Международного генетического конгресса», М., 1979.

³ См. И. А. Роппорт. Химический мутагенез. М., 1966.



ამიტომ, ჩვენი აზრით, საჭიროა სახალხო მეურნეობაში ჰიგიენისტ-გენეტიკოსის სამართლებრივი სტატუსის დადგენა, უფლება-მოვალეობათა იმ ფარგლებში განსაზღვრა. რომლებიც დაკავშირებულია წარმოებაში დასანერგად გამოზადებული ან გასაყიდად გამოსაშვები პროდუქტების მუტაგენურობის შემოწმებასთან. ამ მიმართებით, კერძოდ, მიზანშეწონილია საქართველოს სსრ სსკ 160-ე და 161-ე მუხლებში მოხსენებულ სუბიექტთა წრეში შეყვანილ იქნეს ჰიგიენისტ-გენეტიკოსი. მაგრამ ეს მანაც მთავარი არ არის. რადგან კანონის მიღება თვითმიზანი არ უნდა იყოს. ცნობილია, რომ კანონი ცოცხლობს, მოქმედებს, როდესაც ის სრულდება. სამწუხაროდ, არა მარტო საქართველოს სსრ სსკ 160-ე და 161-ე მუხლებზე, არამედ საქართველოს სსრ სსკ 162-ე, 164-ე, 172-ე, 173-ე, 176-ე, 176¹-ე, 176²-ე, 184-ე და 251¹-ე მუხლები, მიუხედავად მათი სიახლისა, ძირითადად „მკვლარი ნორმებია“, მათი შეფარდების პრაქტიკა ხალხზე უმნიშვნელოა, რადგან ისინი აწყდებიან ისეთ მძლავრ და ყოველსშემძლე სოციალურ ფენომენს, როგორც არის სახელმწიფო გეგმა.⁴ ამ მიმართულებით პროკურატურის ორგანოებიც (განსაკუთრებით საერთო ზედამხედველობის ხაზით) არ იჩენენ აქტიურობას. როგორც ჩანს, დღის წესრიგში დგას პროდუქტების ხარისხისადმი ზემოაღნიშნული თვალსაზრისით საპროკურორო ზედამხედველობის გააღიერება.

ასეთი სახელმწიფოებრივი ღონისძიებების განხორციელების აუცილებლობის დასასაბუთებლად ფაქტების მოყვანა ზედმეტად მიგვაჩნია. რადგან ამგვარი ხასიათის ზოგადი და ექსპერიმენტული ლიტერატურა, რომ იტყვიან, უთვალავია. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ მხოლოდ ერთ ცაფრობრივ მონაცემს.

თუკი ყოველ 1000 დაბადებული ბავშვიდან 2 ახალშობილი დაავადებულია მემკვიდრეობითი ავადმყოფობით. იმისათვის, რომ ნორმალურ პირობებში აქტიური ჩარევით 10-ჯერ იქნეს შემცირებული მემკვიდრეობითი დეფექტით დაზარდულთა რიცხვი (10.000-ზე — 1) საჭიროა 2.250 წელიწადი⁵. ნორმალური პირობების ქვეშ იგულისხმება მართვა იმ ბუნებრივი (ბიოლოგიური) მუტაგენური ფაქტორებისა, რომლებიც კაცობრიობამ დააგროვა მრავალმოლიონიანი განვითარების პროცესში. მაგრამ, თუკი ამას დაეუმატებთ ადამიანის მიერ თვით შექმნილ და გეომეტრიული პროგრესიით მზარდ ფიზიკურ და ქიმიურ მუტაგენურ ფაქტორებს, ცხადია, რომ მაშინ საკმაოდ მძიმე და ნაკლებად პერსპექტიულ სურათს მივიღებთ⁶.

3. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს-მდივანი, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის მთავარი სწავლული მდივანი, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის სამედიცინო გენეტიკის ინსტიტუტის დირექტორი, გენეტიკოსთა და სელექციონერთა საკავშირო საზოგადოების პრეზიდენტი — ნ. პ. ბოჩკოვი თავის წერილში „ადამიანის თანამედ-

⁴ ასეთ დაკვენამდე მივდით სახალხო სასამართლოების სასამართლო პრაქტიკის გასრობის შედეგად.

⁵ «Генетические последствия загрязнения окружающей среды», М., 1977, стр. 14—15.

⁶ მუტაგენურ ფაქტორთა შორის ასახელებენ აგრეთვე ურბანიზაციის პროცესთან დაკავშირებულ სხვადასხვა ხასიათის „სტრესებსაც“. **Алекперов У. К. Абуталыбов М. Г., Ахундов Д. Д., Антимутагенная активность.** В сб.: «Генетические последствия загрязнения окружающей среды», М., 1977, стр. 188—189.

როვე გენეტიკის მეთოდოლოგიური და სოციალური საკითხები“ განიხილავს ადამიანის მემკვიდრეობითობის დაცვის, ადამიანთა მრავალფეროვნების შენარჩუნების, მემკვიდრეობითი ავადმყოფობით დაავადებულთა მიმართ იურიდიული და ეთიკური ნორმების დაცვის, გენეტიკოსთა ეთიკური და იურიდიული პასუხისმგებლობის, დემოგრაფიისა და გენეტიკის, პედაგოგიკის და გენეტიკის ურთიერთობის ზოგიერთ პრობლემატურ საკითხს⁷.

ნ. პ. ბოჩკოვს ადამიანის თანამედროვე გენეტიკის ამოსავალ მეთოდოლოგიურ დებულებად მიაჩნია ადამიანის ბიოსოციალური ბუნება. ასეთი მეთოდოლოგიური წინამძღვრიდან გამომდინარე, მისი აზრით, მკვლევარმა მხედველობაში უნდა მიიღოს ბიოლოგიური მხარე ადამიანის სოციალური მახასიათებლების ანალიზის დროს და სოციალური ასპექტები -- ადამიანის ბიოლოგიის საკითხების კვლევისას.

საბჭოურ ლიტერატურაში საკმაოდ კრიტიკულად შეფასდა ბევრი მცდარი კონცეფცია გენეტიკურ კანონზომიერებათა სოციალური გამოვლინებების და ამ გამოვლინებათა პერსპექტივების შესახებ, მაგრამ, ნ. პ. ბოჩკოვის აზრით, ამასთან ერთად ზოგჯერ გამოთქვამენ უზუსტო კრიტიკულ შენიშვნებსაც. ამის საწინაშემოდ შეიძლება მოვიყვანოთ გაუმართლებელი კრიტიკა XYY ქრომოსომული კონსტიტუციის ინდივიდების ფსიქიკურ გამოვლინებათა შესახებ. მაშინ როდესაც დადგენილია, რომ XYY ქრომოსომული წყობა არანორმალურია ადამიანისათვის, მაშასადამე მამაკაცმა ასეთი ქრომოსომული კონსტიტუციით შეუძლია გამოავლინოს ანტისოციალური ქცევა.

ბიოლოგიურა ევოლუციის პროცესში ადამიანთა პოპულაციებში დაგროვდა ბევრი პათოლოგიური მუტაცია, რომლებიც სხვადასხვა ავადმყოფობათა სახით ვლინდება. ამას დაემატა თვით ადამიანის მიერ ხელოვნურად შექმნილი მუტაგენური ფაქტორები. ამჟამად უკვე აღარავის არ მიაჩნია საეჭვოდ მემკვიდრეობითი ფაქტორების არსებითი როლი ადამიანის პათოლოგიურ გამოვლინებებში. საშუალოდ, განვითარებული ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის მონაცემებით, ბავშვების 5 პროცენტი იბადება მემკვიდრეობითი პათოლოგიით. ბავშვთა საერთო პროფილის საავადმყოფოებში ბავშვების არანაკლებ 20 პროცენტის გოსპიტალიზირება ხდება მემკვიდრეობითი ავადმყოფობების გამო. ხანში შესული პირების არანაკლებ 25 პროცენტისა სწორედ მემკვიდრეობითი ავადმყოფური გამოვლინებების გამო მიმართავს სამედიცინო დაწესებულებებს. მემკვიდრეობით დაავადებათა მძიმე მიმდინარეობის მრავალრიცხოვანი მაგალითები, ავადმყოფთა ამ ჯგუფის შენახვისა და მოვლა-რჩენის დიდი ხარჯების მაგალითები მრავალია როგორც სპეციალურ, ისე პოპულარულ ლიტერატურაში.

მემკვიდრეობითი პათოლოგიის სოციალურმა პრობლემებმა წარმოშვა მათი გადაჭრის თავისებური კონცეფციები. მათ განეკუთვნება ამ პრობლემების გადაჭრა ევთანაზიის, ნეგატიური ევგენიკის (სტერილიზაცია, ხელოვნური განაყოფიერება), გენური ინჟინერიის მეთოდებით. მემკვიდრეობითი პათოლოგიისაგან ტოტალური განთავისუფლების ასეთი კონცეფციების კრიტიკული

⁷ Бочков Н. П. Методические и социальные вопросы современной генетики человека. «Вопросы философии», № 1, 1981, стр. 51—62.

ანალიზი არაერთხელ ჩატარდა ფილოსოფიური, ეთიკური და გენეტიკური პოზიციებიდან⁸.

ნ. პ. ბოჩკოვის ზრით, მეცნიერებისა და საზოგადოების პროგრესი იძლევა იმის საშუალებას, რომ გამოინახოს უფრო სამართლანი გზები იმ პირთა და ოჯახების დასახმარებლად, რომლებიც დაავადებული არიან მემკვიდრეობითი ავადმყოფობით. უკვე დღეს არსებული მეთოდები: ავადმყოფობის აღრეული დიაგნოსტიკის გამოყენება, მედიკო-გენეტიკური კონსულტაცია, შშობი-არობამდელი დიაგნოსტიკა — წარმოადგენენ ასეთი მართლზომიერი გზების მიგნების ნიმუშებს და იძლევიან დადებით პერსპექტივას მემკვიდრეობითი პათოლოგიური მუტაციების პროფილაქტიკის მიმართულებით. ამას ემატება თვით მედიცინისა და ბიოლოგიის პროგრესი. დღეს, მაგალითად, პრაქტიკულად უწყებელი გახდა ახლომხედველობა, რეზუს-შეუთავსებლობა და ა. შ.

ამასთან, მემკვიდრეობით ავადმყოფობათა დიაგნოსტიკისა და მკურნალობის მეთოდების ინტენსიურმა განვითარებამ, ნ. ა. ბოჩკოვის აზრით, უცხოეთში გამოიწვია სოციალური თვალსაზრისით ერთი მცდარი კონცეფციის წარმოშობა, რომლის პროპაგანდის ცდა იყო ჩვენს ლიტერატურაშიც. ამ კონცეფციას საფუძვლად დაედო ფაქტი, რომ ზოგიერთი მემკვიდრეობითი ავადმყოფობის პროფილაქტიკა უფრო ეკონომიურია, ვიდრე ასეთ ავადმყოფთა მკურნალობა და შენახვა. ამიტომ დაისვა საკითხი, რათა ავადმყოფობის დიაგნოსტიკება მომხდარიყო დაბადებისთანავე. ნ. პ. ბოჩკოვის აზრით, ასეთი კონცეფცია ანტიჰუმანისტურია და უცხოა საბჭოთა ჯანმრთელობის დაცვისათვის.

ასევე მცდარი კონცეფცია წარმოშვა, ნ. პ. ბოჩკოვის აზრით, იმ მოსაზრებამ, თითქოს სოციალური პროგრესი აუარესებდეს საერთოდ ადამიანთა მემკვიდრეობას, და რომ საჭიროა დაუყოვნებლივი საკანონმდებლო ღონისძიებები.

ამ კონცეფციის ავტორთა აზრით, სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესება იწვევს მემკვიდრეობით ავადმყოფთა გადარჩენას, რასაც შედეგად ის მოჰყვება, რომ ისინი, ტოვებენ რა მემკვიდრეებს, ზრდიან პათოლოგიური მუტაციების სიხშირეს, „აბინძურებენ“ ადამიანთა გენოფონდს. ადამიანთა შორის ბუნებრივი შერჩევის არარსებობას თანდათან მოჰყვება ადამიანთა მოდგმის სოციალური და ბოლოს ბიოლოგიური გადაგვარება, ხოლო ტექნიკური პროგრესის უარყოფითი შედეგები (რადიაციული, ქიმიური) უფრო მეტად დააჩქარებს ამ პროცესს.

ამჟამად, უფრო მნიშვნელოვანია და აქტუალურია, ნ. პ. ბოჩკოვის აზრით, მემკვიდრეობაზე თანამედროვე დემოგრაფიული პროცესების გავლენის პრობლემა. საქმე ის არის, რომ ცივილიზაციის გნვითარებას გარდაუვალად თანსდევს მოსახლეობის მკვეთრი მიგრაცია, რასებისა და ხალხების „აღრევა“. თუკი ადრე მეუღლის არჩევის შესაძლებლობები რელიგიური, რასობრივი, გეოგრაფიული, ეროვნული, კასტური, კლასობრივი საზღვრებით შემოიფარგლებოდა. დღეს ეს საზღვრები თანდათან იშლება. ადრე გენეტიკური იზოლატორების (გვარი, სოფელი, თემი) მთლიანობა ირღვეოდა დროებით და ისტორიულად უმნიშვნელოდ, უპირატესად ომების და ოკუპაციების შედეგად, დღეს აღარ არსებობს ადამიანთა პოპულაციის გენეტიკური „აღრევის“ არსებითი საზღვრები. ქორწინების საუკუნეობით გამოუმუშავებული საზღვრების რღვევა სრულიად ახალი პროცესია ადამიანის ბიოლოგიაში. რამდენადაც იგი თანდათან იპყრობს

⁸ См. А. П. Пехов. Социальные проблемы генетики, М., 1975.

ყველა კონტინენტის მოსახლეობას და წარმოადგენს პროცესს, რომელსაც კაცობრიობა უკვე შეეჯახა, გენეტიკოსების წინაშე აქტუალურად დგას ამ საკითხის შესწავლის ამოცანა საერთოდ ადამიანის ჯანმრთელობის პროგნოზირების, ადამიანთა მოდგმის გენოფონდის ხარისხზე მისი გავლენის თვალსაზრისით.

დღეს კაცობრიობა იმყოფება ადამიანთა მემკვიდრეობითობაზე ძალაუფლების მოპოვების ისეთ ზღურბლთან, როდესაც მას შეუძლია თავისი მომავალი ბიოლოგიური ბედის განსაზღვრა. ამიტომ, იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული უარყოფითი შედეგები, საჭიროა გარკვეული ეთიკურ-სამართლებრივი ნორმების დაცვა. მოცემულ შემთხვევაში ეთიკურ-სამართლებრივი ნორმების დაცვის მომეტებულ აუცილებლობას განსაზღვრავს თვით მემკვიდრეობითი ავადმყოფობების მიმდინარეობის სპეციფიკაც, რაც გამოიხატება მისი ხანგრძლივობით, თაობიდან თაობაში მისი გადაცემის უნარით და სხვა.

გენეტიკის პროგრესის ეთიკური პრობლემები დაკავშირებულია: მემკვიდრეობითი ავადმყოფობების დიაგნოსტიკის მეთოდების შერჩევასთან, სამედიცინო-გენეტიკურ კონსულტირებასთან, ასეთ ავადმყოფობათა მშობიარობამდე დღე დიაგნოსტიკასთან, გენურ ინჟინერიასთან.

მემკვიდრეობითი ავადმყოფობების ადრეული დიაგნოსტიკის დროს ეთიკური თვალსაზრისით საჭიროა დაცულ იქნეს ძირითადად ორი პირობა:

უპირველეს ყოვლისა, წინასწარი დიაგნოზირების პროცესში მკვლევარს თუ ექიმს მკაცრად ევალება სიზუსტის დაცვა, რადგან ასეთი მეთოდის გამოყენებისას ყოველთვის არსებობს ყალბად დადებითი (დამაკმაყოფილებელი) დიაგნოზის დასმის საშიშროება, და პირიქით. თუ კი დიაგნოზი არ იქნება დაზუსტებული, მაშინ ჯანმრთელი ბავშვებიც შეიძლება დარჩნენ მიმე დაავადების დიაგნოზით, რაც გამოუსწორებელ მორალურ ზიანსა და სულიერ ტანჯვას მიაყენებს მშობლებს, ოჯახის წევრებს და მომავალში თვით „ცრუავადმყოფს“.

მეორე; მემკვიდრეობითი ავადმყოფობების ადრეული დიაგნოსტიკა ეთიკურ-სამართლებრივი თვალსაზრისით მართლზომიერია იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ავადმყოფთა დისპანსეროზაცია, მათი პროფილაქტიკური მკურნალობა ან სოციალური დახმარება. აგრეთვე მშობელთა ზუსტი სამედიცინო-გენეტიკური კონსულტირება. თუ ეს პირობები არ იქნება რეალურად უზრუნველყოფილი, მაშინ ავადმყოფობის ადრეული დიაგნოსტიკა განხილულ უნდა იქნეს მხოლოდ როგორც ექსპერიმენტული პროცედურა, რომელსაც შეუძლია მხოლოდ მორალური და სულიერი ვნება მიაყენოს ავადმყოფს, რაც კერძოდ შეიძლება გამოიხატოს მისი დისკრიმინაციით ჯანმრთელი პირებისაგან (ქორწინებაში შესვლის შეუძლებლობა, სამუშაოზე მიღების გაუმართლებელი შეზღუდვები და მისთანები).

ექიმ-გენეტიკოსის პასუხისმგებლობასთან არის დაკავშირებული მშობელთა სამედიცინო-გენეტიკური კონსულტაციის სიზუსტე. საქმე ეხება იმ შემთხვევას, როდესაც კონსულტირებულთ ატყობინებენ ავადმყოფი ბავშვის დაბადების რისკს ან აძლევენ რეკომენდაციას თავი შეიკაონ შემდგომში ბავშვის გაჩენისაგან. ნ. პ. ბოჩკოვის აზრით, კონსულტანტ-გენეტიკოსის მთავარი ამოცანაა მშობლებს გააცნოს აუცილებელი სამედიცინო-გენეტიკური ინფორმაცია. საბოლოო გადაწყვეტილების მიღების უფლება ბავშვის ყოლის თაობაზე და რისკი ყოველთვის რჩებათ მშობლებს. სსრ კავშირში ექიმი-გენეტიკოსი ეხმარებ.

ოჯახს ბავშვის ყოლის საკითხის გადაწყვეტაში, მაგრამ მას არა აქვს უფლება ნოთიხოვოს საკითხის კატეგორიული გადაწყვეტა.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე ნ. პ. ბოჩკოვს მიაჩნია, რომ მემკვიდრეობითი ავადმყოფობით დაავადებულთა დახმარების საკანონმდებლო დებულებები შეიძლება განსხვავდებოდეს ცალკეული ქვეყნების მიხედვით, მაგრამ მათში აუცილებლად გათვალისწინებული უნდა იქნეს ზოგადსააკცობრიო მორალური პრინციპები.

* * *

წერილში დასახელებული პრობლემები მხოლოდ მცირე ნაწილია კაცობრიობის წინაშე მდგარი იმ გლობალური ხასიათის პრობლემებისა, რომელთა გადაჭრის დედააზრია მეცნიერულ აღმოჩენათა საზოგადოებრივ პრაქტიკაში დანერგვის პროცესში საერთაშორისო, სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი და ეთიკურ-ჰუმანისტური კონტროლის დაწესება. თანამედროვეობის გლობალური პრობლემების კვლევა წარმატებით ხორციელდება ჩვენს ქვეყანაში⁹, თუმცა ასეთი პრობლემების მეცნიერული კვლევისა და გადაჭრის გაფართოების პერსპექტივები არცთუ ისე დამაიმედებელია, თუ გავითვალისწინებთ გამალებული შეიარაღების მზარდ ტემპს მსოფლიოში. მაგალითად, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მონაცემებით, დღეს მსოფლიოში მეცნიერ მუშაკთა საერთო რიცხვიდან 25 პროცენტი დასაქმებულია სამხედრო სფეროში: სამეცნიერო კვლევით და საკონსრუქტორო-საცდელ სამუშაოებზე გამოყოფილი საერთო თანხიდან — 40 პროცენტი მოდის სამხედრო სფეროზე¹⁰.

მაგრამ კაცობრიობის წინაშე მდგარი გლობალური პრობლემები არ ამოიწურება მხოლოდ იმ მოვლენებით, რომლებიც საფრთხეს უქმნის თვით ადამიანის ბიოლოგიურ არსებობას. ადამიანის პრობლემა არ შეიძლება დაყვანილ იქნეს მისი არსებობის ბუნებრივი პირობების შენარჩუნებად. ადამიანი არა მარტო ბიოლოგიური, არამედ უპირატესად **სამყაროს უნიკალური კულტურული ფენომენია**. სწორედ ამიტომ, ადამიანის ბიოლოგიური სახის შენარჩუნება უნდა ემსახუროდეს თვითეულ ადამიანში ჰუმანიტარულ და კულტურულ ღირებულებათა განვითარების და გაშლის უგლობალურეს მიზანს. სხვანაირად ადამიანის ბიოლოგიური არსებობის შენარჩუნებას საზრისი ეკარგება და ადამიანის — როგორც ბიოლოგიურა სახის — შენარჩუნება თვითმიზნად იქცევა.

ჩვენი აზრით, ასეთ გლობალურ ჭრილში აყენებს პრობლემას სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი — ი. ტ. ფროლოვი. ი. ტ. ფროლოვის აზრით, დღეს კაცობრაობა იმყოფება ცივილიზაციის განვითარების მძიმე და საშიშ პერიოდში, როდესაც ადამიანს ადვილად შეუძლია გაანადგუროს თანამედროვე ცივილიზაცია, რომლის შექმნა წარმოუდგენელ ისტორიულ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. იმედია, მიუხედავად ჩვენი და საერთოდ ცივილიზაციის არასრულყოფადობისა, კაცობრაობა თავს დააღწევს ასეთ მძიმე და საშიშ პერიოდს. მაგრამ მხოლოდ იმედი ცოტაა, საჭიროა შესაბამისი აქტიური მოქმედება. რასელ-ეინშტეინის ცნობილ მანიფესტში ხაზგასმული იყო:

⁹ იხ. აკადემიკოსების ჯ. გვიშინის, პ. ლ. კაპიცას, პ. ნ. ფედოსევის, ი. ტ. ფროლოვის და ვ. ა. ენგელგარტის ნაშრომები.

¹⁰ მონაცემები აღებულია მეორადი წყაროდან — იხ. **И. Т. Флоров**. Наука — ценности — гуманизм, «Вопросы философии», № 3, 1981, с. 29.

„იმისათვის, რომ ჩვენს პლანეტაზე შენარჩუნებულ იქნეს სიცოცხლე, ჩვენ როგორც ადამიანთა მოდგმის წარმომადგენლებმა — უნდა ვისწავლოთ ახლებურად აზროვნება და გადავდგათ პრაქტიკული ნაბიჯები, რომლებიც გამორიცხავს ომს და გამალებულ შეიარაღებას“. სწორედ აქედან იღებს სათავეს ცნობილი პაგუოშის მოძრაობა, რომლის 20 წლის იუბილეზე აკადემიკოსმა მ. ა. მარკოვმა მწვავედ დააყენა კითხვა: „ვისწავლეთ კი ჩვენ ახლებურად აზროვნება?“ ამ კითხვაზე ერთგვაროვანი პასუხი გაცემული ვერ იქნა, და ასეთი, როგორც ჩანს, დღესაც ძნელია გაკეთდეს.¹¹ ამ კითხვაზე ერთგვაროვანი პასუხის გაცემას, პრაქტიკული თვალსაზრისით, სხვა ფაქტორებს შორის ხელს უშლის ზოგიერთი სახელმწიფო მოღვაწის ატავისტური ხასიათის კოლონიალისტური, შოვინისტური და ჰეგემონისტური ზრახვები. ამ რეაქციული ტენდენციის საპირისპიროდ, ჩვენი ღრმა რწმენით, დღევანდელი მსოფლიოს პროგრესული და სახელოვანი პიროვნებები, უპირველეს ყოვლისა, ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მთლიანი პიროვნება და მისი თავდაუზოგავი მეცადინეობა მშვიდობის შენარჩუნებისათვის, გამოხატავენ ადამიანის იმანენტურ მისწრაფებას კეთილდღეობისადმი, სრულყოფისადმი, თავისუფლებისადმი, და ამ თვალსაზრისით, წარმოადგენენ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცების და სხვა გლობალური პრობლემების გადაჭრის უმძლავრეს ფაქტორს.

¹¹ იხ. ი. ტ. ფროლოვის მითითებული ნაშრომი, გვ. 27, 41.

ქალაქსა და სოფელში დამნაშავეობის შესწავლის ზოგადი თეორიული და მეთოდოლოგიური საკითხი*

ბ. ბაბიანი,

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამნაშავეობის სოციოლოგიის
სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის ხელმძღვანელი, ფილოსოფიის
მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
მ. დიდუაშვილი,
უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი.

საკვ. ცენტრალური კომიტეტი და საბჭოთა მთავრობა დიდ ღონისძიებებს ახორციელებენ დამნაშავეობის აღმოფხვრისათვის, ამასთან ბრძოლის მთავარ მიმართულებად მიიჩნევენ მის პროფილაქტიკას. ამ ამოცანების გადაწყვეტა მოითხოვს, რომ სწავლულმა იურისტებმა, კერძოდ საბჭოთა კრიმინოლოგებმა სრულყოფილად გამოიკვლიონ დამნაშავეობის მიზეზები და ხელშემწყობი პირობები და შეიმუშაონ, პრაქტიკაში დანერგონ სათანადოდ დასაბუთებული რეკომენდაციები და წინადადებები.


საქართველოში ამჟამად დამნაშავეობის პრობლემის შესწავლა რამდენიმე მიმართულებით ხორციელდება. მათ შორის მეტად აქტუალური და პერსპექტიულია დამნაშავეობის სივრცობრივი ანალიზი, რომელიც საშუალებას იძლევა გათვალისწინებულ იქნეს სპეციფიკა, რაც დამნაშავეობის მიზეზებსა და ხელშემწყობ პირობებს ახასიათებს ტერიტორიის ამა თუ იმ მონაკვეთზე.

ამ პრინციპზე დამყარებულ სხვადასხვა მიდგომათა შორის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და საიმედოა დამნაშავეობის შედარებითი ანალიზი ქალაქსა და სოფელში. ასეთი კვლევის აქტუალობა განსაზღვრულია თანამედროვე ეპოქის თავისებურებებით. დამნაშავეობა, როგორც სოციალურად დეტერმინებული მოვლენა, განიცდის მრავალი დემოგრაფიული, სოციალურ-კულტურული და ეკონომიკური პროცესის ზემოქმედებას, რომლებიც ვლინდება მაკროსოციალურ სფეროში და მიკროსოციალურ გარემოში, მისი სტრუქტურის სხვადასხვა შრეში, მათ შორის ადამიანთა ცხოვრების წესში.

საქმე ის არის, რომ ურბანიზაციამ გამოიწვია დიდი ცვლილებები ადამიანთა სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში. მოსახლეობის ინტენსიური მიგრაციის გამო ქალაქები მრავალმილიონიან დასახლებად იქცევა, სადაც თანდათანობით ხდება ქალაქური ცხოვრების წესის ნორმებისა და სტანდარტების ჩამოყალიბება. ამასთან ერთად, მოსახლეობის მიგრაცია და ურბანიზაცია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მძლავრი განვითარებისა და მოსახლეობის სოციალური მობილობის ზრდის ფონზე ეკონომიკური და სოციალური თვალსაზრისით ბევრ მწვავე პრობლემას ბადებს, რაც ურბანიზაციის ნეგატიურ შედეგებს განეკუთვნება.

მარქსისტული კრიმინოლოგია არ უარყოფს სოფელთან შედარებით ქა-

* გამოკვლევას საფუძვლად უდევს საქართველოს სს რესპუბლიკის მონაცემები.



ლაქში დამნაშავეობის უფრო მაღალი დონის არსებობის ფაქტს, მაგრამ ბუ-
რუაზიული კრიმინოლოგიისაგან განსხვავებით დამნაშავეობისა და სხვა ანტი-
სოციალური გამოვლინებების უშუალო მიზეზებად არ მიაჩნია თავისი ბუ-
ნებით ისეთი პოზიტიური და პროგრესული პროცესები, როგორც არის ინ-
დუსტრიალიზაცია და ურბანიზაცია.

განვითარებული სოციალიზმის პირობებში ინდუსტრიალიზაცია, ურბანი-
ზაცია და მოსახლეობის მიგრაცია გეგმაზომიერად ხორციელდება სახელმწი-
ფოს მიერ, მაგრამ იმის გამო, რომ ამ პროცესებს ახასიათებს სპონტანურო-
ბის, სტიქიურობის ელემენტები გარკვეულ პირობებში ისინი შესაძლოა არ
დაექვემდებარონ მართვასა და კონტროლს და ამიტომ სხვადასხვა ნეგატიური
მოვლენის წყაროდ გადაიქცნენ.

ამგვარ პირობებად შეიძლება მოგვევლინოს ეკონომიკური სიძნელებე-
ბა, ნაკლოვანებები და შეცდომები დაგეგმვასა და მართვაში და ა. შ. წარმოე-
ბის სოციალისტური წესის უპირატესობა ის არის, რომ იგი საშუალებას იძ-
ლევა მეცნიერულ საფუძვლებზე დაყრდნობით სწორად წარიმართოს ურბანი-
ზაციისა და მოსახლეობის მიგრაციის პროცესები, რაც მინიმუმამდე ამცირებს
მათგან გამომდინარე ყოველგვარ უარყოფითს შედეგს.

ქალაქსა და სოფელში დამნაშავეობის შესწავლის დროს საჭიროა გაკეთ-
დეს ცხოვრების ქალაქური და სოფლური წესის იმ თავისებურებათა ანალიზი,
რომლებიც განაპირობებს ადამიანთა სოციალური ქცევის, მათ შორის ნორ-
მიდან გადახრილი ქცევის შაბლონებსა და ეტალონებს.

საქმე ის არის, რომ დიდი ქალაქის პირობებში ადამიანის ცხოვრების წე-
სი მნიშვნელოვნად განსხვავდება სოფელის ყოფა-ცხოვრებისაგან. ქალაქუ-
რი ცხოვრება ხასიათდება სირთულით, დინამიკურობით, სოციალური კონტა-
ქტების დიდი მრავალფეროვნებით, მათი ანონიმურობითა და სპონტანურო-
ბით. სოციალური კონტროლი ქალაქად მნიშვნელოვნად სუსტია, ვიდრე სო-
ფლად, რაც იმის კარგ ნიადაგს ქმნის, რომ ზნეობრივად და სოციალურად ჩა-
შოუყალიბებელმა ინდივიდებმა დაარღვიონ მართლწესრიგი.

დამნაშავეობის დონესა, სტრუქტურასა და ხასიათზე საგრძნობ ზემოქმე-
დებას ახდენს აგრეთვე ამა თუ იმ ქალაქის ფუნქციონალური სპეციფიკა. დე-
დაქალაქებს ცხოვრების ერთი თავისებურება ახასიათებს, სამრეწველო ქალა-
ქებს — მეორე, სანავსადგუროს — მესამე, საკურორტოს — მეოთხე და ა. შ.

ამა თუ იმ ქალაქის ცხოვრების წესის თავისებურებებს მნიშვნელოვნად
განსაზღვრავს მისი მოსახლეობის სტრუქტურა. სხვადასხვა ქალაქის მოსახ-
ლეობა, როგორც წესი, განსხვავდება ეროვნული შემადგენლობით, განათლე-
ბისა და კულტურის დონით, პროფესიით, კვალიფიკაციით და ა. შ. ყოველივე
ეს ზემოქმედებას ახდენს ადამიანის სოციალურ და ინდივიდუალურ ფსიქო-
ლოგიაზე. სხვადასხვა კულტურული დონის, შეხედულებების ინდივიდთა სო-
ციალურ ურთიერთობათა რთული გადანაწილება ხშირად იწვევს მთელ რიგ
მიკროსოციალურ კონფლიქტებს, რომელთა შედეგი შესაძლოა საშარათლდა-
რღვევებში გამოვლინდეს.

სოფლად ადამიანთა ცხოვრების წესი უფრო მყარი, ტრადიციული და გა-
რკვეული მნიშვნელობით პატრიარქალურია. სოფლის მცხოვრებნი, როგორც
წესი, ნაკლებად მობილურნი არიან, რაც აიხსნება შრომის ხასიათით, მათი
ნაკლები სოციალური როლითა და კონტაქტებით. ყოველივე ამის გამო, საბო-

ლო ანგარიშით, ქალაქელი და სოფელი ადამიანის ფსიქოლოგია ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. ყოველივე ეს თავის გამოხატულებას პოეზებს არამარტო სოფლად დამნაშავეობის მდგომარეობასა და დინამიკაში, არამედ მის სტრუქტურასა და ხასიათში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობენ ქალაქსა და სოფელს შორის არსებული განსხვავების დასაძლევად. მიუხედავად ამისა, ქალაქსა და სოფელს შორის ჯერ კიდევ არის მნიშვნელოვანი განსხვავება, რაც განსაკუთრებით რელიეფურად ვლინდება მოსახლეობის ცხოვრების წესში. „ქალაქისა და სოფლის შეპირისპირება თანამედროვე სოციალისტურ საზოგადოებაში იმის საშუალებას იძლევა, რომ გამოვავლინოთ ჯერ კიდევ არსებული საგრძნობი განსხვავება როგორც მატერიალურ-ტექნიკური განვითარების დონეში, ისე ამ საფუძველზე აღმოცენებულ ცხოვრების წესის თავისებურებებში: საწარმოო ძალებისა და წარმოებითი ურთიერთობების განვითარებაში, მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული განვითარების დონესა და ხასიათში, მოსახლეობის ყოფის ორგანიზაციაში, კავშირგაბმულობისა და სატრანსპორტო საშუალებებით უზრუნველყოფაში“¹.

საქართველოში მისი ცალკეული რაიონების ეკონომიკური, ბუნებრივ-გეოგრაფიული და ისტორიული განვითარების პირობების დიდი მრავალფეროვნების გამო შეიძლება მნიშვნელოვანი სხვაობა ბევრი სოციალურ-დემოგრაფიული და სოციალურ-კულტურული პროცესის განვითარების ტემპსა და ხასიათში.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამნაშავეობის სოციოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის კოლექტივი კარგა ხანია იკვლევს დამნაშავეობის პრობლემის სხვადასხვა ასპექტს ტერიტორიული მიდგომის პრინციპებით. რესპუბლიკის ტერიტორიის სხვადასხვა მონაკვეთზე სოციალურ-ეკონომიკური და სხვა პროცესების მიმდინარეობაში დიდი სხვაობიდან გამომდინარე, ჩვენი აზრით, დამნაშავეობის მდგომარეობასა, დინამიკასა და სტრუქტურაზე ამ პროცესების ზემოქმედების მექანიზმის ღრმად გააზრების აუცილებლობა გვიკარნახებს ტერიტორიული მიდგომის საინტერესო ასპექტად მივიჩნიოთ დამნაშავეობის შედარებითი ანალიზი ქალაქად და სოფლად.


დამნაშავეობის შედარებითი ანალიზი საქართველოს ქალაქსა და სოფელში პირველად ხორციელდება ჩვენ მიერ. კვლევას საფუძველად დაედო ის ვარაუდი, რომ რესპუბლიკის ქალაქებისა და სოფლების მკვეთრი დიფერენციაცია ეკონომიკური, ბუნებრივ-გეოგრაფიული და სოციალურ-კულტურული განვითარების თვალსაზრისით უდავოდ პოეზებს თავის გამოხატულებას დამნაშავეობის დონესა და ხასიათში.

საქართველო წარმოადგენს ინდუსტრიულ-აგრარულ რესპუბლიკას, სადაც წამყვანი როლი ეკუთვნის სამრეწველო წარმოებასა და სოფლის მეურნეობის ინტენსიურ დარგებს. მნიშვნელოვნად არის განვითარებული აგრეთვე საკურორტო მეურნეობა².

შედარებით მოკლე ისტორიულ ვადაში ჩვენში შეიქმნა მძლავრი თანამე-

¹ См. Различия между городом и деревней в свете развития социалистического образа жизни. «Вопросы философии», 1975, № 3, стр. 23.

² См. В. Ш. Джаошвили. Урбанизация Грузии, Тб., 1978, стр. 67.



დროვე მრეწველობა, განხორციელდა სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაცია. რესპუბლიკის სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ქალაქები.

მიუხედავად ამისა, მთელი რიგი მიზეზების გამო საქართველო ჯერ კიდევ არ შეიძლება მივაკუთვნოთ მაღალურბანიზებულ არეალებს. ამაზე მეტყველებს, მაგალითად, ის ფაქტი, რომ საკავშირო მაჩვენებლებთან შედარებით მცირეა ქალაქების წილი ეროვნული შემოსავლის შექმნაში. სსრ კავშირის მასშტაბით ქალაქებში იქმნება ეროვნული შემოსავლის 65,5 პროცენტი, მაშინ როდესაც საქართველოში ეს მაჩვენებელი 53,5 პროცენტს არ აღემატება. ეს, ერთი მხრივ, აიხსნება რესპუბლიკის ქალაქების ინდუსტრიული განვითარების შედარებით დაბალი დონით, ხოლო მეორე მხრივ, ქალაქის მცხოვრებთა მეტი მონაწილეობით სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებაში (საშუალო საკავშირო მაჩვენებელი ქალაქის მოსახლეობის მონაწილეობისა სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში უდრის 2,7 პროცენტს, მაშინ როცა საქართველოში ეს მაჩვენებელი დაახლოებით ორჯერ მეტია და შეადგენს 5,2 პროცენტს).

როდესაც ვლაპარაკობთ საქართველოში ურბანიზაციის პროცესის განვითარების შედარებით ნაკლებ დონეზე, საჭიროა აღვნიშნოთ ორი გარემოება: სოფლის მეურნეობაში ინტენსიური სუბტროპიკული კულტურების გავრცელება, რაც დიდ შემოსავალს აძლევს სოფელს, მაგრამ იმის გამო, რომ მოათხოვს დიდძალ მუშახელს, აფერხებს სოფლის მეურნეობიდან შრომითი რესურსების გამორთავისუფლებას. ამასთან ერთად, საქართველოს მრეწველობაში წამყვანი ადგილი უჭირავს კვების მრეწველობის დარგებს, რის გამოც წარმოების ინდუსტრიული დარგები შედარებით ნელი ტემპით ვითარდება. თუ საერთო-საკავშირო მონაცემებით 1975 წელს მსუბუქ და კვების მრეწველობაზე მოდიოდა მთელი პროდუქციის 33,9 პროცენტი და მრეწველობაში დასაქმებულ მუშა-მოსამსახურეთა 24 პროცენტი, საქართველოში ეს მაჩვენებლები შესაბამისად შეადგენდა 59,1-ს და 41 პროცენტს³.

რესპუბლიკის მნიშვნელოვანი ქალაქები წარმოდგენილია თბილისით, რომლის მოსახლეობაა 1080,4 ათასი, და მხოლოდ ოთხი დიდი ქალაქით, რომლებშიც 100 ათასზე მეტი მოსახლეობაა: ქუთაისი — 197,4 ათასი, რუსთაველი — 132,2 ათასი, სოხუმი — 115,6 ათასი, ბათუმი — 124,3 ათასი⁴.


რესპუბლიკა დიდი ქალაქების ზრდის ტემპით ჩამორჩება საკავშირო საშუალო მაჩვენებელს. იმ ქალაქების მცხოვრებთა ზვედრითი წილი, რომელთა მოსახლეობაც 100 ათასს აღემატება, 1926-1970 წლებში საქართველოში გაიზარდა მთლიანად ქალაქების მოსახლეობაში — 49,4-დან 55,9 პროცენტამდე, ანუ 6,5 პუნქტით, მაშინ როდესაც საშუალოდ სსრ კავშირში — 36,3-დან გაიზარდა 55,6 პროცენტამდე, ანუ 19,3 პუნქტით⁵.

რესპუბლიკის ურბანიზაციის დამახასიათებელი ნიშანია ისეთი ქალაქების დიდი ზვედრითი წილი, რომელთა მოსახლეობა 50 ათასს არ აღემატება. ასეთ დასახლებებში 1970 წელს ცხოვრობდა საქართველოს ქალაქის მოსახლეობის 39,7 პროცენტი, მაშინ როდესაც ანალოგიური საშუალო საკავშირო მაჩვენებელი

³ См. В. Ш. Джаошвили. Урбанизация Грузии, стр. 96—97.

⁴ საქართველოს სსრ მოსახლეობის რაოდენობის განგარიშებით 1980 წლის 1 იანვრისათვის.

⁵ См. В. Ш. Джаошвили. Урбанизация Грузии, стр. 107.



ნებელი 34,8 პროცენტს შეადგენდა. ეს მცირე ქალაქური ტიპის დასახლებები, რომლებმაც ქალაქის სტატუსი დიდი ხანი არ არის, რაც მიიღეს, წარმოადგენენ ადმინისტრაციული რაიონების ცენტრებს და უმთავრესად ასრულებენ ადმინისტრაციულ და კულტურულ-საგანმანათლებლო ფუნქციას.

რესპუბლიკის 109 ქალაქს შორის 75-ის მოსახლეობა 10 ათასზე ნაკლებია. ამ ქალაქებს აქვთ მცირე მაუზრბანიზებული პოტენციალი, რადგან ახლო წარსულში ისინი სოფლის დასახლებებს წარმოადგენდნენ. 1980 წლის 1 იანვრისათვის რესპუბლიკის ქალაქებში ცხოვრობდა მოსახლეობის 52,1 პროცენტი. სოფელში — 48,9 პროცენტი.

საქართველოს ურბანიზებულიობის მნიშვნელოვანი დამახასიათებელი ნიშანია მის ტერიტორიაზე ოთხი — თბილისის, ქუთაისის, სოხუმისა და ბათუმის დიდი საქალაქო აგლომერაციის არსებობა. ყოველ აგლომერაციაში შედის ქალაქის დასახლებათა ჯგუფი, რომელიც განლაგებულია თავისი ბირთვის — მთავარი ქალაქის გარშემო. ამ დასახლებებს ერთმანეთთან აქვთ საწარმო-ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული კონტაქტები. 1976 წლის მონაცემებით, ამ აგლომერაციებში შედიოდა მთელი ქალაქის მოსახლეობის 74,7 პროცენტი და სოფლის მოსახლეობის 29,4 პროცენტი⁶.

ქალაქ-აგლომერაციებში ახლომდებარე ქალაქის ტიპის დასახლებებიდან და სოფლებიდან სამუშაოდ, სასწავლებლად და ა. შ. ჩამოდის მოსახლეობა, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი ქმნის ე. წ. „ფარულ მოსახლეობას“, რომელიც ცუდად ექვემდებარება კონტროლს. ყოველივე ეს მთელ რიგ სოციალური ხასიათის სიძნელეებს ქმნის, რაც თავის მხრივ შესაძლოა გადაიქცეს სამართალდარღვევათა წყაროდ.

ურბანიზაციის პროცესს მრავალი ასპექტი ახასიათებს, რომელთაგანაც ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ქალაქური ცხოვრების წესის განვითარება და მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფების მიერ მისი ათვისების ხარისხი.

ზემოთ უკვე ითქვა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე არსებული მსხვილი საქალაქო აგლომერაციები იზიდავს სოფლის მოსახლეობას, რომელთაგანაც ნაწილი ქალაქში რჩება. ხშირად ისინი ცუდად ითვისებენ ქალაქური ცხოვრების სტანდარტებსა და ეტალონებს, სოციალურ ნორმებს. ამ კატეგორიის მიგრანტები თავიანთი სოციალური ფსიქოლოგიით კარგა ხანს სოფლის მცხოვრებლად რჩებიან. ყოველივე ეს უპირველესად ყოფაში აისახება და ყოფით კონფლიქტებში ვლინდება.

ურბანიზაციით გამოწვეული ამ ცვლილებების შედეგად წარმოიქმნება პიროვნების ფორმირებისა და საზოგადოების სოციალურ-კულტურულ სისტემაში ინტეგრირების „კრიტიკული წერტილები“, რაც, შესაძლოა, გამოიხატოს პიროვნების კრიზისში, მის ასოციალურ განწყობასა და ქცევაში⁷.

მიგრაციული პროცესების ანალიზი გვიჩვენებს, რომ საქართველოს ქალაქების მოსახლეობა ძირითადად ყალიბდებოდა სოფლის მოსახლეობის ხარჯზე. „1963-1972 წლებში საქართველოში სოფლებიდან ქალაქებში საცხოვრებლად გადმოვიდა 200 ათასზე მეტი კაცი (ყველა ჩამოსულთა 37 პროცე-

⁶ См. В. Ш. Джаошвили. Урбанизация Грузии, стр. 196.

⁷ См. В. М. Долгий, Ю. А. Левада, А. Г. Левинсон. Урбанизация, как социально-культурный процесс, в сборнике «Вопросы географии», № 96, 1974, стр. 28.

ნტი). მათი ძირითადი ნაწილი (88 პროცენტი) სასოფლო რაიონებიდან ჩამოვიდა... სხვა მოკავშირე რესპუბლიკებთან შედარებით საქართველოსათვის დამახასიათებელია სოფლის მოსახლეობის ქალაქებში სტაბილური დინება⁸.

ქალაქსა და სოფელში დამნაშავეობის კრიმინოლოგიური ანალიზის დროს უნდა გავითვალისწინოთ რესპუბლიკის ქალაქის ტიპის დასახლებათა სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების თავისებურებანი. პროფ. ვ. შ. ჯაოშვილის აზრით, რესპუბლიკის ქალაქების ფუნქციონალური სტრუქტურის მიხედვით ისინი შეიძლება შემდეგ ჯგუფებად დაიყოს: 1. ყველაზე განვითარებული პოლიფუნქციონალური ქალაქები — თბილისი, ქუთაისი, სოხუმი, ბათუმი; 2. სამრეწველო ქალაქები: ა) მოპოვებითი მრეწველობის ცენტრები — ჭიათურა, ვალე, ტყვარჩელი და ა. შ.; ბ). გადამამუშავებელი მრეწველობის ცენტრები — რუსთავი, გორი, ზუგდიდი, ცხაკაია და ა. შ. 3. სატრანსპორტო ქალაქები — ფოთი, სამტრედია, ხაშური და ა. შ.; 4. შერეული ტიპის ქალაქები — მახარაძე, თელავი, მარნეული, ლანჩხუთი, საგარეჯო და ა. შ.; 5. საკურორტო ქალაქები — ბორჯომი, გაგრა, ქობულეთი, ფასანაური და ა. შ., 6. ადმინისტრაციული ქალაქები — ახალქალაქი, დუშეთი, ონი და ა. შ.; 7. ქალაქის ტიპის დასახლებები, სადაც უპირატესად განვითარებულია სოფლის მეურნეობა და კვების მრეწველობა — ჩაქვი, ლაითური, ოჩხამური და ა. შ.⁹

ქალაქის დასახლებების ფუნქციონალური თავისებურებანი მნიშვნელოვნად გავლენას ახდენს მოსახლეობაზე, მის შრომითს საქმიანობაზე, საზოგადოებრივ აქტიურობაზე, განათლებაზე და კულტურაზე. თავისუფალი დროის განაწილებაზე და გამოყენებაზე და ა. შ. შერეული ტიპის მცირე ქალაქები, ისევე როგორც ქალაქის ტიპის დასახლებები, ცხოვრების წესის ზოგიერთი ნიშნით გარდამავალ ტიპს ქმნიან ქალაქისა და სოფლის დასახლებას შორის. ასეთ დასახლებებში ადამიანთა სოციალურ ქცევაში ხშირად აისახება ცხოვრების წესის წმინდა სოფლური, ტრადიციული ელემენტები. ამ დასახლებების, როგორც ურბანიზაციის კერების როლი შეტად უმნიშვნელოა.

ამგვარად, რესპუბლიკის ტერიტორიაზე პირობითად შეიძლება გამოვყოთ ისეთი არეალები, სადაც კარგად არის განვითარებული ქალაქური ცხოვრების ფორმები, გარდამავალი, სადაც მოსახლეობის ყოფა ძალზე წააგავს სოფლურს, და ტიპური სოფლური.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სოფლის დასახლებებსა და რაიონებს შორის შეიმჩნევა არსებითი განსხვავებანი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარების ტემპებსა და ხასიათში, რაც აისახება სოფლის მოსახლეობის ყოფის მრავალფეროვნებით.

ყოველივე ზემოთ თქმულის საფუძველზე, ჩვენი გამოკვლევის მიზანია რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში დამნაშავეობის შედარებითი ანალიზი იმ განსხვავებათა გამოსავლენად, რომლებიც უცილობლად არსებობს მის დონესა, სტრუქტურასა და ხასიათში.

გამოკვლევა ემყარება იმ დებულებას, რომ ქალაქსა და სოფელში დამნაშავეობის განსხვავებული ხასიათი ძირითადად განპირობებულია ქალაქური

⁹ См. В. Ш. Джаошвили. Урбанизация Грузии, стр. 248—251.

⁸ См. В. В. Гуджабидзе. Миграция городского населения Грузии, в сборнике «Проблемы географии населения и использования территории», Тб., 1976, стр. 33—34.

და სოფლური ცხოვრების წესის მთავარი ელემენტების არაერთგვაროვნებით, რაც დაღს ასვამს ადამიანთა სოციალურ-ფსიქოლოგიური თვისებების ფორმირებას და, საბოლოო ანგარიშით, კონკრეტულ გამოხატულებას პოულობს მათს ინდივიდუალურ და ჯგუფურ ქცევაში.

გამოკვლევის პირველი ეტაპი გულისხმობს იმ სტატისტიკური მასალის ანალიზს, რომელიც დაახასიათებს დამნაშავეობას რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში. თუმცა ამგვარი მიდგომა საკვლევი პრობლემის შესახებ სრულ, ამომწურავ ცოდნას არ იძლევა, სტატისტიკური მასალის შედარებითი ანალიზი მართებულ წარმოდგენას მოგვცემს რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში დამნაშავეობის ძირითად მახასიათებლებზე.

გამოკვლევის ამ ეტაპზე ინფორმაციის წყაროა საქართველოს სსრ იუსტიციის ორგანოების სტატისტიკური მონაცემები 1974-1976 წლებში ნასამართლობის შესახებ. დაკვირვების ერთეულად ავიღეთ სტატისტიკური ბარათები, რომლებიც ივსება სისხლის სამართლის საქმის პირველი ინსტანციით განხილვის შემდეგ თითოეულ მსჯავრდადებულზე. ის ინფორმაცია, რომელსაც სტატისტიკური ბარათი შეიცავს, საშუალებას იძლევა ვიმსჯელოთ რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში დამნაშავეობის ზოგიერთი არსებითი რაოდენობრივი და თვისებრივი მახასიათებლის შესახებ.

ამჟამად გამოკვლევის პირველი ეტაპი დასრულებულია და შეიძლება ითქვას, გამოვლენილია მნიშვნელოვანი განსხვავებანი დამნაშავეობის დონესა, სტრუქტურასა და ხასიათში, რაც საშუალებას გვაძლევს შევიმუშაოთ რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში დამნაშავეობის თავიდან აცილებისა და აღკვეთისადმი დიფერენცული მიდგომის ძირითდი პრინციპები.

განაჩენის საჩუროდუხო ნანიდი

ა. კობახიძე,

თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე, იურიდიულ მეცნიერებათა
კანდიდატი

განაჩენი სოციალისტური მართლმსაჯულების უმნიშვნელოვანესი აქტია, რომელიც ადგენს, პიროვნება დამნაშავედ არის ცნობილი თუ უდანაშაულოდ და წყვეტს მის მიმართ სასჯელის გამოყენებას ან გამოუყენებლობას. სსრ კავშირის კონსტიტუციის შესაბამისად არავინ არ შეიძლება იქნეს ბრალეულად ცნობილი დანაშაულის ჩადენაში და არავის შეიძლება დაედოს სისხლის სამართლის სასჯელი, თუ არა სასამართლოს განაჩენით.

სასამართლო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ სასამართლო ორგანოების მიერ დადგენილი განაჩენების ხარისხი, მათი დასაბუთებულობა და კანონიერება ყოველწლიურად უმჯობესდება. მიუხედავად ამისა განაჩენის დადგენის დროს, ჯერ კიდევ ირღვევა კანონის მოთხოვნები. ეს უმთავრესად ითქმის განაჩენის სარეზოლუციო ნაწილის შესახებ.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში განაჩენის სარეზოლუციო ნაწილს სამი მუხლი აქვს დათმობილი. 318-ე მუხლში ლაპარაკია გამამტყუნებელი განაჩენის სარეზოლუციო ნაწილის შესახებ, 319-ე მუხლში — გამამართლებელი განაჩენის იმავე ნაწილის შესახებ, ხოლო 320-ე აწესრიგებს განაჩენის სარეზოლუციო ნაწილში გადასაწყვეტ სხვა საკითხებს. ამას გარდა ცალკე მუხლშია (304-ე) განხილული განაჩენის დადგენისას სასამართლოს გადასაწყვეტი საერთო საკითხები.

გამამტყუნებელი განაჩენის სარეზოლუციო ნაწილში აუცილებელია მითითებული იქნეს: 1) მსჯავრდადებულის გვარი, სახელი, მამის სახელი; 2) მისი დამნაშავედ ცნობა; 3) სისხლის სამართლის კანონი, რომლითაც იგი ცნობილია დამნაშავედ; 4) სასჯელის სახე და ზომა ცალ-ცალკე დანაშაულისათვის; 5) სასჯელის საბოლოო ზომა სსკ მე-40 მუხლის შესაბამისად; 6) შრომა-გასწორების (შრომა — აღმზრდელიობით) კოლონიის სახე და რეჟიმი; 7) სასჯელის მოხდის დაწყების დრო; 8) გადაწყვეტილება განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე აღკვეთის ღონისძიების შესახებ.

გამამართლებელი განაჩენის სარეზოლუციო ნაწილში სასამართლო მიუთითებს: 1) გამართლებულის გვარს, სახელს, მამის სახელს; 2) გადაწყვეტილებას მისი გამართლებულად ცნობის შესახებ; 3) აღკვეთის ღონისძიების გაუქმებას; 4) ქონების კონფისკაციის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმებას, თუ ასეთი მიღებული იყო.

როგორც გამამართლებელი, ისე გამამტყუნებელი განაჩენის სარეზოლუციო ნაწილში სასამართლო წყვეტს: 1) სამოქალაქო სარჩელის ან ზარალის ანაზღაურების საკითხს; 2) ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთების ბედს; 3) სასამართლო ხარჯების განაწილებას; 4) განაჩენის საკასაციო გასაჩივრების და გაპროტესტების წესსა და ვადებს.

გამამტყუნებელი განაჩენის დადგენისას, თუ სასამართლო იმ დასკვნამდე მივა, რომ სამართალში მიცემული ცნობილი უნდა იქნეს განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად, ამას აღნიშნავს სარეზოლუციო ნაწილშიც.

თუ სამართალში მიცემულს წარდგენილი აქვს ბრალდება სსკ სხვადასხვა მუხლით, განაჩენის სარეზოლუციო ნაწილში ზუსტად უნდა იქნეს მითითებული, თუ რომელშია ცნობილი დამნაშავედ და რომელში — გამართლებულად. ასევე მითითებული უნდა იყოს სარეზოლუციო ნაწილში სამართალში მიცემულის სასჯელის მოხდისაგან განთავისუფლების შესახებ.

დამნაშავის პიროვნებისა და საქმის განსაკუთრებულ გარემოებათა გათვალისწინებით სასამართლოს შეუძლია საქართველოს სსრ სსკ 45-ე მუხლის საფუძველზე პირს დაუნიშნოს სანქციით გათვალისწინებულ უმდაბლეს საზღვარზე ნაკლები, ან კიდევ უფრო მსუბუქი სასჯელი. ასეთ ვითარებაში სასამართლო განაჩენის აღწერილობით ნაწილში ასაბუთებს ამ გარემოებას, ხოლო სარეზოლუციო ნაწილში მხოლოდ მიუთითებს, რომ პირს 45-ე მუხლის გამოყენებით შეუფარდა ეს სასჯელი.

სასჯელის საბოლოო ზომის განსაზღვრის შემდეგ სასამართლო გადაწყვეტს თუ რომელი სახისა და რეჟიმის კოლონიაში უნდა მოიხადოს იგი მსჯავრდებულმა. სამწუხაროდ, სახალხო სასამართლოები, არც თუ იშვიათად, შეცდომებს უშვებენ რეჟიმის განსაზღვრაში. განაჩენით სასჯელის მოხდა ინიშნება სამი სახის შრომა-გასწორების დაწესებულებაში: 1) გაუფრთხილებლობით დანაშაულის ჩამდენ პირთათვის განკუთვნილ შრომა-გასწორების კოლონიადანსახლებაში, 2) შრომა-გასწორების კოლონიაში და 3) შრომა-აღმზრდელობით კოლონიაში. შრომა-აღმზრდელობითი კოლონია ორი რეჟიმისაა: საერთო და გაძლიერებული. შრომა-გასწორების კოლონია კი ოთხი რეჟიმის: საერთო, გაძლიერებული, მკაცრი და განსაკუთრებული. გარდა ამისა, კანონი განსაკუთრებით საშიშ დამნაშავეთა მიმართ ითვალისწინებს მათ მოთავსებას საპყრობილეში სასჯელის მთლიანი ან ნაწილობრივი ვადით.

მთელი რიგი დანაშაულობებისათვის სასამართლო ძირითად სასჯელთან ერთად მსჯავრდებულს უფარდებს დამატებითს სასჯელს (გასახლება, გადასახლება, გარკვეული თანამდებობის დაკავების ან გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევა, ჯარიმა, თანამდებობიდან დათხოვნა, ქონების კონფისკაცია, სამხედრო ან სპეციალური წოდების ჩამორთმევა, მშობლის უფლებების ჩამორთმევა). ქონების კონფისკაცია, სამხედრო ან სპეციალური წოდების ჩამორთმევა და მშობლის უფლების ჩამორთმევა დაინიშნება მხოლოდ დამატებითი სასჯელის სახით ძირითად სასჯელთან ერთად კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხოლო დანარჩენი გამოიყენება როგორც ძირითად, ისე დამატებითს სასჯელად. სასამართლო პრაქტიკაში უფრო ხშირად დამატებითს სასჯელად უფარდებენ გარკვეული თანამდებობის დაკავებას ან გარკვეული საქ-

მიანობის უფლების ჩამორთმევას. ზოგჯერ კანონით ეს გათვალისწინებულია ძირითად სასჯელად (მაგალითად, საქართველოს სსრ სსკ 169-ე მუხლის I ნაწილი) და პირს იგი შეიძლება შეეფარდოს, მაგრამ სანქციით გათვალისწინებული სხვა ზომა აღარ გამოიყენება. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლომ უნდა გამოიყენოს საქართველოს სსრ სსკ 29-ე მუხლი და დაასაბუთოს, რატომ უფარდებს ამ სახის დამატებითს სასჯელს. ზოგჯერ კანონი სავალდებულოდ მიიჩნევს დამატებითი სასჯელის სახით გარკვეული თანამდებობის დაკავების ან გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევას (მაგალითად, საქართველოს სსრ სსკ 94-ე მუხლის მესამე ნაწილი, 169-ე მუხლის მეორე ნაწილი). ამიტომ განაჩენის დადგენისას სასამართლომ საჭიროა იმსჯელოს მათ გამოყენებაზეც.

ზოგიერთი კატეგორიის საქმეებზე (განსაკუთრებით დიდი ოდენობით სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების გატაცება, მექრთამეობა), მიუხედავად იმისა, რომ სანქცია ამას არ ითვალისწინებს, სასამართლო მაინც მოვალეა სსკ 29-ე მუხლის შესაბამისად იმსჯელოს მსჯავრდადებულისათვის გარკვეული თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევის შესახებ. განაჩენის სარეზოლუციო ნაწილში ჩაიწერება ამა თუ იმ თანამდებობის დაკავების აკრძალვა გარკვეული ვადით (ერთიდან ხუთ წლამდე).

ქონების კონფისკაციის, როგორც დამატებითი სასჯელის, შეფარდებისას სასამართლომ განაჩენის სარეზოლუციო ნაწილში ზუსტად უნდა მიუთითოს, ეს ზომა მთლიანად ქონებას შეეფარდება, თუ ნაწილს, სახელდობრ, რომელ ნაწილს, ანდა კონკრეტულად მიუთითოს, რა საგნებს გაუკეთდეს კონფისკაცია.

მსჯავრდადებული პირებისათვის წოდებებისა და ჯილდოების ჩამორთმევის საკითხს სასამართლო წყვეტს საქართველოს სსრ სსკ 35-ე მუხლის შესაბამისად. სახელდობრ, ჩვეულებრივი სამხედრო თუ სპეციალურ წოდებებს პირს სასამართლო ჩამორთმევს განაჩენით და ამას მიუთითებს განაჩენის სარეზოლუციო ნაწილში, ხოლო იმ საპატიო წოდების, სამხედრო თუ სხვა ჩინის ჩამორთმევა, რომელიც პირს მინიჭებული აქვს სსრ კავშირის, მოკავშირე ან ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ან მინისტრთა საბჭოს მიერ, აგრეთვე ორდენებისა და მედლების ჩამორთმევა სასამართლოს უშუალოდ არ შეუძლია. თუ მათ ჩამორთმევას სასამართლო მიზანშეწონილად მიიჩნევს, განაჩენის სარეზოლუციო ნაწილში ჩაწერს, რომ შესაბამის ორგანოში შეტანილ იქნეს წარდგინება ამ წოდების თუ ჯილდოს ჩამორთმევის შესახებ.

პირობითი მსჯავრის გამოყენების დროს, როცა სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმის გარემოებებისა და დამნაშავეს პიროვნების გათვალისწინებით საჭირო არ არის დამნაშავემ მოიხადოს დანიშნული სასჯელი (თავისუფლების აღკვეთა ან გამასწორებელი მუშაობა), ამას ასაბუთებს განაჩენის აღწერილობითს ნაწილში, სარეზოლუციო ნაწილში კი განსაზღვრავს სასჯელის საბოლოო ზომას და მიუთითებს, რომ სასჯელი პირობით არ იქნეს გამოყენებული საქართველოს სსრ სსკ 46-ე მუხლის შესაბამისად, პირს დაენიშნება გამოსაცდელი ვადა (ერთიდან 5 წლამდე), რომლის განმავლობაშიც განაჩენი არ აღსრულდება, თუ იგი ამ დროში სახალ განზრახ დანაშაულს არ ჩაიდენს.

პირობითი მსჯავრის შეფარდების დროს არ შეიძლება დაინიშნოს დამატებითი სასჯელი. ამიტომ, როცა სანქცია რომელიმე დამატებითი სასჯელის შე-

ფარდებას ითვალისწინებს, სასამართლომ მხოლოდ იგი უნდა შეუფარდოს. მაგალითად თუ მყიდველთა და შემკვეთთა მოტყუებისათვის მსჯავრდადებულის პიროვნების გათვალისწინებით სასამართლო მას არ შეუფარდებს თავისუფლების აღკვეთას ან გამასწორებელ მუშაობას, შეიძლება სასჯელად განუსაზღვროს თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევა. სასამართლო პრაქტიკაში გაუმართლებლად არის მიჩნეული პირობითი მსჯავრის გამოყენება იმ მძლოლის მიმართ, რომელსაც მოძრაობის წესების დარღვევისათვის დაედო მსჯავრი, თუ მისი ძირითადი პროფესია ავტომანქანის მართვაა.

პირობითი მსჯავრის დადგენისას სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს, ვის დაეკისროს პირისადმი მეთვალყურეობა და მასთან აღმზრდელიობითი მუშაობა. ასეთი პირი ხელახლა აღზრდისა და გამოსწორებისათვის შეიძლება გადაეცეს სათანადო ორგანიზაციებსა და კოლექტივებს, როცა ისინი ამას ითხოვენ, ანდა ამის თანახმა არიან. ამის შესაბამისად განაჩენის სარეზოლუციო ნაწილში ჩიწერება, ვის ეკისრება ეს ფუნქცია.

სასამართლო განაჩენის დადგენისას საკმაოდ ხშირად იყენებს პირობით თავისუფლების აღკვეთას შრომაში სავალდებულო ჩაბმით (საქართველოს სსრ სსკ 25¹ მუხლი). ამ ახალმა ინსტიტუტმა გამართლება ჰპოვა. იგი გამოიყენება იმათ მიმართ, ვისაც პირველად დაედოთ მსჯავრი (გარდა ზოგიერთი საშიში დანაშაულისა) სამ წლამდე ვადით განზრახ დანაშაულისათვის და 5 წლამდე გაუფრთხილებელი დანაშაულისათვის. ასეთი გადაწყვეტილების მიღებისას სასამართლო განაჩენის აღწერილობით ნაწილში ასაბუთებს ამ ნორმის გამოყენების მიზანშეწონილობას, სარეზოლუციო ნაწილში კი, უნიშნავს რა გარკვეულ სასჯელს თავისუფლების აღკვეთის სახით, უფარდებს მას პირობით თავისუფლების აღკვეთას შრომაში სავალდებულო ჩაბმით იმავე ვადით, განაჩენის აღსრულების განმგებელი ორგანოების მიერ მითითებულ ადგილებში. პირობითი მსჯავრისაგან განსხვავებით საქართველოს სსრ სსკ 25¹ მუხლის გამოყენებისას მსჯავრდადებულს შეიძლება შეეფარდოს დამატებითი სასჯელიც.

სრულიად ახალ და უადრესად მნიშვნელოვან ინსტიტუტს წარმოადგენს არასრულწლოვან მსჯავრდადებულთათვის სასჯელის აღსრულების გადადება (საქართველოს სსრ სსკ 47¹ მუხლი). დანაშაულის ხასიათის, საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხის, აგრეთვე დამნაშავის პიროვნებისა და საქმის სხვა გარემოებათა გათვალისწინებით არასრულწლოვანს, რომელსაც პირველად ედება მსჯავრი სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთით, სასამართლოს შეუძლია დაუდგინოს სასჯელის აღსრულების გადადება ვადით ექვსი თვიდან 2 წლამდე. ამასთანავე გადადოს დამატებითი სასჯელის აღსრულებაც. ამ ნორმის გამოყენებისას მთავარია სასამართლო დარწმუნდეს, რომ დამნაშავის გამოსწორება და ხელახლა აღზრდა შეიძლება საზოგადოებისაგან იზოლაციის გარეშე.

დაადგენს რა სასჯელის აღსრულების გადადებას, სასამართლო არასრულწლოვანს ავალებს ჩაებას საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში, დაიწყოს სწავლა ან ანაზღაუროს ზარალი. სასამართლო მიუთითებს ვადასაც, როდესაც უნდა შესრულდეს ეს დავალება.

სასამართლო მოვალეა ყველაფერი იღონოს, რათა არასრულწლოვანის გამოსწორებასა და ხელახლა აღზრდაში ფართოდ ჩაებას საზოგადოებრიობა. ამიტომ, საქართველოს სსრ სსკ 304-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლო ვალდებ-

ბულია იმსჯელოს არასრულწლოვანისათვის საზოგადოებრივი აღმზრდელის და-
ნიშვნის თაობაზე. სასამართლოს შეუძლია ეს დაავალოს მშრომელთა გარკვე-
ულ კოლექტივს ან პირს, თუ ისინი თანახმანი არიან ამაზე. სსრ კავშირის უმაღ-
ლესი სასამართლოს პლენუმის 1978 წლის 31 მარტის № 3 დადგენილების მე-7
პუნქტის შესაბამისად სასამართლოს შეუძლია ეს დააკისროს მშრომელთა
კოლექტივს თუ ცალკეულ პირს, მათი თანხმობით, განაჩენის კანონიერ ძალაში
შესვლის შემდეგაც საქართველოს სსრ სსსკ 379-ე მუხლით დადგენილი წესით,
ცალკე განჩინების გამოტანით.

განაჩენის აღსრულების გადადებისას სასამართლომ აუცილებლად უნდა
იმსჯელოს განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე არასრულწლოვანის მიმართ
აღმკვეთი ზომის შერჩევის შესახებ. თუ პირი წინასწარ პატიმრობაშია, აღმკვე-
თი ღონისძიება მას უნდა შეეცვალოს და დაუყოვნებლივ განთავისუფლდეს
პატიმრობიდან.

საბჭოთა სისხლის სამართლის ჰუმანიზმის ერთ-ერთი გამოხატულება ის
არის, რომ, თუ დამნაშავე პირი სასამართლოში საქმის განხილვის დროს აღარ
არის საზოგადოებრივად საშიში და მისი სისხლის სამართლის წესით დასჯის
აუცილებლობა იხსნება, იგი შეიძლება განთავისუფლდეს სისხლისსამართლ-
ებრივი პასუხისმგებლობისაგან (საქართველოს სსრ სსკ 51-ე მუხლის პირველი
ნაწილი). ასეთ ვითარებაში სასამართლო, დაადგენს რა გამამტყუნებელ განა-
ჩენს, დაასაბუთებს მას განაჩენის აღწერილობით ნაწილში, ხოლო სარეზოლუ-
ციო ნაწილში მიუთითებს, რომ პირი ცნობილ იქნეს დამნაშავედ წარდგენილ
ბრალდებაში, მაგრამ ამ ნორმის შესაბამისად განთავისუფლდეს სისხლისსა-
მართლებრივი პასუხისმგებლობისაგან. ასევე გადაწყდება საკითხი ამავე მუხლის
მეორე ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაშიც, როცა სასამართლო მიიჩ-
ნევს, რომ პირი სასამართლოში საქმის განხილვის მომენტისათვის დანაშაულის
ჩადენის შემდეგ უმწიკვლო ყოფაქცევისა და შრომისადმი პატიოსანი დამო-
კიდებულების გამო აღარ წარმოადგენს საზოგადოებრივად საშიშს. აქაც სასა-
მართლო განაჩენის სარეზოლუციო ნაწილში პირს დამნაშავედ ცნობს და სა-
ქართველოს სსრ სსკ 51-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად განთავისუფ-
ლებს მას სასჯელისაგან ისე, რომ აღარ დაუნიშნავს საჯელის ზომას.

თუ საქმის სასამართლო განხილვის დროს დადგინდა, რომ პირი სამარ-
თალში მიცემულია უსაფუძვლოდ, სასამართლო ბოლომდე მიიყვანს საქმის
განხილვას და საქართველოს სსრ სსკ მე-5 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შე-
საბამისად გამოიტანს გამამართლებელ განაჩენს. განაჩენის სარეზოლუციო
ნაწილში აღინიშნება საქართველოს სსრ სსსკ 310-ე მუხლის მეოთხე ნაწილის
ის პუნქტი, რომელიც საფუძვლად დაედო პირის გამართლებას. ასევე ბოლომ-
დე მიიყვანს საქმის განხილვას სასამართლო, როცა სამსჯავრო გამოძიების
დროს დადგინდება, რომ პირი ხანდაზმულობის ვადის გასვლის ან ამნისტიის
აქტის საფუძველზე თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან. ამ შემთხვევაში
სასამართლო დაადგენს გამამტყუნებელ განაჩენს, ცნობს პირს დამნაშავედ,
განუსაზღვრავს სასჯელს წარდგენილი ბრალდებით და შემდეგ ანთავისუფლებს
მას სასჯელისაგან სათანადო საფუძვლის მითითებით (საქართველოს სსრ სსსკ
მე-5 მუხლის მე-3, მე-4 პუნქტები ან თვით ამნისტია).

სასამართლო პრაქტიკაში ხშირად გვხვდება სასჯელისაგან განთავისუფლება ამნისტიის საფუძველზე. სასამართლო უფრო მეტად, როცა სამართალში მიცემულ პირს ამნისტია ეხება, მისი თანხმობით, საქმეს წარმოებით წყვეტს განჩინების გამოტანით, რამდენადაც თვით ამნისტიის აქტში ხშირად პირდაპირ არის მითითებული, რომ იმ პირების მიმართ, ვისაც ამნისტია ეფარდებათ, საქმის წარმოება შეწყდეს როგორც გამოძიებაში, ისე სასამართლოში. ეს მითითება ეხება ძირითადად, სასამართლოში შესულ იმ საქმეებს, რომელიც ჯერ წარმოებაში არ არის მიღებული. ამ შემთხვევაში საქმე წარმოებით შეწყდება განმწესრიგებელი სხდომის განჩინებით.

მაგრამ არის შემთხვევები, როცა საქმე წარმოებაში მიღებულია, ბრალდებული სამართალშია მიცემული და შემდეგ დადგინდება, რომ პირს ამნისტია ეფარდება და იგი მოითხოვს მის მიმართ საქმის წარმოებით შეწყვეტას. როგორ მოვიქცეთ — შევწყვიტოთ საქმის წარმოება, თუ დავადგინოთ განაჩენი და მსჯავრდადებული გავანთავისუფლოთ სასჯელის მოხდისაგან, როგორც ამას საქართველოს სსრ სსსკ მე-5 მუხლის მეორე ნაწილი ითვალისწინებს? სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროს განმარტებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1980 წლის 27 ივნისის ბრძანებულების გამოყენებისას, როცა პირი სამართალშია მიცემული და შემდეგ გამოვლინდება გარემოებანი, რაც იწვევს საქმის შეწყვეტას ამნისტიით, სამსჯავრო გამოძიება კი დაწყებული არ არის, სასამართლო განმეორებით განიხილავს განმწესრიგებელ სხდომაზე საკითხს და გამოიყენებს ამნისტიას. ეს ცხადია, პრაქტიკულად უფრო უკეთესია და თავიდან აგვაცილებს შემდგომში ზედმეტ შრომას. რა თქმა უნდა, ასეთ შემთხვევაში განჩინებით უნდა გადაწყდეს სამოქალაქო სარჩელი, ნივთმტკიცების ბედი, ზარალის ანაზღაურების და ქონების კონფისკაციის უზრუნველყოფის ღონისძიებათა გაუქმების საკითხი. მით უმეტეს, როცა სასამართლო საქმეს სამსჯავრო სხდომაზე განიხილავს. განაჩენს დაადგენს და მსჯავრდადებულს ამნისტიით გაათავისუფლებს სასჯელის მოხდისაგან, იმავე განაჩენის სარეზოლუციო ნაწილში გადაწყვეტს სამოქალაქო სარჩელს, ზარალის ანაზღაურებას და ნივთმტკიცების ბედს.

განაჩენის სარეზოლუციო ნაწილში სასამართლო ზუსტად მიუთითებს ზარალის ოდენობას, ვის დაეკისრება იგი, რა ოდენობით და ვის სასარგებლოდ. ასევე აუცილებელია ითქვას, მთლიანად დაკმაყოფილდა სამოქალაქო სარჩელი, ნაწილობრივ, თუ უარი ეთქვა სარჩელს. შესაძლებელია სასამართლომ მიუთითოს, რომ ეს საკითხები გადაწყდეს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით ანდა დატოვოს განუხილველად.

სახელდობრ, სამოქალაქო სარჩელის გადაწყვეტა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი განაჩენი იქნა გამოტანილი. თუ სამართალში მიცემული სასამართლომ გაამართლა იმის გამო, რომ არ დადგინდა დანაშაულის ჩადენა, ან არ არის დამტკიცებული სამართალში მიცემულის მონაწილეობა დანაშაულში, სამოქალაქო საოჩელი არ იქნება დაკმაყოფილებული. თუ პირი გამართლდა იმის გამო, რომ სამართალში მიცემულის ქმედებაში არ არის დანაშაულის შემადგენლობა, სამოქალაქო სარჩელი გაუხილველი დარჩება. იგივე ბედი ეწევა სამოქალაქო სარჩელს სამართალში მიცემულის გარდაცვალების გამო ან საქმის შეწყვეტისას საქართველოს სსრ სსსკ მე-8 მუხლის მეორე ნაწილით, ამნის-

ტიით, საქართველოს სსრ სსკ 51-ე მუხლის საფუძველზე განაჩენის დადგენისას და საქართველოს სსრ სსსკ 333-ე მუხლით სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების შეფარდებისას. როცა სასამართლო დაადგენს გამამტყუნებელ განაჩენს, მაგრამ სასჯელისაგან ათავისუფლებს პირს ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო, სამოქალაქო სარჩელი გადაწყდება ჩვეულებრივ, როგორც სხვა გამამტყუნებელი განაჩენის დადგენისას, ე. ი., თუ საფუძვლიანია სამოქალაქო სარჩელი, დაკმაყოფილდეს, თუ უსაფუძვლოა უარი ეთქვას. თუ დამატებითი მასალის მიუღებლად შეუძლებელია სამოქალაქო სარჩელის დაწვრილებითი ანგარიშის მოხდენა, სასამართლოს შეუძლია ცნოს დაზარალებულის უფლება სარჩელზე, მაგრამ მისი რაოდენობის საკითხი გადასცეს სამოქალაქო წესით გადასაწყვეტად.

ნივთიერი დამამტყიცებელი საბუთების ბედის გადაწყვეტისას სასამართლომ ყველა შემთხვევაში უნდა იხელმძღვანელოს საქართველოს სსრ სსსკ 77-ე მუხლით დადგენილი წესით. ზუსტად გაარკვიოს, რა სახის ნივთმტყიცების ბედი არის გადასაწყვეტი და გამოიყენოს მათ მიმართ ამ ნორმაში ჩამოთვლილი რომელიმე ღონისძიება. ზოგიერთი კატეგორიის საქმეებზე (მექრთამეობა, სპეკულაცია და სხვა) ნივთმტყიცების ბედის გადაწყვეტისას საჭირო ხდება გამოვიყენოთ აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის სახელმძღვანელო დადგენილებები ამ საქმეებზე. მაგალითად, მექრთამეობის საქმეზე განაჩენის დადგენის დროს უნდა გადაწყდეს არა მარტო ქრთამის სახით აღებული იმ ფულის თუ სხვა ფასეულობის ბედი, რომელიც ნივთმტყიცებად ერთვის საქმეს, არამედ რაც ნაპოვნი და ამოღებული არ იქნა და წარმოდგენილი აღარ არის. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1977 წლის 23 სექტემბრის № 16 დადგენილების მე-12 პუნქტით ასეთი ფული და ფასეულობა გადასახდელად დაეკისრება მსჯავრდადებულს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. თუ მოხდა ქრთამის გამოძალვა და ქრთამის მიმცემი წინასწარ ნებაყოფლობით განაცხადებს ამას, მის მიერ გადაცემული ფული და სხვა ფასეულობა უბრუნდება მას.

სასამართლომ განაჩენის დადგენის დროს უნდა გადაწყვიტოს არა მარტო ნივთმტყიცების, არამედ გამოძიების პროცესში დაყადაღებული ქონების ბედი, აგრეთვე მსჯავრდადებულის თუ სხვა პირებისათვის ჩამორთმეული იმ ქონების ბედი, რომელიც ნივთმტყიცებად არ არის ცნობილი.

ამ საკითხთან დაკავშირებით საჭიროდ მიგვაჩნია გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრება საქართველოს სსრ სსსკ 320-ე მუხლის სრულყოფის მიზნით.

რსფსრ სსსკ 317-ე, საქართველოს სსრ სსსკ 320-ე მუხლები და ზოგიერთი სხვა მოკავშირე რესპუბლიკის სსსკ ეხება რა განაჩენის სარეზოლუციო ნაწილში გადასაწყვეტ საკითხებს, მიუთითებს მხოლოდ ნივთმტყიცებათა ბედის შესახებ და არაფერს ამბობს გამოძიების პროცესში დაყადაღებული ქონების და სხვადასხვა პირებისათვის ჩამორთმეული ნივთების შესახებ. ამის გამო სასამართლოები ზოგჯერ არ წყვეტენ ამ ქონების ბედს, შემდეგში კი იძულებული ხდებიან სსსკ 369-ე მუხლის საფუძველზე დამატებითი განჩინება გამოიტანონ ამ საკითხზე, შესაბამისად სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1964 წლის 22 დეკემბრის № 18 დადგენილების მეორე პუნქტისა. ეს იწვევს მოქალაქეთა უკმაყოფილებას და საჩივრებს.

ეს საკითხი შედარებით კარგად არის მოწესრიგებული ლატვიის, სომხეთისა და ესტონეთის სსრ სსს კოდექსებით. სახელდობრ, ლატვიის სსრ სსსკ მე-300 და 316-ე მუხლები მიუთითებენ, რომ სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს თუ რა ბედი ეწიოს ნივთიერ-დამამტკიცებელ საბუთებს და საქმის გამო ამოღებულ სხვა საგნებს. ამასვე იმეორებს სომხეთის სსრ სსსკ 294-ე და ესტონეთის სსრ სსსკ 279-ე მუხლები. ყაზახეთის სსრ სსსკ 301-ე მუხლის მე-5 ნაწილის მეორე პუნქტი მიუთითებს მხოლოდ ნივთმტკიცებაზე, ნივთებისა და ღირებულებათა ბედზე ზოგადად, ბელორუსიის სსრ სსს კოდექსის 319-ე მუხლის მეორე პუნქტი ეხება მსჯავრდადებულისაგან ამოღებული ფულისა და სხვა ფასეულობების ჩამორთმევას, რომელიც დანაშაულებრივი გზით იყო მოპოვებული. დაახლოებით ამასვე იმეორებს მოლდავეთის სსრ სსსკ 288-ე მუხლის „ა“ პუნქტი.

უკრაინის სსრ სსს კოდექსის 335-ე მუხლშიც, რომელიც განაჩენის სარეზოლუციო ნაწილისადრე მიძღვნილი, მხოლოდ ნივთმტკიცების საკითხის გადაწყვეტაზეა ლაპარაკი, თუმცა იგივე კოდექსის 330-ე მუხლი, ეხება რა ნივთმტკიცების ბედს, მიუთითებს, რომ ნივთები, რომლებიც ნივთმტკიცებას არ წარმოადგენენ, უნდა დაუბრუნდეს მის კანონიერ მფლობელს, თუნდაც რომ არ იყოს წარდგენილი სამოქალაქო სარჩელი.

რუსთა და საქართველოს სსრ სსსკ (აგრეთვე ტაჯიკეთის სსრ, თურქმენეთის სსრ და ყირგიზეთის სსრ) იმ მუხლებში კი, სადაც ზოგადად არის ჩამოთვლილი განაჩენში გადასაწყვეტი საკითხები, არაფერია ნათქვამი იმ საგნებზე, რომლებიც ნივთმტკიცებად არ არის ცნობილი. ასევე არაფერია იქ ნათქვამი იმ ქონების ბედის შესახებ, რომელიც ქონების კონფისკაციის უზრუნველყოფის მიზნით იყო დაყადაღებული. ეს მაშინ, როცა საკმაოდ ხშირად სისხლის სამართლის საქმის გამო არა მარტო ბრალდებულისაგან, არამედ სხვა პირებისაგანაც (დაზარალებული, მოწმე) გამოძიების პროცესში ამოღებულია ნივთები, რომლებიც ყოველთვის არ არის ცნობილი ნივთმტკიცებად. ასევე ზოგჯერ სასამართლო მსჯავრდადებულებს არ უფარდებს ქონების კონფისკაციის და საჭირო ხდება მისი ყადაღისაგან განთავისუფლება. ამიტომ ამ ქონების ბედის შესახებ სპეციალურად უნდა იყოს მითითებული საპროცესო კოდექსის სწორედ იმ მუხლში, რომელშიც ლაპარაკია განაჩენის სარეზოლუციო ნაწილში გადასაწყვეტ საკითხებზე. ჩვენი აზრით, საქართველოს სსრ სსსკ 320-ე მუხლს საჭიროა დამატოს სპეციალური პუნქტი, რომელიც შეეხება საქმის გამო დაყადაღებულ და ამოღებულ სხვა იმ ქონების ბედის გადაწყვეტას, რომელიც ნივთმტკიცება არ არის.

ჩვენი აზრით, არცერთი დასახელებული საპროცესო კოდექსის ფორმულირება არ არის ზუსტი და ამომწურავი, რადგან სასამართლოს უხდება არა მარტო ნივთმტკიცების და ჩამორთმეული საგნების ბედის გადაწყვეტა, არამედ ქონებაზე ყადაღის მოხსნის საკითხის გადაწყვეტაც. მით უმეტეს, რომ ეს საკითხი არ შემოაფარგლება მხოლოდ მსჯავრდადებულისათვის ჩამორთმეული დანაშაულებრივი გზით შექმნილ ფასეულობათა ბედის გადაწყვეტით.

ამიტომ, ჩვენი აზრით, საჭიროა საქართველოს სსრ სსსკ 320-ე მუხლი (შესაბამისად სხვა მოკავშირე რესპუბლიკების კოდექსების მუხლებიც) შეივსოს ახალი პუნქტით და იგი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „ქონებაზე ყადაღის მოხსნისა და გამოძიების პროცესში ჩამორთმეული ნივთების დაბრუნების საკითხის გადაწყვეტა“. ეს, ვფიქრობთ, ამოწურავს საკითხის შინაარსს და თავიდან აგვაცილებს განაჩენის გამოტანის შემდგომ პერიოდში სხვადასხვა საჩივარსა და ზედმეტ შრომას.

განზრახ ჩადენილი დანაშაულის საქმეთა განხილვის დროს სასამართლოს არ უნდა გამორჩეს მხედველობიდან დაზარალებულის სტაციონარული მკურნალობისათვის გაწეული ხარჯების დაკისრება სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1973 წლის 25 ივნისის ბრძანებულების შესაბამისად. ასევე, ნარკომანიით დაავადებული პირების მსჯავრდებისას განაჩენის სარეზოლუციო ნაწილში სასამართლომ უნდა დაადგინოს მსჯავრდადებულისათვის იძულებითი მკურნალობის შეფარდება სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებაში.

სასამართლო განაჩენის სარეზოლუციო ნაწილში მიუთითებს სასამართლო ხარჯების განაწილებაზე. თუ მსჯავრი დაედო რამდენიმე პირს, თითოეულ მათგანს სასამართლო ხარჯები ცალ-ცალკე უნდა დაეკისროს მათი ბრალის ხარისხისა და ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით.

თუ მსჯავრდადებულს ჰყავს 15 წლამდე ასაკის შვილი და მისთვის სასჯელის შეფარდების შემდეგ ეს ბავშვი უმეტეაღყურეოდ რჩება, სასამართლო წყვეტს საკითხს ამ ბავშვის ბედის შესახებ, გადასცემს მას მეურვეობისათვის ნათესავს ან სხვა რომელიმე პირს თუ დაწესებულებას.

სისხლის სამართლის მატერიალური და საპროცესო ნორმების სრული დაცვით დადგენილი სასამართლოს განაჩენი სწორ, მიზნობრივ, აღმზრდელობით გავლენას მოახდენს როგორც მსჯავრდადებულზე, ისე იმათზე, ვინც მას მოისმენს და გაეცნობა.

აღკვეთით მოქალაქეთა უკანონო მსჯავრდალების ფაქტები

მ. ხითბარიშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი

სსრ კავშირის კონსტიტუციის 36-ე მუხლათ მოქალაქეთა უფლებების პირდაპირი თუ არაპირდაპირი შეზღუდვა კანონით ისჯება. კონსტიტუციის 54-ე მუხლის საფუძველზე სსრ კავშირის მოქალაქეებს გარანტირებული აქვთ პიროვნების ხელშეუხებლობა. არ შეიძლება ვისიმე დაპატიმრება ისე, თუ არ იქნა საფუძველი — სასამართლოს გადაწყვეტილება ან პროკურორის სანქცია. პიროვნების პატივისცემა, მისი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა ყველა სახელმწიფო ორგანოს, საზოგადოებრივი ორგანიზაციისა და თანამდებობის პირის მოვალეობაა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა „სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს ანგარიშის გამო“ 1977 წლის 12 დეკემბერს მიიღო დადგენილება, რომლითაც დაავალა სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს: „იხელმძღვანელოს სსრ კავშირის კონსტიტუციის დებულებებით მოქალაქეთა უფლებების სასამართლო დაცვის გაფართოების შესახებ, გააუმჯობესოს მუშაობა მოქალაქეთა პატივისა და ღირსების, მათი სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, პირადი თავისუფლებისა და ქონების ხელყოფის საქმეებზე სასამართლოების მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებათა კანონიერებისა და დასაბუთებულობის უზრუნველსაყოფად“.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა არაერთხელ მისცა სასამართლოებს სახელმძღვანელო მითითება მოქალაქეთა უსაფუძვლო მსჯავრდალების ფაქტების დაუშვებლობისა და მთლიანად აღკვეთის შესახებ, კერძოდ, პლენუმის 1963 წლის 18 მარტის № 2 დადგენილებაში „სასამართლოების მიერ სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის დროს კანონების მკაცრად დაცვის შესახებ“ აღნიშნულია, რომ სასამართლო პრაქტიკაში აღმოფხვრილი არ არის მოქალაქეთა უსაფუძვლო მსჯავრდადების ფაქტები, რაც დიდ ზიანს აყენებს დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზაციას, მოქალაქეთა კანონიერ უფლებებს და ინტერესებს, არყვეს მათს რწმენას სოციალისტური მართლმსაჯულებისადმი. ამიტომ სასამართლოებს მიეცათ სახელმძღვანელო მითითება: „ზუსტად და განუხრელად დაიცვან სისხლის სამართლის კანონმდებლობის მოთხოვნები, არ დაუშვან იმ პირთა მსჯავრდადება, რომელთა ქმედობაშიც არ არის სისხლის სამართლის დანაშაულის შემადგენლობა“.

1978 წლის 3 თებერვლის № 1 დადგენილებაში „სსრ კავშირის ახალი კონსტიტუცია და სასამართლო საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესების ამოცანები“ პლენუმმა სასამართლოებს მისცა სახელმძღვანელო მითითება: „მკაცრად იხელმძღვანელონ სსრ კავშირის კონსტიტუციით, რომლითაც გარანტირებულია მოქალაქეთა ხელშეუხებლობა. სამსჯავრო სხდომაზე კონსტიტუციაში მითითებული დებულებების დარღვევის ფაქტების დადგენის შემთხვევაში მიიღონ ზომები მათ გამოსასწორებლად“.

საქართველოს სსრ სასამართლო ორგანოებში წინათ მოქალაქეთა უსაფუძვლოდ მსჯავრდადების მხრივ მეტად მძიმე მდგომარეობა იყო. საქართველოს სსრ უმაღლესმა სასამართლომ მათ აღმოსაფხვრელად განახორციელა ღონისძიებათა კომპლექსი, რამაც კარგი ნაყოფი გამოიღო.

1980 წლის სტატისტიკური მონაცემები მოწმობს, რომ 1970-1975 წლებთან შედარებით ახლა თითქმის ათჯერ უფრო ნაკლებია უსაფუძვლოდ მსჯავრდადების შემთხვევები, მაგრამ მდგომარეობა მაინც არ არის დამაკმაყოფილებელი. სასამართლოები ჯერ კიდევ უშვებენ კანონის ისეთ უხეშ დარღვევებს, რასაც შედეგად მოსდევს მოქალაქეთა უსაფუძვლო მსჯავრდადება.

ქ. ქუთაისის სახალხო სასამართლოს განაჩენით ნ. ბაქრაძეს საქართველოს სსკ 243-ე მუხლის I ნაწილით მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 1 წლის ვადით, რომელსაც დაემატა სხვა განაჩენით მოუხდელი სასჯელიდან 6 თვე თავისუფლების აღკვეთა და საბოლოოდ განესაზღვრა 1 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

კოლეგიის განჩინებით განაჩენი გაუქმდა და საქმე წარმოებით შეწყდა იმის გამო, რომ სსკ მე-12 მუხლით დროებით გამოყენების მიზნით ავტომატურად გატაცებისათვის პირი პასუხს აგებს 16 წლის ასაკიდან, ნ. ბაქრაძე კი ამ ასაკს არ იყო მიღწეული. ნ. ბაქრაძე უსაფუძვლოდ იყო პატიმრობაში 6 თვეზე მეტ ხანს. საქმე წარმოებით შეწყდა, ვინაიდან ნ. ბაქრაძე არ იყო ჩადენილი დანაშაულის სუბიექტი.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 185-ე მუხლში გარკვევით არის განსაზღვრული თანამდებობის პირის ცნება. მიუხედავად ამისა, საგამოძიებო და სასამართლო ორგანოები ბევრ შეცდომას უშვებენ თანამდებობის პირის განსაზღვრაში. და ამ დანაშაულისათვის პასუხს გებაში აძლევენ და მსჯავრს ადებენ ისეთ პირებს, რომელთაც არავითარი თანამდებობა არ უჭირავთ.

ქარელის რაიონის სახალხო სასამართლოს განაჩენით კ. პატარიძეს საქართველოს სსრ სსკ 188-ე მუხლის I ნაწილით მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა ერთი წლის ვადით, რომელიც სსკ 251 მუხლის საფუძველზე შეეცვალა იმავე ვადით, პირობით შრომაში სავალდებულო ჩაბმით.

განაჩენით კ. პატარიძეს მსჯავრი დაედო იმისათვის, რომ ქარელის რაიონის ფციის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობაში მეფუტკრედ მუშაობისას გამოიჩინა გულგრილი, დაუდევარი დამოკიდებულება საქმისადმი, უყურადღებოდ დატოვა ფუტკრის ოჯახების მოვლა-პატრონობა, რის გამოც გადაბარების დროს 56 ოჯახიდან მხოლოდ 4 ოჯახი გადარჩა, დანარჩენი კი განადგურებულიყო.

საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილის ზედწესით პროტესტის საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ გააუქმა სახალხო სასამართლოს განაჩენი კ. პატარიძის მიმართ და საქმე წარმოებით შეწყვიტა დანაშაულის შემადგენლობის არ არსებობის გამო. კოლეგიამ მიუთითა, რომ კ. პატარიძე მუშაობდა მეფუტკრედ, იგი არ იყო თანამდებობის პირი და თანამდებობრივი დანაშაულისათვის სსკ 188-ე მუხლით პასუხს არ აგებდა.

მოქალაქის უსაფუძვლოდ მსჯავრდადება უმთავრესად გამოწვეულია უხარისხო წინასწარი და სამსჯავრო გამოძიებით ან იმით, რომ გამოძიებამ და სასამართლომ მტკიცებულებათა შეფასებაში დაუშვა შეცდომა, უდანაშა-

ულო პირის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის დადგენა ხდება მაშინ, როდესაც მისი გამოტანის მომენტში დამტკიცებულია პირის უდანაშაულობა, მაგრამ სასამართლომ შეცდომით ჩათვალა, რომ პირი დანაშაუვია, ასევე მაშინაც, როდესაც პირის უდანაშაულობა არ არის დამტკიცებული, მაგრამ დანაშაულიც არ დამტკიცდა. ვინაიდან დამტკიცებული უდანაშაულობა დაუპტკიცებელი უდანაშაულობის ტოლია, ორივე შემთხვევაში უნდა დადგინდეს გამამართლებელი განაჩენი, მაგრამ სასამართლოები ამ წესს ყოველთვის არ იცავენ.

ამ დარღვევების გამო საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს მიერ განაჩენები გაუქმდა და საქმეები წარმოებით შეწყდა: 1. დანაშაულის შემთხვევის არარსებობის გამო; 2. დანაშაულის შემადგენლობის არარსებობის გამო; 3. დანაშაულში მონაწილეობის დაუდასტურებლობის გამო.

ავხაზეთის ასრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის განაჩენით ვ. წიკლაურს საქართველოს სსკ 189-ე მუხლის მე-2 ნაწილით მიესაჯა 10 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა.

ვ. წიკლაურს მსჯავრი დაედო იმისათვის, რომ ოჩამჩირეს მეფრინველეობის ფაბრიკაში რევიზიის ჩატარების დროს დამალა ფაბრიკაში ჩადენილი ბოროტმოქმედებანი. დოკუმენტური რევიზია მოაწყო არასრულყოფილად, არ შეამოწმა მკაცრი აღრიცხვის ბლანკები, კომბინირებული საკვების შენახვისა და ჩამოწერის სისწორე, სახელმწიფო ქონების დაცვის მდგომარეობა. ფაბრიკის მუშაკებმა შეკრიბეს ფული და ვ. წიკლაურს გადასცეს 4.500 მანეთი ქრთამის სახით.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის განჩინებით განაჩენი გაუქმდა და ვ. წიკლაურის მიმართ საქმე წარმოებით შეწყდა დანაშაულის შემთხვევის არარსებობის გამო.

კოლეგიამ ცნო, რომ ვ. წიკლაურის მიმართ განაჩენი დაეყრდნო მეფრინველეობის ფაბრიკის მთავარი ბუღალტრის ნ. წულაიას ჩვენებებს, რომელიც მან მისცა წინასწარი გამოძიების სტადიაში და საბუღალტრო ექსპერტიზის დასკვნას იმის შესახებ, რომ ვ. წიკლაურის მიერ რევიზია ჩატარებული იყო არასრულყოფილად. კოლეგიამ მიუთითა, რომ ეს მტკიცებები ვერ დაედება საფუძვლად გამამტყუნებელ განაჩენს, ვინაიდან წულაიამ ჯერ კიდევ გამოძიებისას უარი თქვა თავის ჩვენებებზე ვ. წიკლაურისათვის ქრთამის მიცემის შესახებ და განმარტა, რომ ისარგებლა რევიზორის ფაბრიკაში ყოფნით, თანამშრომლებისაგან შეკრიბა ფული თითქოს და რევიზორისათვის გადასაცემად, შემდეგ თვითონ მიიტვისა 4500 მანეთი.

გარდა ამისა, როდესაც წულაია ამხელდა ვ. წიკლაურს, აჩვენებდა, რომ ფული მან წიკლაურს გადასცა მთავარი ეკონომისტის ზ. სვირავას დასწრებით. სვირავამ კი უარყო წულაიას ჩვენება. ის პირები, ვისგანაც ფული შეიკრიბა, აჩვენებდნენ, ფული რევიზორს უნდა გადასცემოდა, მაგრამ გადაეცა თუ არა, არ იციან.

თბილისის ლენინის რაიონის სახალხო სასამართლოს განაჩენით ნ. სულამანიძეს საქართველოს სსრ სსკ 234-ე მუხლის I ნაწილით მიესაჯა 6 თვის გამასწორებელი სამუშაოები სამუშაო ადგილზე მოხდით და ხელფასიდან 20 პროცენტის დაკავება. განაჩენი საკასაციო წესით არ გასაჩივრებულა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს პრეზიდიუმის დადგენილებით, განაჩენ-

ნი გაუქმდა და ნ. სულამანიძის მიმართ საქმე წარმოებით შეწყდა დანაშაულის შემადგენლობის არ არსებობის გამო.

ნ. სულამანიძეს მსჯავრი დაედო იმისათვის, რომ არ ეწეოდა საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას.

პრეზიდიუმმა ცნო, რომ ნ. სულამანიძე გაფრთხილებული იყო მუშაობა დაეწყო, მაგრამ იგი სამხედრო შეკრებაზე გაიწვიეს, სადაც იმყოფებოდა მარტში და არ შეეძლო მუშაობის დაწყება, ხოლო დაბრუნებისთანავე შეუდგა ნუშაობას და საქმის სასამართლოში განხილვის დროს მუშაობდა. ვარდა ამისა, საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, 1962 წლიდან, იგი განუწყვეტლივ მუშაობდა და არაერთგზის არის წახალისებული, დაჯილდოებულია კარგი მუშაობისათვის.

ქ. თბილისის ლენინის რაიონის სახალხო სასამართლოს განაჩენით ვ. ასიტაშვილს სსკ 19-134-ე მუხლებით მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 1 წლისა და 6 თვის ვადით რაც სსკ 251 მუხლით შეეცვალა პირობით შრომაში სავალდებულო ჩაბმით. საქალაქო სასამართლოს საკასაციო ინსტანციამ განაჩენი უცვლელად დატოვა.

საქალაქო სასამართლოს პრეზიდიუმმა განაჩენი და განჩინება გააუქმა და საქმე წარმოებით შეწყვიტა დანაშაულის შემთხვევის არ არსებობის გამო, პრეზიდიუმმა ცნო, რომ ვ. ასიტაშვილს დანაშაული არ ჩაუდენია. მუშაობდა რატაქსის მძღოლად, მას მანქანაში ჩაუჯდა მსჯავრდადებული ს. მწითური, რომელსაც მოტაცებული ჰყავდა ი. ჭ. ცოლად შერთვის მიზნით, ს. მწითურს თან ახლდა თავისი ამხანაგი ნ. მოლოდინი, რომლებმაც ვ. ასიტაშვილი აიძულეს წასულიყო, სადაც მათ სურდათ, მაგრამ ამ უკანასკნელმა საგურამოს ხევში ჭაობში გადასვლის დროს დაზარალებულისათვის დახმარების მიზნით მანქანა განზრახ ჩააგდო წყალში.

ს. მწითური და ნ. მოლოდინი ჩამოვიდნენ მანქანიდან და წავიდნენ ტრაქტორის მოსაყვანად, ამ დროს ასიტაშვილმა დაზარალებულს უთხრა, დაგეხმარებო. როდესაც მანქანა ტრაქტორის დახმარებით ამოიყვანეს, ვ. ასიტაშვილმა ისარგებლა მომენტით და დაზარალებულთან ერთად გაიქცა შემთხვევის ადგილიდან, გამტაცებლები მიატოვა, ხოლო დაზარალებული ი. ჭ. მიუყვანა თავის მშობლებს.

თუმცა იშვიათად, მაგრამ მაინც ჯერ კიდევ არის სისხლის სამართლის კანონის მცდარი შეფარდების გამო მოქალაქის უსაფუძვლოდ მსჯავრდადების ფაქტები.

მახარაძის რაიონის სახალხო სასამართლოს 1971 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილებით, მოქალაქე პ. შავიშვილს დაეკისრა ალიმენტი — თვეში 20 მანეთი ნ. არჩვაძის სასარგებლოდ. ამ ალიმენტის გადახდისათვის თავის არიდების გამო პ. შავიშვილი ორჯერ იყო მსჯავრდადებული საქართველოს სსრ სსკ 124-ე მუხლის საფუძველზე და ორჯერვე დაენიშნა სასჯელი თავისუფლების აღკვეთის სახით, შემდეგში ზედამხედველობის წესით ამ საქმეზე გაუქმდა როგორც გადაწყვეტილება, ისე განაჩენები იმის გამო, რომ ა. შავიშვილს ბაკ-შვი შეეძინა ფაქტიური ცოლქმრული ურთიერთობის შედეგად და მას არ შეიძლებოდა დაკისრებოდა ალიმენტის გადახდა, არამედ სათანადო მტკიცებულება არსებობის დროს შეიძლებოდა მართოდ აღიარებულიყო გადახდევინება. სარ-

ჩის გადახდისათვის თავის არიდებურ გამო პასუხისმგებლობას კი სსკ 124-ე მუხლი არ ითვალისწინებს.

ამრიგად, პ. შავიშვილის მიმართ უსწოროდ იყო გამოყენებული სისხლის სამართლის კანონი, რის გამოც უსაფუძვლოდ დაადეს მსჯავრი.

მოქმედი კანონით, მოქალაქეს უფლება აქვს აქტიურად დაიცვას თავი დამნაშავესაგან.

„ხელიგნობისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1966 წლის 26 ივნისის ბრძანებულების მე-16 პუნქტის შესაბამისად, „მოქალაქეთა მოქმედება დანაშაულებრივი ხელყოფის აღსაკვეთად და დამნაშავეის შესაპყრობად სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის შესაბამისად მართლზომიერი მოქმედებაა და არ იწვევს სისხლისსამართლებრივ ან სხვა პასუხისმგებლობას, თუნდაც ამ მოქმედებით ძალაუფლებურად ვნება მიადგეს დამნაშავეს“. ხოლო იმის გამო, რომ სასამართლოები ზოგჯერ ვერ ერკვევიან კანონმდებლობაში, უსაფუძვლოდ მსჯავრს სდებენ ასეთ პირებს. საქართველოს სსრ სსკ მე-15 მუხლით დანაშაულად არ ჩაითვლება მოქმედება, რომელიც თუმცა შეიცავს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებულ ნიშნებს, მაგრამ ჩადენილია აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში.

„სასამართლოების მიერ აუცილებელი მოგერიების თაობაზე კანონმდებლობის გამოყენების პრაქტიკის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1969 წლის 4 დეკემბრის № 11 დადგენილებაში მითითებულია, რომ, მცდარად ესმით რა კანონი, ზოგიერთი სასამართლო თვლის, რომ პირს, რომელსაც თავს დაესხნენ, უფლება არა აქვს აქტიურად დაიცვას თავი, თუ მას შეუძლია გაეცეს, ან მოიხმოს დასახმარებლად სხვა მოქალაქე ან, მიმართოს ხელისუფლების ორგანოს. ასეთი შეხედულება უცხოა სოციალისტური მართლმწიგნებისა და საბჭოთა მორალისათვის. „დანაშაულს არ წარმოადგენს ქმედობა, რომელიც, თუმცა შეიცავს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებულ ქმედობის ნიშნებს, მაგრამ ჩადენილია აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში. ასეთი მოქმედება არათუ არ შეიცავს დანაშაულის შემადგენლობას, არამედ, პირიქით, დადებითს გავლენას ახდენს სოციალისტური მართლწესრიგის განმტკიცებაზე და ამ კატეგორიის საქმეთა სწორი გადაწყვეტა ეხმარება მოსახლეობის გააქტიურებას დამნაშავეობასთან ბრძოლაში“.

მიუხედავად ასეთი განმარტებისა, რესპუბლიკის ზოგიერთი სასამართლო ზოგჯერ მკაცრად სჯის ისეთ პირებს, რომლებიც სისამდვილეში აუცილებელი მოგერიებებს ფარგლებში მოქმედებდნენ.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის განჩინებით განაჩენი თ. კველიშვილის მიმართ, რომელსაც საქართველოს სსრ სსკ 110-ე მუხლის 1 ნაწილით მოსჯილი ჰქონდა 3 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა, გაუქმდა და საქმე წარმოებით შეწყდა სსკ მე-15 მუხლის საფუძველზე, ვინაიდან შეკრებილი მტკიცებულებებით დადგენილი იყო, რომ მსჯავრდადებულმა ზ. ამონაშვილი თ. კველიშვილთან მთავარი მივიდა იმ დროს როდესაც თ. კველიშვილი ქუჩაში იდგა თავის სტუმართან მოქ. ა. ლუარსაბოვთან ერთად და ელოდებოდა გამვლელ ავტო მანქანას. ზ. ამონაშვილმა დაუწყაო შეურაცხყოფის მიყენება თ. კველიშვილს. თანაც ამოიღო დანა. თ. კველიშვილი ცდილობდა ზ. ამონაშვილის თავიდან მოშორებას, მაგრამ ამ დროს

ზ. ამონაშვილმა, რომელიც დანით მოქმედებდა, სამი ჭრილობა მიაყენა თ. კველიშვილს. ეს უკანასკნელი, ბოლოს, გაიქცა, მაგრამ თხრილში ჩავარდა და ამ დროს ამონაშვილი აღმართული დანით დაადგა მას თავზე, რის გამოც თ. კველიშვილი იძულებული იყო მიეღო თავდაცვის ზომები, წამოდგა თხრილიდან და შემთხვევით ხელში მოხვედრილი რკინა ჩაართვა თავში ზ. ამონაშვილს, რომელმაც მიიღო სხეულის მძიმე დაზიანება.

კოლეგიამ საესებით სწორად ცნო, რომ თ. კველიშვილმა დანაშაული აუცილებელი მოგერების ფარგლებში ჩაიდინა.

ამჟამად მოქმედი სტატისტიკა აღრიცხავს უსაფუძვლოდ მსჯავრდადების მხოლოდ ისეთ შემთხვევებს, როდესაც გამამტყუნებელი განაჩენი გაუქმდა და საქმე წარმოებით შეწყდა დანაშაულის შემთხვევის არარსებობის, დანაშაულის შემადგენლობის არარსებობის, ან დანაშაულში მონაწილეობის დაუდასტურებლობის გამო. მაგრამ არის სხვა სახის უკანონო მსჯავრდადება, რომელიც არ აღირიცხება, რაც სტატისტიკის ხარვეზად მიგვაჩნია. სახელდობრ, როდესაც საკასაციო ან საზედამხედველო სასამართლო ინსტანციის მიერ განაჩენი გაუქმდა და საქმე დაბრუნდა დამატებითი გამოძიებისთვის. ან ახალი სასამართლო განხილვისათვის. ეს ნიშნავს, რომ განაჩენი უკანონო იყო და პირს უსაფუძვლოდ დაედო მსჯავრი. ასევე, როდესაც განაჩენი იცვლება კვალიფიკაციის ნაწილში ან კვალიფიკაციისა და სასჯელის ნაწილში, აგრეთვე სასჯელის შემცირების ნაწილში, — ეს იმას ნიშნავს, რომ პირი არსებითად უსაფუძვლოდ იყო მსჯავრდადებული.

სამსჯავრო სხდომაზე პროცესის მონაწილეთა, კერძოდ, სახელმწიფო ბრალმდებლისა და ადვოკატის სწორ პოზიციაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული, რათა დადგინდეს კანონიერი და დასაბუთებული განაჩენი.

სასამართლო პრაქტიკის განზოგადება მოწმობს, რომ ამ კატეგორიის საქმეებზე სახელმწიფო ბრალმდებლების დიდმა უმრავლესობამ მოითხოვა გამამტყუნებელი განაჩენის დადგენა, მაშინ როდესაც საქმეზე შეკრებილი მტკიცებულ ებების მიხედვით პირის მსჯავრდადების საფუძველი არ არსებობდა.

სწორი პოზიცია ჰქონდათ ადვოკატების უმრავლესობას, რომელნიც მოითხოვდნენ გამამართლებელი განაჩენის დადგენას, თუმცა ზოგჯერ ისინიც მოითხოვდნენ მხოლოდ სასჯელის შემსუბუქებას, მაშინ როდესაც იმ პირის დანაშაული, რომელსაც ისინი იცავდნენ, დადგენილი არ ყოფილა.

გალავაქშიოთ თბილისი სანიშნო ნასკივის ქალაქად

ბ. კვანტალიანი.

ქ. თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსი

საკვ ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის აგვისტოს დადგენილება „მართლწესრიგის დაცვისათვის მუშაობის გაუმჯობესებისა და სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“ უმნიშვნელოვანესი პარტიული დოკუმენტია, რომელიც ადმინისტრაციული ორგანოების, მთელი საზოგადოებრიობის ყურადღებას მიიპყრობს დამნაშავეობასთან ბრძოლის აქტუალურ საკითხებზე. მის წინააღმდეგ უფრო შემტევი, მიზანსწრაფული, გეგმაზომიერი საქმიანობის აუცილებლობაზე.

დადგენილებით დასახული ამოცანების გადაწყვეტა სამართალდამცველი ორგანოებისაგან, მათ შორის შინაგან საქმეთა ორგანოებისაგან მოითხოვს, რომ მთელ ჯვენს მუშაობაში დავნერგოთ ლენინური სტილი, რაც ნიშნავს მაღალი დეურობას და პარტიულ პრინციპულობას, სიტყვისა და საქმის ერთიანობას, კომუნისტურ შემართებას და ორგანიზებულობას, კონკრეტულობას და მიზანსწრაფვას, სინამდვილის საფუძვლიან, მეცნიერულ ანალიზს, ახლის გრძობას, ნაკლოვანებებთან შეურიგებლობას. მასებთან კავშირის განმტკიცებას.

დადგენილების განხორციელების შედეგად 1979 და 1980 წლებში წინა წლებთან შედარებით ქ. თბილისში დაისახა სისხლია სამართლის ხაზით რეგისტრირებული დანაშაულის შემცირების ტენდენცია.

ოპერატიული ვითარება ქალაქში ჯერ კიდევ დამაკმაყოფილებელი არ არის, მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ შინაგან საქმეთა ორგანოების შემადგენლობის უმრავლესობა მთელი პასუხისმგებლობით ეცილება მინდობილ საქმეს. უკანასკნელ ხანს მხილებული და იზოლირებულა ბოროტმოქმედთა არაერთი ჯგუფი. ჯვენმა მუშაკებმა განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი იმ ორგანიზებულ და მნაშავე ჯგუფების გამოვლენა-მხილების საქმეში, რომლებსაც დედაქალაქში ჩადენილი ჰქონდათ მრავალი ძარცვა და ბინის ჯურღობა.

დღეს კვლავ მწვავე პრობლემად რჩება მოქალაქეთა ბინის გაქურდვისა და ავტოტრანსპორტის გატაცების წინააღმდეგ ბრძოლა. მართალია ჯვენთან ჩამოყალიბდა სპეციალური დანაყოფი, რომელიც უშუალოდ ამ საქმეს ემსახურება. მაგრამ მართლოდენ ეს საქმეს ვერ შევლის. ქალაქში არ არის საკმარისი რაოდენობის სადღედამიო ავტოსადგომები, რის გამოც ბევრი ავტომანქანა უშეთვალაყურედ დგას ქალაქის ქუჩებსა და ღია ეზოებში. მაგალითად, კალინინის და ოქტომბრის რაიონებში, სადაც 12 ათასზე მეტი საკუთარი ავტომანქანაა. ასეთი სადგომი საერთოდ არ არის, ხოლო სხვა რაიონებში ერთეულებია, რაც სრულიად ვერ აკმაყოფილებს გაზრდილ მოთხოვნებს. ამას გარდა ავტომანქანის ბევრი მფლობელი უგულბებუყოფს ისეთ ელემენტარულ პრო-

ფილაქტიკურ საშუალებას, როგორც არის მანქანის სიგნალიზაციით აღჭურვა. ჩვენს შემთხვევაში იხილეთ მანქანის მოვლა, როგორც არის გამტაცებელთა მიერ ავტომანქანების პატრონისაგან ფულის გამოძალვა. მარტო შარშან და წელს ჩვენს მიერ გამოვლინებულია მრავალი პირი, რომლებიც გამომძალველთა ნებას დაჰყვენენ. ავტომანქანების გატაცებას მნიშვნელოვნად შევამცირებდით ზოგიერთი მფლობელი სილანჩოს და დოკლამბობას რომ არ იჩენდეს და დროზე გვაცნობებდეს ამის შესახებ.

ამ დამნაშავეთა წინააღმდეგ ბრძოლაში ჩვენი ზოგიერთი ორგანოს საქმიანობაში ბევრი სერიოზული ხარვეზია. შინაგან საქმეთა რაიგანყოფილებების ყველა ხელმძღვანელმა ვერ შეძლო ორგანიზატორული მუშაობის გარდაქმნა, ღრმად ვერ აანალიზებს შექმნილ ოპერატიულ ვითარებას და არ სახავს ქმედით ღონისძიებებს მდგომარეობის გამოსასწორებლად. საჭიროა ამ გარემოებამ სერიოზულად დააფიქროს შინაგან საქმეთა რაიგანყოფილებების ხელმძღვანელები და მთელი პირადი შემადგენლობა.

ხალხი აღმოფხვრულია ქურდებისა და მძარცველების წრეგადასული ცინიზმით და თავხედობით. სწორედ მშრომელთა დაჟინებით მოთხოვნის შედეგი იყო, რომ 1980 წლის 21 მაისს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო ბრანებულება „სოციალისტური საკუთრებისა და მოქალაქეთა პირადი საკუთრების წინააღმდეგ დანაშაულისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“.

ჩვენი კანონები ყოველთვის გამოიჩინებდა ჰუმანურობით, მაგრამ სასჯელის გამკაცრება იმათ მიმართ, ვინც მშრომელი ადამიანის ნაოფლარსა და ნაღვანს იტაცებს, სავსებით კანონზომიერია. ქურდების წინააღმდეგ მთელი საზოგადოებრიობა უნდა აღდგეს, სწორი არ იქნება, თუ მათ წინააღმდეგ ბრძოლას მარტოდენ ადმინისტრაციული ორგანოების საქმედ მივიჩნევთ.

ბრძოლის ქურდების წინააღმდეგ ბრძოლაში ჯერ კიდევ არადაამყამყოფილებლად არის გამოყენებული დაცვითი სიგნალიზაციის დანერგვა, რაშიც კვლავ ვხვდებით ფორმალისა და თვალის ახვევის ფაქტებს. 1979 და 1980 წლებში სიგნალიზაციის დანერგვის ცუდი მაჩვენებლები გვქონდა და არც წელს გვაქვს სახარბიელო მდგომარეობა. მოსახლეობის გარკვეული ნაწილიც არ იჩენს მონდომებას ბინებში სიგნალიზაციის მოწყობისათვის.

ამ ხაზით მუშაობის დაბალი დონე იმითაც არის გამოწვეული, რომ შინაგან საქმეთა ორგანოების ბევრი ხელმძღვანელი ჯეროვნად არ ასრულებს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილების მოთხოვნებს ქურდობისა და ძარცვა-ყაჩაღობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ, რომელიც კონკრეტულ ამოცანებს გვისახავს ამ სახის დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში და მოითხოვს მუშაობის ორგანიზაციის ძირითად გარდაქმნას.

ასეთივე გადამწყვეტი ბრძოლა უნდა გაიშალოს საწარმოებში წვრილმანი დატაცების წინააღმდეგ. ჩვენ სისტემატურად ვაკლენთ წვრილმანი დატაცების მრავალ ფაქტს, უმთავრესად მსუბუქი და კვების მრეწველობის ობიექტებში. ეს მაშინ, როდესაც 1200-ზე მეტ საწარმოში, დაწესებულებაში და ორგანიზაციაში შექმნილია პროფილაქტიკური საბჭოები, ზოგიერთ საწარმოში კი ამ საბჭოებთან არსებობს „სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის ოპერატიული რეა-

გირების კომისიები“, რომელთა უმრავლესობის საქმიანობა ფორმალურ ხასიათს ატარებს.

მაგალითად, შემოწმებამ გვიჩვენა, რომ „საქთამბაქოს“, „თბილისხორცის“, „თბილისლუდის“ გაერთიანებებში და გრეხილი ავეჯის კომბინატში, აგრეთვე პლასტმასის ნაწარმის ქარხანაში, ფაბრიკა „კომკავშირელში“, „თბილისხილბოსტანვაჭრობის“ სისტემაში, პურის № 6 ქარხანაში, № 2 სამედიცინო სასწავლებელში და სხვაგან საბჭოები ფორმალურად არსებობენ, არ იხილავენ შრომის დისციპლინის საკითხებს, არა აქვთ იმ პირთა სია, რომლებიც აღრიცხვაზე არიან შინაგან საქმეთა რაიგანყოფილებაში, არა აქვთ საქმიანი კავშირი მართლწესრიგის დაცვის საზოგადოებრივ პუნქტებთან და სხვა. ბევრ საწარმოში და დაწესებულებაში დაივიწყეს რუსთაველ მეტალურგთა დიდებული თაოსნობა — „არც ერთი ჩამორჩენილი და უდისციპლინო ჩვენს გვერდით!“

ჩვენ ყოველთვის ვაწვდით ინფორმაციას საწარმოების, დაწესებულებებისა და სასწავლებლების ხელმძღვანელებს ქალაქში ოპერატიული ვითარების შესახებ იმ იმედით, რომ ისინი გამოიჩენენ მაღალ მოქალაქეობრიობას და პრიციპულ შეფასებას მისცემენ მათ თანამშრომელთა მიერ ჩადენილ დანაშაულს. სამწუხაროდ ბევრგან რეაგირებას არ ახდენენ ამ ფაქტებზე და არავითარ ზომებს არ ღებულობენ შემდგომში სამართალდარღვევათა აღმოსაფხვრელად.

არსებითი ნაკლოვანებებია მართლწესრიგის დაცვის საზოგადოებრივი პუნქტების მუშაობაში. ამ ინსტიტუტის საქმიანობის თაობაზე ჯერ კიდევ 1974 წლის 2 აგვისტოს იმსჯელა პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტმა და მიიღო დადგენილება „მიკრორაიონებში მართლწესრიგის დაცვის საზოგადოებრივი პუნქტების მუშაობის გაუმჯობესებისა და სამართალდარღვევათა პროფილაქტიკაში მათი როლის შემდგომი ამაღლების შესახებ“. დადგენილებით პარტიის რაიკომებს და რაილმასკომებს დაევალებათ განეხორციელებინათ კონკრეტული ღონისძიებანი მართლწესრიგის საყრდენი პუნქტების ნორმალური ფუნქციონირებისათვის. ეს საკითხი განხილულ იქნა აგრეთვე თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის XV მოწვევის მეოთხე სესიაზე. შემდეგ კი 1976 წლის 18 ივნისს XV მოწვევის მეხუთე სესიაზე. მაგრამ, მიუხედავად ამისა, დედაქალაქში არსებული 69 პუნქტიდან მხოლოდ რამდენიმე მუშაობს მეტ-ნაკლებად დამაკმაყოფილებლად. გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ტყუილად იფლანგება სახელმწიფო თანხები ამ პუნქტების შენახვისათვის.

ამაში ბრალი მიუძღვით მილიციის უბნის ინსპექტორებსაც, რომლებიც მოვალენი არიან აქტიურად მონაწილეობდნენ პუნქტების მუშაობაში, შექმნან საზოგადოების საუკეთესო წარმომადგენლებისაგან პუნქტების საბჭოები.

აქვე ვიტყვით, რომ ჩვენ არა ვართ კმაყოფილი უბნის ინსპექტორების დღევანდელი შემადგენლობით. მათი უმრავლესობა არ არის მოწოდების სიმალლეზე, ვერ აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რომლებიც მათ აქვთ წაყენებული. ბევრ არასასიამოვნო სიგნალს ვიღებთ მათი არასწორი, უკანონო მოქმედების გამო, და, ალბათ, ახლო მომავალში მოგვიწევს სათანადო ზომები მივიღოთ მათი რიგების განახლებისა და დამნაშავეობასთან ბრძოლაში მათი როლის გაძლიერებისათვის.

პარტიული და საბჭოთა ორგანოების დახმარებით ამ ბოლო ხანს ბევრია რამ გაკეთდა ქალაქის ქუჩებსა და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში სა-

ნიმუშო წესრიგის განსამტკიცებლად და საგუშაგო-საპატრულო სამსახურის ეფექტიანობის ასამაღლებლად. განხორციელებული ღონისძიებების შედეგად ქუჩებსა და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში დანაშაულმა საგრძნობლად იკლო, გაუმჯობესდა მილიციელების მონაწილეობა დანაშაულის გახსნაში.

მიუხედავად ამისა, ჩვენ სულაც არა ვართ კმაყოფილი ქალაქში საზოგადოებრივი წესრიგის დღევანდელი ვითარებით, ვინაიდან ოპერატიული მდგომარეობა ჩვენს სასარგებლოდ არ ლაპარაკობს. შარშან ქალაქის ქუჩებსა და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში რამდენიმე კაცი დაჭრეს.

საგუშაგო-საპატრულო სამსახურის ორგანიზაციის გაუმჯობესების მიზნით, გასული წლის დამლევს ქალაქში შეიქმნა ახალი სამწყობრო დანაყოფი სპეციალური პოლიცის სახით, მაგრამ მისი ეფექტიანობა წარმოუდგენელია სახალხო რაზმელების აქტიური მონაწილეობისა და მხარდაჭერის გარეშე. დღეისათვის ქალაქში 45 ათასამდე სახალხო რაზმელია, საშუალოდ ყოველდღიურად საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში მონაწილეობს 1.400-ზე მეტი კაცი. სუსტია მუშაობა ამ მხრივ ორჯონიკიძის, კალინინის, 26 კომისრის და ოქტომბრის რაიონებში, სადაც ოპერატიული ვითარება შედარებით გართულებულია. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მილიციელებისა და სახალხო რაზმელების შეთანხმებული მოქმედების ყველაზე უფრო პროგრესული ფორმაა საგუშაგო-საპატრულო სამსახურის ერთობლივი შესრულება. ჩვენთან იგი დიდი ხანია დაინერგა, მაგრამ შედეგები მთლიანად დამაკმაყოფილებელი არ არის. ამაში უპირველესად სცოდავენ შინაგან საქმეთა რაიგანყოფილებების უფროსები, რომლებიც არ იჩენენ სახალხო რაზმელების მუშაობისადმი დაინტერესებას, მომთხოვნელობას, რის გამოც სახალხო რაზმელების დიდი ნაწილი ფორმალურად ეკიდება საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას და არ იჩენს აქტიურობას.

პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა თავისი დადგენილებით დიდი ამოცანები დაგვისახა ხელიგნობის წინააღმდეგ ბრძოლის გასაძლიერებლად. სამწუხაროდ, ამ მხრივ ქალაქში სახარბიელო მდგომარეობა არა გვაქვს. მიმდინარე წელს რეგისტრირებულია ხელიგნობის ბევრი ფაქტი, რომელთა უმეტესობა ჩადენილია ქუჩებში.

მხედველობაშია მისაღები, რომ ხელიგნობის წინააღმდეგ ბრძოლა მნიშვნელოვანწილად ამცირებს ისეთ დანაშაულობებს, როგორც არის მკვლელობა და სხეულის მძიმე დაზიანება. ამ დანაშაულობათა დიდი ნაწილი ხდება აგრეთვე საყოფაცხოვრებო ნიადაგზე. შარშან ქალაქში მკვლელობისა და მისი მცდელობის შემთხვევათა უმრავლესობა სწორედ ამ ნიადაგზე იყო ჩადენილი. ეს იმის ბრალია, რომ ღრმად არ ვიხედებით კონფლიქტურ სიტუაციებში, რომლებიც წარმოქმნილია ცალკეულ მეზობლებსა და ოჯახის წევრებს შორის, რაც საბოლოოდ მძიმე შედეგით მთავრდება. ამის თაობაზე შემოსული საჩივრები და სხვა სახის ინფორმაციები ხშირად უხარისხოდ განიხილება ანდა რეაგირების გარეშე რჩება. ჯერ კიდევ ბევრი ხელმძღვანელი, განსაკუთრებით კი შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსები, არ იზვალისწინებენ საკითხის სიშფავესა და აქტუალობას, მოსუსტებს საზოგადოებრივი კონტროლიც. ძნელი დასაჯერებელია, რომ საყოფაცხოვრებო დავის შესახებ არაფერი იცოდნენ აღმასკომების შესაბამის განყოფილებებში, მართლწესრიგის დაცვის საყრდენ პუნქტებში, სახლთმმართველობებში, საწარმოებისა და დაწესებულებების ხე-

ლმძღვანელებმა. პარტია კი მკაცრად შოითხოვს ყველა ხელმძღვანელისაგან გარკვეული იყვნენ თავიანთი მუშაეების საყოფაცხოვრებო პირობებში, მაგალითად, ამას წინათ პარტიის პენზის საოლქო კომიტეტმა სპეციალურად იმსჯელა და მკაცრად დასაჯა ერთ-ერთი საწარმოს დირექტორი იმისათვის, რომ მისმა ორმა მუშამ საყოფაცხოვრებო ნიადაგზე მკვლელობა ჩაიდინა.

პიროვნების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის პროფილაქტიკაზე რომ ვლაპარაკობთ, უწინარესად უნდა გამოვყოთ მოსახლეობისათვის ცეცხლსასროლი იარაღის ჩამორთმევის საკითხი. 1979-1980 წლებში ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით ჩადენილია ბევრი მძიმე დანაშაული, მათ შორის მკვლელობა და მისი მცდელობა, ყაჩაღური თავდასხმა, ძარცვა და სხვა.


1980 წლის 25 მარტიდან 30 აპრილამდე პროფილაქტიკური ღონისძიებების „მტკვარი-80“-ის ჩატარების დროს მოსახლეობას ჩამოერთვა 525 ცეცხლსასროლი და 409 ცივი იარაღი. ჩვენს განკარგულებაშია ოპერატიული მონაცემები, რომელთა მიხედვითაც მოსახლეობაში კვლავ დიდი რაოდენობით ინახება ასეთი იარაღი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის აგვისტოს ცნობილ დადგენილებაში დიდად ადგილი აქვს დათმობილი სისხლის სამართლის სამძებრო და საგამოძიებო აპარატების საქმიანობის და თანამოქმედების გაუმჯობესების საკითხებს. ამაზე ბევრად არის დამოკიდებული დანაშაულის გახსნა, მისი პროფილაქტიკა. ჩვენ ამჟამად ვახორციელებთ რადიკალურ ღონისძიებებს ამ სამსახურების გასაძლიერებლად და ვიმედოვნებთ, რომ პარტიული და საბჭოთა ორგანოების დახმარებით სასურველ შედეგს მივალწევთ.

დანაშაულის ოპერატიულად და სრულყოფილად გახსნისათვის დასახულია ქმედითი ღონისძიებები და ახლო მომავალში მივალწევთ, რომ არც ერთი დანაშაული არ დარჩეს გაუხსნელი, არც ერთი დამნაშავე — დაუსჯელი, შექმნილია სპეციალიზებული ჯგუფი გამოძიებლებისა და სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების მუშაეების შემადგენლობით, რომლებიც მუშაობენ მართოდენ ძველ, გაუხსნელ საქმეებზე. იმედია, მათი გულმოდგინე მეტადინეობით ბევრ ბნელ საქმეს აეხდება ფარდა და ბოროტმოქმედნი წარსდგებიან მართლმსაჯულების წინაშე.

გადაჭრით უნდა გაუმჯობესდეს მუშაობა დანაშაულის „ცხელ კვალზე“ გასახსნელად. ამ მიზნით განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ სამორიგეო ნაწილის მუშაობას, რათა მათ დროულად და ორგანიზებულად მოახდინონ რეაგირება მიღებულ სიგნალზე, უზრუნველყონ პირველადი სამძებრო-საგამოძიებო მოქმედების კარგად ჩატარება, შემთხვევის ადგილის კვალიფიციური დათვალიერება.

შინაგან საქმეთა ორგანოები, მათი პროფილაქტიკური დანაყოფები აღრიცხავენ იმ პირთ, რომლებსაც მიდრეკილება აქვთ სამართალდარღვევათა ჩადენისაკენ, თავს არიდებენ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას, ეძალეებიან სახმელებს, მაწანწალობენ და სხვა. უკანასკნელ ხანს ბევრი რამ გაკეთდა ამ საქმიანობის სრულყოფის, განსაკუთრებით პროფილაქტიკური სამსახურის მუშაეების და უბნის ინსპექტორების საქმიანობის გაუმჯობესებისათვის, მაგრამ ცხოვრებაში ცხადყო, რომ გაცილებით ქმედითი და ეფექტიანია საუწყებო კონტროლის პარამონიული შეხამება საზოგადოებრივ ანუ სოციალურ კონტროლთან.




ეს ხალხის კონტროლია, მთელი საზოგადოების კონტროლია იმათ მიმართ, ვინც ნებსით თუ უნებლიეთ არღვევს მართლწესრიგს, თავის მოქმედებით ჩირქს სცხებს იმ კოლექტივს, სადაც სწავლობს ან მუშაობს. ცნობილია, რომ ხშირად ამა თუ იმ პიროვნების მოქმედების შეფასება მისი უახლოესი სოციალური გარემოცვის მხრივ უფრო ძლიერ გავლენას ახდენს ადამიანის ყოფაქცევაზე, ვიდრე ოფიციალური გაკიცხვა. ამიტომ პროფილაქტიკური მუშაობის წარმატების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა შრომითს კოლექტივებში სამართალდარღვევათა ფაქტების დაგმობის, მათ მიმართ შეუროგებლობის საპირობათმოსფეროს შექმნა.

მაგალითად, მეტად მნიშვნელოვანია საზოგადოებრიობის როლი ქურდობის პროფილაქტიკაში, მაგრამ, სამწუხაროდ, დღემდე ვერ მივაღწიეთ ისეთი პროფილაქტიკური ღონისძიების შემოღებას და დანერგვას, როგორც არის ქალაქ მოსკოვის გამოცდილება მოსახლეობის საცხოვრებელ სახლებში მორიგეობის დაწესება, სადარბაზოების შეკეთება და საიშედო კლიტეებით აღჭურვა, სასლების სხვენების მოწესრიგება და სხვა მრავალი. მილიცია ყველაფერს ვერ გასწვდება, თუ თვით მოსახლეობა არ მიიღებს აქტიურ მონაწილეობას ქურდობის თავიდან აცილებისა და პროფილაქტიკის საქმეში.

ყვერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებები გვაქვს ადმინისტრაციული ზედამხედველობის განხორციელებაში. ადრე ნასამართლევი პირები, რომლებიც საპატიმრო ადგილებში არ დაადგნენ გამოსწორების გზას და მათგან ყოველთვის მოსალოდნელია დანაშაულის ჩადენა, ხშირად მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ არ იმყოფებიან და მათზე სათანადო პროფილაქტიკურ ზეგავლენას ვერ ვახდენთ. ამ საქმეში მაქსიმალურად არ არის გამოყენებული სახლთმშობრთველობების, საბინაო კომიტეტების, საყრდენი პუნქტების და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების საშუალებები, ხოლო რაიადმასკომების შრომითი მოწყობის კომისიები ნაკლებად ზრუნავენ მათთვის.

არადამაკმაყოფილებლად ვეწვეით ბრძოლას არასრულწლოვანთა დამნაშავეობის წინააღმდეგ. საყვედურს იმსახურებენ რაიგანყოფილებათა უფროსების მოადგილეები ოპერატიულ დარგში, რომლებიც არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულის თითოეული ფაქტის გამო განგაშს არ ტეხდენ და შეუროგებლობის ატმოსფეროს ქმნიან. ჩანს, რეიდები და შემოვლები, რომლებიც არასრულწლოვან დამნაშავეთა გამოსაველენად ეწყობა ქალაქში, ნაკლებ ეფექტიანია. შინაგან საქმეთა ზოგერთი რაიგანყოფილება ყურადღებას არ უთმობს არასრულწლოვანებთან მუშაობას, რომლებსაც სახალხო სასამართლოების მიერ განაჩენის აღსრულება გადავადებული აქვთ. ამ მიმართულებით ჩვენ კონკრეტულ ღონისძიებებს ვახორციელებთ. გადავწყვიტეთ ასეთი მოზარდები პერსონალურად მივამაგროთ პარტიის წევრებს, შრომის ვეტერანებს და ვთხოვთ ჩაატარონ მათთან აღმზრდელობითი მუშაობა.

შეუწყნარებელია, რომ დანაშაულის ჩამდენი ყოველი მეხუთე მოზარდი ჩაბმული არ იყო საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში. ეს იმას მეტყველებს, რომ არასრულწლოვანთა ინსპექციების მუშაეები არ ეწვეიან პროფილაქტიკურ საქმიანობას, ცუდად იცნობენ თავიანთ სამოქმედო უბნებში მცხოვრებ ძნელად აღსაზრდელ მოზარდებს, რომლებიც მიდრეკილებას იჩენენ დანაშაულისადმი, ხოლო რაიადმასკომის არასრულწლოვანთა კომისიებმა, ამ მეტად მნიშვნელოვან სახელმწიფო პრობლემის გადაწყვეტაში მეტი მონდომება



უნდა გამოიჩინონ. სუსტია ჩვენი თანამშრომლების კონტაქტი სკოლებთან, კომკავშირულ ორგანიზაციებთან, შრომითს კოლექტივებთან, დამაკმაყოფილებლად არ მუშაობენ სახლმმართველობების პედაგოგ-ორგანიზატორები და სხვა. დღეს მეტად მწვავედ დგას მოზარდის, ჩვენი მომავალი თაობის სამართლებრივი აღზრდა. მხედველობაშია მისაღები, რომ ამჟამად დანაშაულის უმრავლესობას 15-28 წლის ასაკის ახალდაზრდა სჩადის. მათი აღზრდა კი უპირველეს ყოვლისა ოჯახში უნდა იწყებოდეს.

სამართლებრივი აღზრდა განსაკუთრებით უნდა გაძლიერდეს ჩვენი ქალაქის სასწავლებლებსა და სკოლებში. ამას წინათ ამ საკითხზე პრინციპულად იმსჯელა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიამ. ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი პედაგოგები მთელი გულისხმიერებით, მაღალი პასუხისმგებლობით მოეკიდებიან ამ მეტად საპატიო ეროვნულ-სახელმწიფო საქმეს.

ბოლო დროს გაძლიერდა ბრძოლა მუქთახორობის წინააღმდეგ. შარშან მდგომარეობის გაუმჯობესებას იმანაც შეუწყო ხელი, რომ პარტიული და საბჭოთა ორგანოების დახმარებით მრავალი ღონისძიება განხორციელდა მათ გამოსავლინებლად და შრომაში ჩასაბმელად. დიდ დახმარებას გვიწვევენ რაიკომისკომების სპეციალური კომისიები. არაერთი პირი, ვინც შეგნებულად არიდებს თავს შრომას, სისხლის სამართლის პასუხისმგებაშიც მიეცა. მაგრამ, როგორც ჩანს, ეს საკმარისი არ არის.

სამწუხაროდ, ქალაქის საწარმოებში, ორგანიზაციებში, სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტებში, საავადმყოფოებში და სხვაგან თავისუფლად შედიან სპეკულანტები და შრომითი კოლექტივის თვალწინ იმართება საჯარო ბაზრობა.

სახარბიელო მდგომარეობა არა გვაქვს არც ლოთობისა და ალკოპოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების მიხედვით ბევრი რამ არის გასაკეთებელი. ლოთობა ბევრი დანაშაულის მიზეზია და მეტად უარყოფითს გავლენას ახდენს ქალაქის ოპერატიულ ვითარებაზე. ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების მონაცემებით, ქალაქში აღრიცხვაზე ბევრი ქრონიკული ალკოპოლიკი. გასულ წელს საგარეჯოს სამკურნალო-შრომითს პროფილაქტორიუმში მხოლოდ 86 ალკოპოლიკი გაიგზავნა, მართო ეს მონაცემიც მეტყველებს, რომ ჭეროვნად არ ვიბრძვით ამ სენის აღმოსაფხვრელად.

ლოთობის ერთ-ერთი მძლავრი პროფილაქტიკური საშუალებაა ნარკოლოგიური კაბინეტების გახსნა მსხვილ საწარმოებში, რაც გათვალისწინებულია კიდევ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სადირექტივო დადგენილებით.

თუმცა ბოლო ხანს გაძლიერდა ბრძოლა ნარკომანიის წინააღმდეგ, გაიზარდა ნარკომანთა გამოვლინება, ჩამორთმეულია გაცილებით მეტი ნარკოტიკული ნივთიერებანი და სხვა, მაგრამ ჭერ კიდევ საკმარისად არ ვმუშაობთ ამ საშინელი სენის გამავრცელებელი პირველადი წყაროების დასადგენად. მკაცრი კონტროლი არ არის დაწესებული აფთიაქებსა და სხვა სამკურნალო დაწესებულებებში ნარკოტიკულ ნივთიერებათა შემცველი პრეპარატების გაცემისა და შენახვისადმი.

რაიკომისკომებთან შექმნილი ნარკომანიისთან და ლოთობასთან ბრძოლის საკოორდინაციო მუდმივმოქმედი კომისიები, რომლებშიც შედიან საწარმოების, სასწავლებლებისა და დაწესებულებების კოლექტივების მოწინავე წარმო-

მადგენლები, პარტიული, საბჭოთა და კომკავშირული ორგანოების მუშაკები და სხვები საკმაოდ შემტევად არ მუშაობენ ამ მიმართულებით.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება გვავალებს გადაჭრით გავაუმჯობესოთ სოციალისტური საკუთრების დატაცებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ მებრძოლი აპარატების საქმიანობა. ამ სამსახურის მუშაობით კი ჩვენ ჯერ კიდევ არ ვართ კმაყოფილი. სუსტად წარმოებს ბრძოლა სახელმწიფო ქონების ჯგუფურ დატაცებათა წინააღმდეგ. საქმოსნებმა და კომბინატორებმა კვლავ აიშვეს თავი. ამაზე მეტყველებს თუნდაც შამპანური ღვინოების ქარხანაში მომხდარი უმძიმესი დანაშაული. კომბინატორებმა აქ შეიძღეს 8 მილიონზე მეტი სახელმწიფო თანხის დატაცება.

დარღვევებია მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროშიც, მაღაზიებში, საზოგადოებრივი კვების ობიექტებში არ იცავენ ვაჭრობის წესებს, ხშირია მომხმარებელთა მოტყუების ფაქტები, დეფიციტური საქონელის გადამალვის შემთხვევები.

სერიოზული პრობლემები დგას სახელმწიფო ავტონისპექციის წინაშეც. შეიძლება თამამად ითქვას, რომ დღეისათვის სისხლის სამართლის არც ერთი დანაშაული არ აყენებს დედაქალაქის მოსახლეობას იმდენ ზიანს, რამდენსაც საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევებით გამოწვეული შედეგები.

ზოგიერთი ავტომეურნეობის ხელმძღვანელი გულგრილად ეკიდება ისეთ პასუხსავებ საქმეს, როგორც ხაზზე ტექნიკურად გამართული ტრანსპორტის გამოშვება. გაკიცხვის ღირსნი არიან № 1, 2 და 3 ტაქსების საწარმოები, სადაც ხაზზე გამოსვლის წინ შემოწმებულ მანქანების 25 პროცენტი ტექნიკურად გაუმართავი აღმოჩნდა, № 6 და № 7 საწარმოებში — 30-35 პროცენტი, ავტობაზა „ტურისტში“ შემოწმებული 60 მანქანიდან 20 ტექნიკურად გაუმართავი იყო, ხოლო № 2662 ავტოკოლონაში — 33 პროცენტი.

სათანადო წესრიგი არ არის საპასპორტო რეჟიმის დაცვის მხრივაც. დღეს ქალაქში ბევრია ისეთი მოქალაქე, რომლებიც მუშაობენ ქალაქის საწარმოებში, სწავლობენ უმაღლეს და საშუალო ტექნიკურ სასწავლებლებში და თბილისში კი არ არიან ჩაწერილნი. მაგალითად, საქარხნო რაიონში შემოწმების შედეგად „ტრანსმშენის“ საერთო საცხოვრებელში 126 ჩაუწერავი მუშა აღმოჩნდა, ბევრი ჩაუწერავი დაადგინეს ამავე ტრესტის სხვა უბნებზეც.

ჩვენი მიღწევები ბევრად არის დამოკიდებული კადრების სწორად შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის საქმეზე.


პარტია დიდ მზრუნველობას იჩენს შინაგან საქმეთა ორგანოების საქმიანობის სრულყოფისათვის, განათლებული, მომზადებული და ღირსეული კადრებით მისი რიგების შევსებისათვის, თანამშრომლების მატერიალური უზრუნველყოფის გაუმჯობესებისათვის.

დედაქალაქის შინაგან საქმეთა ორგანოები ყოველთვის გარემოცული არიან პარტიული და საბჭოთა ორგანოების მზრუნველობით. დამნაშაევობის წინააღმდეგ ბრძოლის, სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის და შინაგან სა-

ქმეთა ორგანოების მუშაობის საკითხები რეგულარულად იხილება პარტიულ კომიტეტში და აქტივებზე, აღმასკომების სხდომებზე და სახალხო დეპუტატთა საბჭოების სესიებზე. მართლწესრიგის დაცვისა და სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებას მიეძღვნა თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს მე-17 მოწვევის მეორე სესია, რომელიც 1980 წლის 10 ივლისს გაიმართა. დაისახა სპეციალური ღონისძიებანი როგორც სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის გასაძლიერებლად, ასევე ქალაქის შინაგან საქმეთა ორგანოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გასაუმჯობესებლად. მადლიერი ვართ იმ დიდი დახმარების გამო, რომელსაც პარტიის თბილისის კომიტეტი, საქალაქო საბჭოს აღმასკომი და პარტიის რაიონები გვიწვევენ კადრების შერჩევაში, პირადი შემადგენლობის სამუშაო და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებაში.

პარტიისა და ქვეყნის წინაშე მდგომი დიდი და რთული ამოცანები დაბეჯითებით მოითხოვს, რომ ხელმძღვანელი კადრები სრულყოფილად ფლობდნენ მმართველობის თანამედროვე მეთოდებს, ჰქონდეთ ახლის გრძნობა, ხედვდნენ განვითარების პერსპექტივას, შესწევდეთ უნარი გამოიჩინონ წარმოშობილი პრობლემების გადაწყვეტის ყველაზე ეფექტიანი გზები, შეეძლოთ სხვისი ცოდნისა და გამოცდილების გამოყენება.

სწორედ ამგვარი ხელმძღვანელები გვჭირდება შინაგან საქმეთა ორგანოებში, რაც დიდად შეუწყობს ხელს დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის სწორ ორგანიზაციას, ჩვენ წინაშე მდგომი ამოცანების წარმატებით გადაწყვეტას.



მეჩითაგეთა ჯგუში მხიდაგულია

საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოში თვე-ნახევარზე მეტ ხანს გრძელდებოდა პროცესი თბილისის 26 კომისრის რაიაბატონ აღმასკომის ყოფილი თავმჯდომარის იუზა აპოლონის ძე კობახიძის და სხვათა ბრალდების საქმის გამო. რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ (თავმჯდომარე — ი. გოგილაშვილი, მსაჯულები — ზ. სვედელიძე და ნ. გუგუჩია, მდივანი — მ. მალანია, სახელმწიფო ბრალმდებელი — რესპუბლიკის პროკურატურის განყოფილების უფროსი კ. ნარმანია) ი. კობახიძე და მისი ათი თანამონაწილე დამნაშავედ ცნო წაყენებულ ბრალდებაში და ყველა მათგანის მიმართ გამოიტანა გამამტყუნებელი განაჩენი.

ი. კობახიძე მსჯავრდადებულ იქნა საქართველოს სსრ სსკ 198-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულისათვის. იგი მუშაობდა ქ. თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ, ანგარების მიზნით 1976 წელს დანაშაულებრივად დაუკავშირდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საზოგადოებრივი კვების კომბინატის წარმოების უფროსს, ხოლო 1977 წლიდან 26 კომისრის სახელობის რაიონის აღმასკომის ადმინისტრაციულ შენობაში მდებარე სასადილოს მზარეულს ნაზიკო აქესენტის ასულ ერისთავს და მისი მეშვეობით კავშირს ამყარებდა ისეთ პირებთან, რომლებსაც ქრთამის გაღებით სურდათ შესულიყვნენ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივებში ან ურიგოდ მიეღოთ კომუნალური ბინები. წინასწარი შეთანხმების საფუძველზე ი. კობახიძე ოროთახიანი ბინის აშენების მსურველებს ნ. ერისთავის მეშვეობით ართმევდა 6000 მანეთს, სამოთახიანისათვის — 8000 მანეთს, ოთხოთახიანისათვის — 10 000 მანეთამდე, საიდანაც შუამავლობისათვის გასამრჯელოს სახით 1000 მანეთს აძლევდა ნ. ერისთავს.

წინასწარი და სამსჯავრო გამოძიების მასალებით დადგენილია, რომ ი. კობახიძისა და მის თანამზრახველთა მიერ დანაშაულობათა ჩადენას ჰქონდა მოფიქრებული, ჩამოყალიბებული, სისტემატური ხასიათი. მექრთამეობის დანაშაულის განხორციელების ყველა შემთხვევაში ქრთამის მიმცემთა და შუამავალთა გარკვეულ მოქმედებას კანონზომიერად მოსდევდა აღმასკომის თანამდებობის პირთა შესაბამისი მოქმედება.

ნ. ერისთავისა და ყ. სუგიანის მეშვეობით ი. კობახიძის მიერ ქრთამის აღებას, როგორც წესი, ყოველთვის თან მოსდევდა ბინის მიღების თაობაზე ქრთამის მიმცემის მხრივ საბუთების ჩაბარება აღმასკომის ინსპექტორ თ. ლეკიაშვილისათვის, აღმასკომის მიერ სასწრაფოდ კომისიის გაგზავნა ქრთამის მიმცემის ბინაში, შემდეგ ასევე დაჩქარებულად საკითხის გატანა ჯერ საბინაო კომისიაზე, შემდეგ აღმასკომის სხდომაზე, კოოპერატივში ჩარიცხვა, პირველი პაის შეტანა და ბინის მიღება.

თავისი ანგარებითი დანაშაულებრივი ზრახვების განხორციელების მიზნით ი. კობახიძემ ერთგვარი ბარიერი შექმნა ბინების განაწილების საქმეში. საქმე ის არის, რომ ეს მათ სჭირდებოდათ, კოოპერატივში განწევრიანებაზე უარს ეუბნებოდნენ იმათ, ვინც არ იყო კომუნალური ბინის აღრიცხვაზე. აი, რა აჩვენა ამის შესახებ სამართალში მიცემულმა თ. ლეკიაშვილმა: „ი. კობახიძემ დაანება, რომ ვინც არ იყო კომუნალური ბინის აღრიცხვაზე, არ უნდა აყვანილიყო აღრიცხვაზე კოოპერატივში გასანწევრიანებლად. ეს არ იყო სწორი. მერე მივხვდი, თუ რატომ დაანება ი. კობახიძემ ეს ხელოვნური ბარიერი. იღებდნენ ვინც უნდოდათ და უარს ეუბნებოდნენ მრავალ სხვას“.

ეს აზრი უფრო მტკიცედ განავითარა თ. ლეკიაშვილმა თავის ჩვენებაში: „ჩემი გაგებით და შეხედულებით, კოოპერაციულ აღრიცხვაზე აყვანისათვის კომუნალურ აღრიცხვაზე ყოფნას არ უნდა ჰქონოდა გადამწყვეტი მნიშვნელობა, თუკი მოქალაქის ოჯახი ექვემდებარებოდა კომუნალურ აღრიცხვაზე აყვანას. ასე მუშაობდნენ მთელი რიგი რაიაღმასკომები: ორჯონიკიძის, საქარხნო და სხვ. ამ შეზღუდვას, რომელიც შემოღებული იყო ი. კობახიძის განკარგულებით, მაშინ იმით ვხსნიდი, რომ აღმასკომი ცდილობდა პირველ რიგში საცხოვრებელი ფართობით დაეკმაყოფილებინა აღრიცხვაზე მყოფი ოჯახები. ახლა კი ჩემ-

თვის უკვე ნათელი გახდა, რომ ამ ე. წ. შეზღუდვას აღმასკომის თავმჯდომარე ი. კობახიძე სპეციალურად ქმნიდა ბარიერად პირადი ანგარების მიზნით. ხოლო თუ ი. კობახიძე ანგარების მიზნით თავს დაიმიჯნებდა, რომ გაუამხანაგდებოდა სასადილოს გამგეს ნ. ერისთავს და ამ სიბინძურის ჭაობში ჩაეფლობოდა ამას ვერ წარმოვიდგენდი“.

ი. კობახიძე არაფულწრფელობას იჩენდა, ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა შეემსუბუქებინა პასუხისმგებლობა. ამაზე მიგვანიშნებს მისი ვანცხადებები და ვანმარტებები წინასწარ და სამსჯავრო გამოძიების დროს, თითქოს ანგარებისა და მომხვეჭელობის ამ ბინძურ ჭაობში იგი ნ. ერისთავს ჩაეთროს.

სასამართლო პროცესზე ი. კობახიძისადმი სახელმწიფო ბრალმდებლის მიერ დასმულ კითხვაზე — იქნებ უფრო გასაგებად განგვიმარტოთ, როგორ შეიძლება იმის წარმოდგენა, რომ აღმასკომის თავმჯდომარე შეცდინა, ანგარების წუმბეში ჩაითრია სასადილოს მუშაკმა, მზარეულმა ქალმაო, მისი პასუხი სრულიად არადამაჯერებელი და არალოგიკური იყო.

1976-1979 წლებში ი. კობახიძემ ნ. ერისთავის მეშვეობით 23 მოქალაქისაგან (შატვეროვა, შამიანი, მიქაელიანი, სუგანი, ასრინიანი, კარაპეტიაი, დანელიანი, ტერდანელიანი და სხვ.) სულ ქრთამის სახით აიღო 172 000 მანეთი, საიდანაც თვითონ დაიტოვა და მიითვისა 117 900 მანეთი, გასამრჯელოს სახით მისცა: ნ. ერისთავს 19 500 მანეთი, მეორე შუამავალს ჟ. სუგანს ერისთავის მეშვეობით — 10 300, ხოლო 24 300 მანეთი დაუბრუნა ქრთამის გამღებ პირებს მისგან დამოუკიდებელი სხვადასხვა მიზეზის გამო.

მექრთამეობაში შუამავლობისათვის მსჯავრდადებულ იქნა 26 კომისრის რაილმასკომის სასადილოს მზარეული ნ. ერისთავი, რომელიც ამ დანაშაულობათა ჩადენის აქტიურად მოქმედი პირია. მან ი. კობახიძის დავალებით, როგორც პირადად, ასევე ჟ. სუგანის მეშვეობით, დანაშაულებრივი კავშირი დაამყარა 22 მოქალაქესთან, აგრეთვე თბილისში მცხოვრები ვ. დოლიძის მეშვეობით ერთ მოქალაქესთან და ი. კობახიძესთან გასწია შუამავლობა ათიათასობით მანეთი ქრთამის აღებაში.


ამავე საქმის გამო მსჯავრდადებულ იქნა რაილმასკომის საბინაო განყოფილების კოოპერაციული ბინათმშენებლობის ინსპექტორი თამარ გარსევანის ასული ლეკიაშვილი, რომელსაც დაუდასტურდა 400 მანეთი ქრთამის აღება და სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ სსკ 189-ე მუხლის II ნაწილით და 186-ე მუხლის II ნაწილით.

სასამართლო პროცესზე თ. ლეკიაშვილმა მოქალაქეთა უწყებით გამოიძახება აღმასკომში ბინებთან დაკავშირებით, იმის დამადასტურებლად წარმოადგინა, თითქოს იქ ყველაფერი კანონიერად ხდებოდა, მაგრამ პროცესზე ნათელი გახდა, რომ ასეთი გამოიძახება მეტწილად ფორმალურ ხასიათს ატარებდა. უფრო მეტიც, ზოგჯერ მოქალაქეს გამოიძახებდნენ იმისათვის, რომ რაიმე მოტივით უარი ეთქვათ, რითაც მას აიძულებდნენ გაეღო ფული“.

საგალითად, სამართალში მიცემულმა თ. ლეკიაშვილმა გამოიძახა მოქ. ნ. აღუაშვილი იმისათვის, რომ უარი ეთქვა კოოპერაციის წევრად მიღებაზე. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ნ. აღუაშვილის მეუღლის ლ. ასლანიანის ჩვენება, რომელიც მან სასამართლოს მისცა: „ჩემმა მეუღლემ ნ. აღუაშვილმა, ფული რომ გადასცა ლეკიაშვილს, იქიდან ვიცი, რომ, მანამდე თუ ამბობდა 7 წელი კიდევ მოითმინეთო, ფულის გადაცემის შემდეგ, მეორე დღესვე გამოგვიწერა ქვითარი და შეგვატანინა პაი“.

ამ დანაშაულობათა მონაწილე გახდა საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული სახალხო მეურნეობის ეკონომიკისა და დაგეგმვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის განყოფილების გამგე ვ. დოლიძე, რომელმაც მოქ. გ. ურუშაძეს მისი ბინის საკითხის მოსაგვარებლად გამოართვა 9 000 მანეთი, ეს თანხა ნ. ერისთავის მეშვეობით გადასცა კობახიძეს, ე. ი. მან ჩაიდინა დანაშაული, მექრთამეობაში შუამავლობა, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ სსკ 189-ე მუხლის I ნაწილით.

სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისათვის ასევე მსჯავრი დაედოთ რაილმასკომის თავმჯდომარის მოადგილეს გიორგი აროპოლისის ძე კვაჭაძეს და საბინაო განყოფილების უფროსს ლევან შოთას ძე პაკიძეს, რომლებიც ასრულებდნენ რა ი. კობახიძის უკანონო მითითებებს, ბოროტად იყენებდნენ სამსახურებრივ მდგომარეობას — კოოპერაციის წესდებისა და ბინის აღრიცხვაზე აყვანის დებულების დარღვევით ამზადებდნენ და გ. მოქიქონდათ აღმასკომის სხდომაზე იმ მოქალაქეთა კოოპერაციებში მიღების საკითხი,



რომელთა ნევრად მიღება უკანონო იყო, ე. ი. მათ ჩაიდინეს დანაშაული, რომელიც გავალისწინებულია საქართველოს სსრ სსკ 186-ე მუხლის II ნაწილით.

მართალია, გ. კვაჭაძისა და ლ. პაიკიძის მონაწილეობა მექრთამეობაში არ დადასტურდა, მაგრამ მათ მიერ ჩადენილმა ამ კანონსაწინააღმდეგო მოქმედებებმა გარკვეულად შეუწყო ხელი ი. კობახიძის ანგარებითი ზრახვების განხორციელებას. ამის დასადასტურებლად მოვიყვანთ ადგილს თვით გ. კვაჭაძის ჩვენებიდან: „თავს დამნაშავედ ვცნობ, რომ დალაქიშვილსა და ასრიხანიანს არ ეკუთვნოდათ კოოპერაციულ ბინათმშენებლობაში აყვანა, რადგანაც მათი პირადი საქმეები სრულყოფილად არ იყო შედგენილი, მაგრამ მათზე გვექონდა კობახიძის მითითება, რის გამოც საკითხი გავიტანეთ კომისიაზე და გადაწყვეტილების პროექტი შევიტანეთ აღმასკომში.“

მე რომ მეტი პასუხისმგებლობა და პრინციპულობა გამომეჩინა, ისინი არ უნდა აგვეყვანა აღრიცხვაზე“.

აი ერთი ადგილი მსჯავრდადებულ ლ. პაიკიძის ჩვენებიდან: „კობახიძის დავალებით მე სისტემატურად ვავალებდი ინსპექტორ თ. ლეკიაშვილს მოემზადებინა სააღრიცხვო საქმეები კოოპერაციულ მშენებლობაში შესასვლელად. ასეთი პირები, მახსოვს, იყვნენ დალაქიშვილი, ვორონოვი, ასრიხანიანი და სხვები. ი. კობახიძის დავალებით აგვეყვანა ისეთი პირები, რომლებიც არ ექვემდებარებოდნენ აღრიცხვაზე აყვანას“.


ამ გარემოებებს ლ. პაიკაძე ადასტურებს თავის 1980 წლის 7 აპრილის ჩვენებაში: „როცა ი. კობახიძე მავალბდა სასწრაფოდ შემეკრიბა საბუთები მოქალაქის პირადი საქმისათვის და გავგეტანა კომისიაზე, ჩემი მხრივ, მე ი. კობახიძის ასეთ დავალებებს გადავცემდი და ვავალებდი თ. ლეკიაშვილს. მე არ ვიცი, რა დანტერესება ჰქონდა ი. კობახიძეს“. ლ. პაიკიძის 1979 წლის 12 ნოემბრის ჩვენება: „...დალაქიშვილსა და ასრიხანიანს კოოპერაციულ ბინათმშენებლობაში შეყვანაზე მე უარი ვუთხარი. ი. კობახიძემ მიბრძანა, სასწრაფოდ, კომისიური წესით შემემოსმებინა მათი საბინაო პირობები და შემედგინა აქტი. რატომ მომცა ასეთი დავალება, არ ვიცი. ეს მოხდა ისე საჩქაროდ, რომ ბინის დათვლიერებაში მონაწილეობა არ მიმიღია. დავავალე ინსპექტორ დარბაიძეს, რომელმაც მოიტანა მონაცემები, აქტი შევადგინე მე. შემდეგ გავიტანეთ აღმასკომის სხდომაზე, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება მათი აღრიცხვაზე აყვანის შესახებ. ისინი ჩანერილები იყვნენ მდგმურის უფლებით დიდ ფართში და ამისათვის არ ექვემდებარებოდნენ აღრიცხვაზე აყვანას“.

საბინაო-სამშენებლო კოოპერატივებში მოქალაქეთა ჩარიცხვის ფაქტები მექრთამეობის წყალობით, რაც ხდებოდა 26 კომისრის რაილმასკომში, ცნობილი გახდა მირიან პეტრეს ძე გოლდინისათვის, რომელიც ქ. თბილისის № 4 ტექსტოტორის პარკის საბინაო კომისიის თავმჯდომარედ მუშაობდა. მან 1978 წლის იანვარში კოოპერაციული ბინის აშენების მსურველი მოქ. ვლადიმერ ალექსანდრეს ძე შტანიკოვი წააქეზა, რომ 26 კომისრის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის საბინაო განყოფილების კოოპერაციული ბინათმშენებლობის ინსპექტორ თ. ლეკიაშვილისათვის მიეცა 1000 მანეთი ქრთამი, რომლის შემდგომ თითქოსდა ეს უკანასკნელი დახმარებას გაუწევდა მას კოოპერაციული ბინის მიღებაში. 1979 წლის მარტში, მიიღო რა ვ. შტანიკოვისაგან 1000 მანეთი, იგი თვითონ მიითვისა. მანვე იმავე პარკის მძღოლ კალაშევს თაღლითობის გზით გამოართვა 1500 მანეთი, რომელიც ასევე მიითვისა, ე. ი. ჩაიდინა მექრთამეობის წაქეზება და თაღლითობა.

სასამართლო კოლეგიამ ქრთამის მიცემისათვის მსჯავრი დასდო ს. დალაქიშვილს, ა. ასრიხანიანს და ე. გალუმაშვილს. დანარჩენი ქრთამის მიმცემი ოცი პირი კი წინასწარი გამოძიების მიერვე იქნა გათავისუფლებული სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან, რადგან, როგორც ამას საქართველოს სსრ სსკ 190-ე მუხლის III ნაწილი ითვალისწინებს, მათ ნებაყოფლობით განუცხადეს საგამოძიებო ორგანოებს მათ მიერ ქრთამის მიცემის ფაქტი.

საქმის მასალები ქრთამის მიმცემი გიორგი გიორგის ძე ურუშაძის მიმართ, რომელიც ქ. თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დოცენტი, მისი ავადმყოფობის გამო გამოიყო ცალკე წარმოებად.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ ზემოაღნიშნულ პირთა მიმართ წარდგენილი ბრალდებათა ჩათვალა დადასტურებულად და შეუფარდა: ი. ა. კობახიძეს — სასჯელის უმაღლესი ზომა — სიკვდილით დასჯა და ქო-



ნების კონფისკაცია; ნ. ა. ერისთავს — 10 წლის თავისუფლების აღკვეთა და ქონების კონფისკაცია; თ. გ. სუგიანს — 8 წლის თავისუფლების აღკვეთა და ქონების კონფისკაცია; თ. გ. ლეკიაშვილს 8 წლის თავისუფლების აღკვეთა და ქონების კონფისკაცია; გ. ე. კვაჭაძეს და ლ. შ. პაიკიძეს სამ-სამი წლის თავისუფლების აღკვეთა; ვ. გ. დოლიძეს — 4 წლის თავისუფლების აღკვეთა; გ. პ. გოლდინს, ს. ა. დალაქიშვილს, ა. ლ. ასრიხანიანს, ე. ს. გალუმაშვილს — 3-3 წლის თავისუფლების აღკვეთა.

სასამართლომ სათანადო რეაგირება მოახდინა ზოგიერთი მოწმის კანონსწინააღმდეგო მოქმედებების გამო. მოქალაქე მარიამ შიკამ, ცოლ-ქმარმა ლიდია და ივანე ივანჩენკოებმა ცრუჩვენებები მისცეს სასამართლოს დამნაშავეთა სასარგებლოდ.

პედაგოგ ივანე ივანჩენკოს და მისი მეუღლის — სასტუმრო „აჭარის“ თანამშრომლის ლიდია ივანჩენკოს მოქალაქეობრივი უპასუხისმგებლობა იქამდე მივიდა, რომ მათ აიძულეს თავიანთი 17 წლის ვაჟიშვილი ეთევა, თითქოს თ. ლეკიაშვილის მიერ ნაგადაზღვევებული ფული მას მოეპაროს და ამხანაგებში დაეხარჯოს. ეს იმისათვის, რომ პასუხისმგებლობისაგან ეხსნათ სამართალში მიცემული თ. ლეკიაშვილი. ანალოგიურად ცრუ ჩვენება მისცა მოქ. მ. მიკამ კვლავ თ. ლეკიაშვილის ეპიზოდში.

სასამართლომ გამოიტანა კერძო განჩინებები ცრუ ჩვენებისათვის აღნიშნულ პირთა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიცემის შესახებ.

ამ საქმეზე ფართო საზოგადოებრიობის განსაკუთრებული ინტერესი და აღშფოთება გამოიწვია იმის გამო, რომ უმძიმეს დანაშაულობათა სათავეში იდგა სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, რომელმაც მექრთამეობის ქსელში გააბა მრავალი უნებისყოფი ადამიანი.

დამაფიქრებელია განსასჯელთა შემადგენლობა: რაიადმასკომის აპარატის ოთხი ხელმძღვანელი მუშაკი, მცენიერებათა კანდიდატი, მუშა, სასადილოს მზარეული, დიასახლისი და პენსიონერი.

ჩვენ მოვალეობაა, ძირფესვიანად გავაშიშვლოთ ამ დანაშაულის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ძაფები, რომ სასამართლოდან გამოვიტანოთ საზოგადოებრივი მორალისა და პრაქტიკული პოლიტიკის ვაკეები. საჭიროა პასუხი გავცეს კითხვას: რატომ და რა გარემოებათა გავლენით დაადგა საბჭოთა ორგანოს ხელმძღვანელი ჩვენი მორალისათვის ყველაზე უფრო შეუთავსებელი დანაშაულის — მექრთამეობის გზას. არცთუ ისე იოლია ამ კითხვაზე ობიექტური პასუხის პოვნა, თუმცა მსგავს დანაშაულთა უმთავრესი მიზეზი საზოგადოების ცალკეულ წევრთა კერძომესაკუთრული, მომხვეჭელური მორალია, როდესაც ადამიანის ფულისა და ქონებისადმი არაბუნებრივი, ავადმყოფური მიდრეკილება აქვს.

ეს შემდეგ, რაც ფარდა აეხადა სამართალში მიცემული ი. კობახიძის დანაშაულებრივ საქმიანობას, აღმაშფოთებელია პროცესზე მის მიერ გაკეთებული განმარტება, რომ უკანასკნელ წლებში რაიადმასკომში არ შემოსულა არც ერთი საჩივარი ბინების გაცემასთან დაკავშირებით. ეს განცხადება მან აღმასკომის სრულყოფილი მუშაობის არგუმენტად მოიყვანა. სინამდვილეში კი საქმე პირიქით იყო დაწესებულებას, სადაც მექრთამეობა იყო გაჩაღებული, მოქალაქეები აღარ მიმართავდნენ საჩივრებით, რადვან დარწმუნებული იყვნენ, რომ მათ არავითარი სამართლიანი და კანონიერი გადაწყვეტილება არ მოჰყვებოდა. ამ დანაშაულის მთელი სიმძიმეც ის გახლავთ, რომ ი. კობახიძისა და მის თანამზახველთა საქმიანობა სოციალისტური სახელმწიფოს ორგანოებისადმი უნდობლად განაწყობდა საზოგადოებრიობას. რაიადმასკომისადმი დაკარგულ რწმენაზე მეტყველებს მოწმეების ჩვენებები: ფულის გაღებით ვიცოდით სისხლის სამართლის დანაშაულს რომ ჩავდიოდით, მაგრამ, რა გვექნა, კანონიერი გზით მიმართვისას აღნიშნულ აღმასკომში ყოველთვის უარით გვისტუმრებდნენო.

ყურადღებას იქცევს სასამართლო პროცესზე ი. კობახიძის ჩვენებების სხვა ადგილები: „კოოპერატივის შესახებ წესდების ფურცლები გამოვაკარით აღმასკომში თვალსაჩინო ადგილას, რათა მოქალაქეებს სცოდნოდათ წესები და პირობები“. თითქოს აღნიშნულ აღმასკომში ოფიციალურ წესებს და პირობებს რაიმე ძალა ჰქონდათ, თითქოს ქრთამის გაულებლად, წესდების პირობების თანახმად, შესაძლებელი იყო ბინით უზრუნველყოფილიყავი.

აი ფრაზები სამართალში მიცემულთა და მოწმეთა ჩვენებებიდან, რომლებიც ადასტურებს ზემოთ ნათქვამს: „დარჩენილია ერთი სამოთახიანი ბინა, უნდა 8500 მანეთი“; „დარჩენილია მხოლოდ ორი ბინა“. და ეს ბინები ხელმიუწვდომელი იყო იმათთვის, ვისაც კა-

ნონიერად ეკუთვნოდა, ხოლო იმათთვის, ვინც ფულს იხდიდა, იყიდებოდა როგორც მალაზიაში სამრეწველო საქონელი.

რა შეიძლება ითქვას ამ დანაშაულობათა გამომწვევი მიზეზებისა და ხელშემწყობ გარემოებათა შესახებ?

უმთავრესი ხელშემწყობი პირობა ის არის, რომ 26 კომისრის სახელობის რაისაბჭოს აღმასკომში გამეფებული იყო მომხვეჭელობისა და გამომძალველობის არაჯანსაღი ვითარება, რასაც, უპირველეს ყოვლისა, აღმასკომის ყოფილი თავმჯდომარის ი. კობახიძის ანგარებითი საქმიანობა ასაზრდოებდა. ამ უკანასკნელს, ცხადია, არ ჰქონდა მორალური უფლება კანონების შესრულება მტკიცედ მოეთხოვა აღმასკომის კოლექტივისაგან, მოეთხოვა ასევე საჭირო სახელმწიფო და საწარმოო დისციპლინის დამყარება მის სამოქმედო ტერიტორიაზე მდებარე წარმოება-დანესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელობისაგან.

აღნიშნული აღმასკომის აპარატში მოწყობილი შემონმგებები, რომელ უბანზეც და საკითხზედაც უნდა ყოფილიყო, ფორმალურ ხასიათს ატარებდა, რის გამოც მათ არავითარი მნიშვნელოვანი შედეგი არასოდეს არ მოჰყოლია, მშრომელთა განცხადებებსა და საჩივრებზე მუშაობა წულამდე იყო დაყვანილი.

ამ დანაშაულობებს გარკვეულწილად შეუწყო ხელი იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის დაბალმა დონემ იმ წარმოება-დანესებულებებსა და ორგანიზაციებში, სადაც მუშაობდნენ სამართალში მიცემულები, ასევე ქრთამის მიმცემნი. სასამართლო პროცესზე ასევე გამოიკვეთა ამ პირთა მართლშეგნების დაბალი დონე, რაც მოწმობს, რომ სამართლის პროპაგანდის ღონისძიებანი ბევრგან ფორმალური ხასიათისა იყო. ეს განსაკუთრებით შეეხება მექრთამეობასთან ბრძოლის შესახებ კანონების პროპაგანდას.

მართალია, სასამართლო არ არის საზოგადოებრივი აზრის ორგანო, მაგრამ მან გაიზიარა ამ დანაშაულობებთან დაკავშირებით ჩვენი საზოგადოებრიობის გულისტკივილი, ყურად იღო საზოგადოებრივი სინდისის ხმა, რამაც თავის გამოხატულება პოვა ამ საქმის გამო დადგენილ განაჩენსა და კერძო განჩინებაში. მსჯავრდადებულ ი. კობახიძისა და მის თანამზრახველთა მიერ ჩადენილ დანაშაულთა ხელშემწყობ გარემოებათა აღსაკვეთავად სასამართლომ აღნიშნული დოკუმენტები გადაუგზავნა ქ. თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომს, რომლის მეშვეობითაც ისინი განხილული და დამუშავებული იქნება დედაქალაქის ყველა რაიონის აღმასრულებელ კომიტეტებში, მთელ მოსახლეობაში, რათა ამ დანაშაულობათა გამო გულგატეხილთ დაუბრუნდეთ რწმენა იმისა, რომ მანკიერების ერთეული შემთხვევები ოდნავადაც ვერ შეაფერხებს ჩვენი ქვეყნისა და საზოგადოების ძლევა-მოსილ წინსვლას კომუნიზმისაკენ.

ქალთა საერთაშორისო დღისათვის

რუსუდან თალაკვაძე



რუსუდანის დიდ, მოსიყვარულე ოჯახში ყველას თავისი საზრუნავი აქვს. მან და მისმა მეუღლემ კი ერთი რთული პროფესია აირჩიეს და აი უკვე ოც წელზე მეტია ისინი ერთ-ერთად ემსახურებიან ადვოკატურას.

რუსუდანი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე, 1952 წლიდან ადვოკატად იწყებს მუშაობას. იგი ჯერ სტაჟიორია, ხოლო შემდეგ მისი კოლეგიის სრულუფლებიანი წევრი. 1965 წელს რ. თალაკვაძეს საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის კონსულტატად აწინაურებენ, ხოლო 1973 წლიდან პირველი მისის რაიონის იურიდიული კონსულტაციის გამგეა. რუსუდანის საადვოკატო მოღვაწეობა სავსეა საინტერესო და დამაფიქრებელი ამბებით. ვინ მოთვლის რამდენი გულმოკლული დედა მოსულა მასთან, რამდენი ცრემლი დაღვრილა, რამდენ აცახცახებულ ხელს უთხოვია შველა. იგი ყოველთვის ღირსეულად ასრულებდა დამცველის მაღალ ფუნქციებს.

კონსულტაციაში თვალცრემლიანი ქალი შემოვიდა. შველას ითხოვდა, სიტყვებს ვერ პოულობდა. რუსუდანი გულისყურით უსმენდა, ცდილობდა დაემშვიდებინა... თანდათან ყველაფერი ნათელი გახდა...

ქალს შვილები ჰყავდა, მაგრამ ახლა შემთხვევით გაცნობილი მამაკაცისაგან ელოდა ბავშვს და სამშობიაროში სწორედ ამ კაცის გვარით მიიყვანეს. მალე ქვეყანას ახალი სიცოცხლე მოევლინა. ბავშვის მამამ პირობა შეასრულა და ახლადდაბადებული თავის კანონიერ მეუღლეს მიუყვანა. გატეხილმა ღამეებმა, სანუკვარ არსებაზე მუდმივმა ზრუნვამ დიდი ბედნიერება მოუტანა ოჯახს. მაგრამ სამწუხაროდ მამამ ნელ-ნელა უკლო საქუთარ სახლში სიარულს, თითქოს გულიც გაუცივდა და შეიცვალა. ერთ დღეს კი იგი საბოლოოდ გადასახლდა იმ ქალთან, ვინც იგი მამად აქცია. ასე აღმოჩნდა ბავშვი კანონიერი მშობლებისაგან შორს, დედობილთან, რომელმაც პატარა ყველანაირად გაითავისა, საქუთარ სისხლად და ხორცად იწამა და ვერაფრით შეეგუა იმ აზრს, რომ ჩვილი მისგან წაეყვანათ. მოსახდენი კი მაინც მოხდა. ერთხელ ბავშვი შორეულმა ნათესავმა სახლიდან გაიტყუა და კანონიერ მშობლებს მიჰგვარა,

სასამართლომ არ გაიზიარა რ. თალაკვაძის აზრი და ბავშვი „ნამდვილ“ დედას დაუტოვა. ასეა ხშირად, უცნაურად გადაიჯაჭვება ხოლმე ორივე მხარის ზნეობრივ-სამართლებრივი მოვალეობანი. ძნელია სხვის სულში ხელის ფათური, მაგრამ ადამიანის სულის სიღრმეში ჩანვდომა სავალდებულოა. აკი ამიტომაც უმადლესმა სასამართლომ ბავშვი გამზრდელ დედას არგუნა.

პირველი მისის იურიდიულ კონსულტაციაში, რომელსაც რ. თალაკვაძე უდგას სათავეში, 38 ადვოკატი, მათ შორის ხუთი ახალგაზრდა მუშაობს. მაღალი კვალიფიკაციის იურისტს მრავალი ჯილდო აქვს მიღებული, მრავალჯერ წაუხალისებიათ. არის ამხანაგური სასამართლოების საზოგადოებრივი საბჭოს თავმჯდომარე, პარტიის რაიკომის პარტიული კომისიის წევრი. კითხულობს ლექციებს სამართლებრივ თემებზე. აღსანიშნავია ისიც, რომ იგი პირველი ადვოკატი ქალია, რომელიც სახალხო დეპუტატების რაიონული საბჭოს დეპუტატად აირჩიეს.

მიუხედავად ამდენი მოვალეობისა და საზრუნავისა იგი არასოდეს ჩივის დრო არა მქვსო, არც სიძინელებს ერიდება, ეს მისი ჩვევაა, მისი ხასიათი, ეგებ მისი-თაობის ხასიათიც, რომელმაც თავის ახალგაზრდა მხრებზე გადაიტანა ომის შემდგომი პერიოდის მთელი სიმძიმე.

ზინაიდა ზანდუკელი



საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ჩვენს ქვეყანაში ბევრი პროფესია მხოლოდ მამაკაცთა „პრივილეგიად“ ითვლებოდა. სანთლითაც რომ გეძებთ, ვერ ნახავდით ქალს — პოლიტიკურ მოღვაწეს, მეცნიერს, ინჟინერს, იურისტს... ახლა აღარავის უყვირს, რომ სახალხო მეურნეობის ყველა სფეროში მამაკაცთა მხარდამხარ ქალებიც შრომობენ და ხშირად ტოლსაც არ უდებენ „ძლიერი სქესის“ წარმომადგენლებს.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს თანამშრომელთა შორის დღეს ნახევარზე მეტი ქალია. მათ შორის არის სასამართლო ორგანოების სამმართველოს კონსულტანტი ზინაიდა ზანდუკელი.

სკოლის დამთავრებისთანავე ჩაირიცხა იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. სტუდენტობის პირველი დღეებიდანვე დიდი გატაცებით შეუდგა იურიდიული მეცნიერების დაუფლებას. პარალელურად აქტიურად მონაწილეობდა საზოგადოებრივ საქმიანობაში.

მალე კურსის კომკავშირის ბიუროს მდივანდაც აირჩიეს.

სწრაფად გაიარა სტუდენტობის წლებმა, და ზინაიდა სამართლისმცოდნის სპეციალობის დიპლომით საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროში განაწესეს.

ზ. ზანდუკელი თავდაპირველად იუსტიციის სამინისტროს მოქალაქეთა სამართლებრივი აღზრდისა და პროპაგანდის სამმართველოში მოღვაწეობს, 1975 წლიდან კი სასამართლო ორგანოების სამმართველოშია. სწორედ აქ გამოჩნდა მთელი სისრულით მისი ნიჭი და უნარი, ცოდნა და გამოცდილება, შრომისადმი დამოკიდებულება. მას ამ სამმართველოში ერთ-ერთი რთული და პასუხსაგები საქმე აბარია — მოქალაქეთა განცხადებებისა და საჩივრების განხილვა-გადაწყვეტას განაგებს.

ზ. ზანდუკელი დღენიადგა იღწვის მოქალაქეთა განცხადებებსა და საჩივრებზე მუშაობის მთელი პროცესის სრულყოფისათვის, რადგან მას მტკიცედ სწამს, რომ თითოეული საჩივრის მიღმა დგას ადამიანი, და აქ არა მარტო მისი მოთხოვნების დაკმაყოფილებაა მთავარი, არამედ ფრიად მნიშვნელოვანია საქმის მორალური, ზნეობრივი მხარეც. მართალია, უკანასკნელ ხანს რამდენადმე შემცირდა იმ საჩივრების რიცხვი, რომლებიც კანონიერებისა და მართლწესრიგის დარღვევას, მოქალაქეთა უფლებების შელახვას, ცალკეული მუშაკებისა და ოფიციალურ პირთა ბიუროკრატიულ მოქმედებას შეეხება, მაგრამ ფოსტას ჯერ კიდევ ბევრი წერილი და საჩივარი მოაქვს, სადაც მოქალაქენი აღშფოთებას გამოთქვამენ საქმეთა განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურების, სასამართლო გადაწყვეტილების აღუსრულებლობის, უღირსი მამების მიერ აღიზნების გადახდისაგან თავის არიდების ფაქტების გამო.

ზინაიდა ზანდუკელს, როგორც იტყვიან, საქმე ყოველთვის თავსაყრელად აქვს, მაგრამ მას არასოდეს უღალატია საზოგადოებრივი დავალებებისათვის. მთელი ხუთი წლის მანძილზე სათავეში ედგა იუსტიციის სამინისტროს კომკავშირულ ახალგაზრდობას. მისი უშუალო თაოსნობითა და მონაწილეობით მრავალი სასარგებლო ღონისძიება განხორციელდა. ამიტომ იყო, რომ 1975 წელს აქტიური კომკავშირული მუშაობისათვის დააჯილდოეს საპატიო სიგელით. ზ. ზანდუკელის უანგარო შრომა არც იუსტიციის სამინისტროს ხელმძღვანელობას დაეიწყებია — მრავალგზის გამოეცხადა მადლობა და დაჯილდოვდა ფულადი პრემიით.

1977 წელი განსაკუთრებული იყო მის ცხოვრებაში — იუსტიციის სამინისტროს პარტიულმა ორგანიზაციამ იგი ერთხმად მიიღო პარტიის რიგებში. ამ დღიდან მოყოლებული იგი გაორკეცებული ენერგიით განაგრძობს შრომითს საქმიანობას.

საბჭოთა ქალს არასოდეს აკლდა ჩვენი პარტიისა და მთავრობის მზრუნველობა. ეს

ერთხელ კიდევ დადასტურდა ახლახანს გამართულ სეკპ XXVI ყრილობაზე, რომლის საპატიო ტრიბუნიდან ამხანაგმა ლეონიდ ილიას ძე ბრევენევა განაცხადა: „ჩემი აზრით, ღირს ცალკე შევებოთ ხელმძღვანელ პარტიულ; საბჭოთა, სამეურნეო და სხვა მუშაობაში ქალთა მონაწილეობას, უნდა ვაღიაროთ, რომ პასუხსაგებ პოსტებზე ქალთა დანაწილების შესაძლებლობებს ჯერ კიდევ სრულად არ ვიყენებთ. ასეთი მდგომარეობა უნდა გამოვასწოროთ“.

...გვეწვია შესანიშნავი დღესასწაული — მთელი მსოფლიოს მშრომელ ქალთა ინტერნაციონალური სოლიდარობის დღე. ვულოცავთ ზინაიდა ზანდუქელს გაზაფხულის ამ ღამაზე დღეს და ვუსურვებთ შემდგომ წარმატებებს მუშაობაში, საზოგადოებრივ საქმიანობაში და პირად ცხოვრებაში.

ბელა ბარკანიშვილი.

ეთერ ახალაია



არიან ადამიანები, რომლებიც თავიანთი მიღწევებით არავის არ აოცებენ, მაგრამ მეტად მიმზიდველად და შინაარსიანად ცხოვრობენ. ასეთ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის კონსულტანტი ეთერ ახალაია.

ე. ახალაია ქ. სოხუმში დაიბადა. იზრდებოდა ჯანსაღ ოჯახურ ატმოსფეროში. მაგრამ ოქროს ხანა დიდხანს არ გაგრძელებულა. დიდი სამამულო სისხლიანი ქარიშხალივით შემოიჭრა მათ ოჯახში და ეთერის მამის სიცოცხლე წარიტაცა. დიდი ხნით შეწყდა მათ ოჯახში სიმშვიდე და სიხარული. ობლობით გამოწვეული ტკივილი კი სამუდამო აღმოჩნდა. ეთერ ახალაია დღესაც, როგორც ძვირფას რელიქვიას ისე ინახავს ფრონტიდან მამის გამოგზავნილ გაცრეცილ სამკუთხა ბარათებს, რომლებიც დედაშვილის ცრემლებით არის დანამული.

მამის დაღუპვის შემდეგ ეთერის გულს სევდა მოეძალა, ნლებთან შედარებით სერიოზული გახდა. წიგნებში ჩარგო თავი. ფიქრს მიეძალა, ხანდახან მისი ფიქრი ფიცსა ჰგავდა მამის წინაშე დადებულს.

1951 წელს ბრწყინვალედ ამთავრებს საშუალო სკოლას და მედალს იმსახურებს. სწავლასა და შრომაში წარმატებისათვის აჯილდოვებენ საქართველოს ალკე აფხაზეთის საოლქო კომიტეტის საპატიო სიგელით. მალე სწავლის გასაგრძელებლად შედის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, რომელსაც 1956 წელს ამთავრებს.

იმავე წელს უნივერსიტეტის განაწილებით კავშირგაბმულობის სისტემაში იწყებს მუშაობას. წესიერებით, საქმისადმი ერთგულებით შრომითი კოლექტივის სიყვარული დაიმსახურა. შემდეგ ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოსა და ამიერკავკასიის თბილისის განყოფილებაში იურისკონსულტად მუშაობს.

1976 წლიდან ეთერ ახალაია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის კონსულტანტია. არბიტრაჟის ორგანოებს რთული და პასუხსაგები ფუნქცია აკისრიათ, წყვეტენ საწარმოთა, ორგანიზაციათა სამეურნეო დავალებებს, უზრუნველყოფენ სოციალისტური კანონიერების განუზრებლად დაცვას. სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოები თავიანთ საქმიანობაში ყოველმხრივ იყენებს სამართლებრივ საშუალებებს, რათა გაძლიერდეს სოციალისტური საკუთრების დაცვა; განმტკიცდეს სამეურნეო ანგარიში. ეთერ ახალაია, გულდასმით ეცნობა თითოეულ დავას, ხელშეკრულებას, ყოველ მათგანზე იძლევა საფუძვლიან დასკვნას და ამით ხელს უწყობს სახელშეკრულებო დისციპლინის განმტკიცებას.

ვულოცავთ ეთერს რვა მარტს, ვუსურვებთ პირად ბედნიერებას, შრომით მიღებულ დიდ სიხარულს.



უკრთო სემეცნიერო-ქელაგოგიერ დე სეზოგელოგეივ სეკბიელზე



იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ნიკო წერეთელმა ცხოვრებისა და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის საინტერესო გზა განვლო. მის გამოკვლევებს შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია „მინოდების სამართლებრივი რეგულირება და არბიტრაჟი“, რომელიც 1970 წელს გამოუშვე გამოცემლობა „საბჭოთა საქართველომ“. მინოდების ზამართლებრივ ასპექტს მკვლევარი დიდი ხანია ამუშავებს. ამ საკითხისადმი მიძღვნილი მისი საკანდიდატო ნაშრომი „პასუხისმგებლობა ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა დარღვევისათვის მინოდების რაოდენობისა და ხარისხის შესახებ“ (1965 წ.).

პროფესორი ნ. წერეთელი დიდ ყურადღებას უთმობს სამეურნეო სამართლის საკითხების კვლევას, უმაღლესი სკოლის პრაქტიკაში მის დანერგვას. მეცნიერის ხანგრძლივი კვლევა-ძიების შედეგები ამ დარგში შეჯამებულია მის ფუნდამენტურ გამოკვლევაში „სამეურნეო მართლწესრიგის სრულყოფის პრობლემები და არბიტრაჟი“, რომელ-

მაც ავტორს იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო წოდება მოუპოვა (1971). შესანიშნავი ნაშრომი უძღვნა მკვლევარმა საბჭოთა საოჯახო სამართალსაც (კრებული „სამართლებრივი ცოდნის საფუძვლები“, თბილისი 1977 წ.).

სხვადასხვა დროს საზოგადოება „ცოდნის“ სერიით დაიბეჭდა ნ. წერეთლის რამდენიმე ბროშურა: „მუშა-მოსამსახურეთა სამუშაოზე მიღება და სამუშაოდან გადაყვანა“, „მუშა-მოსამსახურეთა სამუშაოდან დათხოვნა“ (1968 წ.), „ქალთა შრომის სპეციალური გარანტიები სსრ კავშირში“ (1977 წ.) და ა. შ.

ნ. წერეთელი აქტიურად თანამშრომლობს ჟურნალ „საბჭოთა სამართალში“, სადაც სისტემატურად აქვეყნებს მეცნიერულ სტატიებს საბჭოთა სამოქალაქო სამართლის აქტუალურ პრობლემებზე.

ნ. წერეთელი დიდი გულსყურით იკვლევს ეკონომიკური პრობლემების სამართლებრივ ასპექტებსაც. ერთ-ერთ ასეთ საკითხს ეძღვნება მისი გამოკვლევა, რომელიც ახლახან დაიბეჭდა ჟურნალ „ეკონომისტიში“ (№ 10, 1980 წ.).

ნაყოფიერ სამეცნიერო ძიებას ნ. წერეთელი კარგად უთავსებს პედაგოგიურ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას. მსცოვანი მეცნიერი ათეული წლების მანძილზე კითხულობს სამოქალაქო სამართლის, სამეურნეო სამართლის და სხვა კურსებს, არის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამოქალაქო სამართლის კათედრის გამგის მოადგილე.

განაკუთრებით დავალებულია მისგან საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრის იუსტიციის მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების მუდმივმოქმედი რესპუბლიკური კურსები, სადაც პროფესორი ნ. წერეთელი ჩვეული გატაცებით იღვწის დაარსების დღიდანვე, არის მისი ლექტორი, სამეცნიერო-მეთოდოლოგიური საბჭოს, სხვადასხვა კომისიის წევრი, საკვლევო-კომისიის თავმჯდომარე. აქტიურად მონაწილეობს რესპუბლიკურ თუ საკავშირო სამეცნიერო-კონფერენციებში და ა. შ.

ასევე ნაყოფიერია მისი მოღვაწეობა ახლახან შექმნილ სახალხო მეურნეობის მართვის ინსტიტუტშიც.

საჯანგებოდ უნდა აღინიშნოს ნ. წერეთლის ღვაწლი საზოგადოება „ცოდნაში“. წლების მანძილზე იგი ჩვეული გულმოდგინებით იღვწის ამ საზოგადოების სამართლის სამეცნიერო-მეთოდოლოგიური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის პოსტზე და დიდ მუშაობას ეწევა მასებში სამართლებრივი ცოდნის პროპაგანდის ორგანიზაციისათვის.

იგივე ითქმის მის დაუღალავ მოღვაწეობაზე საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს იურისკონსულტთა საბჭოშიც. პროფესორი ნ. წერეთელი ამ საბჭოს უცვლელი თავმჯდომარეა და ყოველ ღონეს ხმარობს რესპუბლიკაში იურიდიული სამსახურის გაუმჯობესებისა და განმტკიცებისთვის.

სამეცნიერო და პედაგოგიურ სარბიელზე მეცნიერის წარმატებით მოღვაწეობაში მცირე როლი როდი შეასრულა პრაქტიკულმა გამოცდილებამ. წინათ იგი ჭიათურისა და ტყიბულის მღაროების იურიდიულ სამსახურს უძღვებოდა, ხოლო 50-იანი წლების შუა ხანებიდან უკვე დედაქალაქშია. ჯერ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის იურიდიულ განყოფილებას ხელმძღვანელობდა, შემდეგ იყო საქართველოს სსრ პროფსაბჭოს იურიდიული კონსულტაციის გამგე, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს უფროსი მეცნიერი კონსულტანტი და სხვ.

სწავლა ნ. წერეთელმა მშობლიურ ცხურკეთში დაიწყო, ხოლო შემდეგ თბილისში განაგრძო. წარჩინებულ სწავლასთან ერთად გატაცებით მუშაობდა მოსწავლეთა ლიტერატურულ წრეში („მისწრაფება“), რომელიც მანვე დააარსა. წრის აქტიური წევრები იყვნენ ალექსანდრა თოიძე, ქუჯი ძიძიშვილი, თამარ ციციშვილი, ვლადიმერ მაჭავარიანი და სხვები. წრეში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა ნ. წერეთლის რეფერატები პოეტ შარლ ბოდლერის, ფილოსოფოს ოსკარდ შპენგლერისა და სხვათა ცხოვრება-მოღვაწეობის ამ თუ იმ ასპექტის შესახებ. ამ წრემ თვალსაჩინო როლი შეასრულა როგორც ნ. წერეთლის, ისე მისი სხვა წევრების ცხოვრებაში.

მოგვიანებით ნ. წერეთელი სკოლაშივე (თბილისის ვაჟთა პირველი გიმნაზია) აარსებს ხელნაწერ ჟურნალს „ავრორას“, რომელშიც აქტიურად თანამშრომლობდნენ გერცელ ბაზოვი, კარლო კალაძე, პლატონ ქიქოძე და სხვები. ჟურნალს მხატვრულად აფორმებდა ნ. წერეთლის მერხის მეგობარი, სსრ კავშირის სახალხო მხატვარი უჩა ჯავარიძე.

ნიჭიერი ყმაწვილის ყოველ წამოწყებას დიდი გულისხმიერებით ეკიდებოდნენ გიმნაზიის მოღვაწენი. — დირექტორი გ. ახვლედიანი, მასწავლებლები ს. გორგაძე, მ. ზანდუკელი და სხვები.

გიმნაზიის დამთავრების შემდეგ ნ. წერეთელმა მშობლიურ ჭიათურას მიაშურა და მშობლების კვალად პედაგოგიურ სარბიელზე დაიწყო მოღვაწეობა. განსაკუთრებით საინტერესო იყო ახალბედა მასწავლებლისათვის ჭიათურის ცხრანლედში გატარებული წლები, სადაც დირექტორად მუშაობდა ცნობილი კრიტიკოსი და საზოგადო მოღვაწე იპოლიტე ვართაგავა.

შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საფუძვლიანი იურიდიული განათლება მიიღო. უნივერსიტეტის სოციალურ-ეკონომიკის ფაკულტეტზე იმ დროს ქართული მეცნიერების ისეთი დიდი წარმომადგენლები მოღვაწეობდნენ, როგორებიც იყვნენ ი. ჯავახიშვილი, გ. ახვლედიანი, შ. ნუცუბიძე, გ. ნანეიშვილი, ლ. ანდრონიკაშვილი, ირ. სურგულაძე, ა. ვაჩიშვილი და სხვები.

ნ. წერეთელი უნივერსიტეტში არა მარტო ღრმად ითვისებდა სასწავლო დისციპლინებს, არამედ აქტიურად მონაწილეობდა სტუდენტთა სამეცნიერო წრის მუშაობაშიც. სტუდენტობაშივე დანერა მან პირველი სამეცნიერო რეფერატი თემაზე: „ბრალი სამოქალაქო სამართალში“, რომელმაც მაღალი შეფასება დაიმსახურა.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ნ. წერეთელი კვლავ ჭიათურას უბრუნდება და იურიდიულ სარბიელზე იღვწის. ამასთან, არც კულტურულ სფეროს ივიწყებს და ენერგიულად თანამშრომლობს ადგილობრივ გაზეთ „ჭიათურის მაღაროელში“, როგორც ხელოვნებისა და ლიტერატურის სექტორის ხელმძღვანელი, სახელმწიფო თეატრში — როგორც სალიტერატურო ნაწილის განყოფილების გამგე, დამწყებ მწერალთა წრის ხელმძღვანელი, ლოტბარი და სხვა.

ნ. წერეთლის ამ პერიოდის მოღვაწეობას, განსაკუთრებით ლიტერატურულ წრეში, გულთბილად იხსენიებს ჩვენი სახელოვანი პოეტი მარიკა ბარათაშვილი. ჭიათურაში შექმნა ნ. წერეთელმა თავისი მშვენიერი პიესა „წილის გულში“. რომელიც დიდი წარმატებით იდგმებოდა მანგანუმის ქალაქის სახელმწიფო თეატრის სცენაზე. ამას მოჰყვა ილია ჭავჭავაძის მკვლელობისადმი მიძღვნილი პიესა „ვერაგთა ტყვია“. მოგვიანებით ნ. წერეთელი არა მარტო წერდა პიესებს, არამედ წარმატებით დგამდა კიდეც მათ. დიდი მოწონება ხვდა, მაგალითად, 40-იან წლებში მის დადგმულ გუსევის პიესას „შენი სიმღერა“.

ნაყოფიერად მუშაობდა ნ. წერეთელი თეატრალური კრიტიკის სფეროშიც. იგი ასზე მეტი კრიტიკული სტატიის ავტორია.

ნ. წერეთლის მრავალმხრივ მოღვაწეობაში მცირე წვლილი როდი ედო ოჯახურ ტრადიციებსაც. თეატრისადმი მის სწრაფვას დიდად ახალისებდა უფროსი დის, გამოჩენილი თეატრალის ვერა წერეთელ-ვარაზიშვილის მოღვაწეობა. მეცნიერებისაკენ კი მას გზას უნათებდნენ სახელოვანი და-ძმის — გამოჩენილი ისტორიკოსის, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის ალექსანდრე წერეთლისა და ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, თბილისის სამხატვრო აკადემიის პროფესორის ალექსანდრა (შურა) წერეთელ-ხუხუნის სახეები. ცხოვრების ამა თუ იმ სფეროში წარმატებით იღვწოდნენ ნ. წერეთლის სხვა და-ძმებიც — ვლადიმერ, მიხეილ, თამარ და ელენე წერეთლები.

ნ. წერეთელმა მშვენიერი ოჯახი შექმნა. მას გვერდს უმშვენებს მეუღლე, ცნობილი მედიკოსი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი თამარ წერეთელი, რომელიც ჩვენი სახელოვანი პოეტისა და პროზაიკოსის გრიგოლ აბაშიძის დაა. მეცნიერ-მუშაკები არიან აგრეთვე მისი ქალიშვილი მზია და შვილიშვილი გიული ალასანია. დიდი ტრადიციები გრძელდება.

ნ. წერეთლის მრავალმხრივი მოღვაწეობა ჯეროვნად დაფასდა. მას ერთ-ერთ პირველს მიენიჭა რესპუბლიკის დამსახურებული იურისტის საპატიო წოდება, დაჯილდოვდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით და სხვა.

დაუცხრომელი ენერგია, რომლითაც დღეს პროფესორი ნ. წერეთელი იღვწის, იმის საიმედო გარანტიად უნდა მივიჩნიოთ, რომ იუბილარი კვლავ ახალ-ახალი წარმატებით გაგვახარებს.

მამია კომახიძე,

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს იუსტიციის ორგანობის მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების მუდმივმოქმედი რესპუბლიკური კურსების დირექტორი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტი.

იური სიხარულიძე,

პროფესორი.

დანიშვნები

სსრ კავშირის გენერალური პროკურორის 1981 წლის 18 მარტის 222-ქ ბრძანებით მესამე კლასის სახელმწიფო მრჩეველი ზაურ მიხეილის ძე კვიციანი დაინიშნა საქართველოს სსრ პროკურატურის საგამოძიებო სამმართველოს უფროსად და განთავისუფლდა საერთო ზედამხედველობის განყოფილების უფროსის მოვალეობისაგან.

1956 წელს დაამთავრა ბათუმის მე-9 საშუალო სკოლა. 1957 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტად. 1962 წელს დაამთავრა უნივერსიტეტის სრული კურსი, მიიღო სპეციალობა — სამართალმცოდნე. იმავე წელს მუშაობას იწყებს პროკურატურის ორგანოებში ოჩამჩირის სარაიონთაშორისო პროკურატურის გამომძიებლად. შემდეგ გადაწყვეთ აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის გამომძიებლად, სადაც მუშაობს 1968 წლის ბოლომდე. 1966 წლამდე იგი აჭარის ასსრ პროკურატურის უფროსი გამომძიებელია, შემდეგ კი ქ. თბილისის პროკურატურის უფროსი გამომძიებელი.

1966 წლის ნოემბრიდან 1972 წლამდე საქართველოს სსრ პროკურატურის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელია.

1972 წელს ზ. მ. კვიციანიას ირჩევენ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრად, სადაც მუშაობს 1974 წლამდე, ორი წლის შემდეგ იგი კვლავ ბრუნდება პროკურატურის ორგანოებში, სადაც თანამდევრულად უჭირავს სამხრეთ ოსეთის ოლქის პროკურორის, საქართველოს სსრ პროკურატურის საერთო ზედამხედველობის უფროსის თანამდებობა. არის საქართველოს სსრ პროკურატურის კოლეგიის წევრი.

ზ. მ. კვიციანიას აღკვეთილია 1951 წლიდან, სკკპ წევრი 1961 წლიდან. სწავლისა და მუშაობის პერიოდში არაერთხელ იყო არჩეული კომკავშირული და პარტიული ორგანიზაციების ბიუროს წევრად.

პროკურატურის ორგანოებში ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის მრავალჯერ არის წახალისებული სსრ კავშირის გენერალური პროკურორის მიერ. მიღებული აქვს მთავრობის ჯილდო.

* * *

სსრ კავშირის გენერალური პროკურორის 1981 წლის 17 მარტის 225-ქ ბრძანებით იუსტიციის მრჩეველი ლევან სვერიანის ძე ქუთათელაძე დაინიშნულია საქართველოს სსრ პროკურატურის საერთო ზედამხედველობის განყოფილების გამგედ. სსრ კავშირის გენერალური პროკურორის 1981 წლის 15 აპრილს 316-ქ ბრძანებით ლევან სვერიანის ძე ქუთათელაძე და მტკიცებულია რესპუბლიკის პროკურატურის კოლეგიის წევრად.

ლევან სვერიანის ძე ქუთათელაძე დაიბადა 1938 წლის 25 მაისს, გიგეიკორის რაიონის სოფელ სერგიეთში, კოლმეურნის ოჯახში. ეროვნებით ქართველია. 1954 წელს დაამთავრა სერგიეთის საშუალო სკოლა, 1960 წელს — საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის ფაკულტეტი, ხოლო 1974 წელს — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. კომკავშირის ორგანოშია 1950 წლიდან, სკკპ წევრია 1961 წლიდან.

ლ. ს. ქუთათელაძე 1960-65 წლებში კომკავშირულ სამუშაოზეა. 1960-62 წლებში მუშაობდა საქართველოს აღკვეთის ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქტორად, 1968-69 წლებში — კომკავშირის ახალციხის რაიკომის პირველ მდივნად. 1965-70 წლებში ჯერ პარტიულ-სახელმწიფო, ხოლო შემდგომ ორგანიზაციის შემდეგ სახალხო კონტროლის ახალციხის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარეა. 1970-71 წლებში მუშაობს რაისაბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილების გამგედ.

1971 წელს ლ. ს. ქუთათელაძე ხასწავლებლად გაიგზავნა ბაქოს სარესპუბლიკათაშორისო უმაღლეს პარტიულ სკოლაში, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1978 წელს. 1978-79 წლებში საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ინსტრუქტორია. 1975 წლის მაისში იგი სამუშაოდ გადააყვავთ საქართველოს სსრ პროკურატურის საერთო ზედამხედველობის განყოფილების პროკურორად. 1979 წლის ივნისში დაწინაურებულ იქნა ამავე განყოფილების უფროსის მოადგილედ. 1981 წლის 17 მარტიდან დანიშნულია საერთო ზედამხედველობის განყოფილების უფროსად.

ლ. ს. ქუთათელაძე 1964-66 წლებში არჩეული იყო საქართველოს ალკ ცენტრალური კომიტეტის წევრად, 1968-73 წლებში — პარ-

ტიის ახალციხის რაიკომის წევრად და სახალხო დეპუტატების რაიონული საბჭოს დეპუტატად. 1968-70 წლებში პარტიის რაიკომის ბიუროს წევრია. სხვადასხვა დროს არჩეული იყო აგრეთვე რაისაბჭოს აღმასკომის წევრად, რაისაბჭოს მუდმივი კომისიის თავმჯდომარედ, რაიკომის აღმინისტრაციული კომისიის თავმჯდომარედ. დაჯილდოებულია მედლით „სრომითი მამაცობისათვის“ ვ. ი. ლენინის დაბადების მე-100 წლისთავთან დაკავშირებით, საქავშირო ალკ ცენტრალური კომიტეტის სამკერდე ნიშნით — „კომკავშირში აქტიური მუშაობისათვის“, სიგელებით. არაერთხელ არის წახალისებული საქართველოს სსრ პროკურორის მიერ.

დაჯილდოება

სსრ კავშირის გენერალური პროკურორის 1981 წლის 4 იანვრის ბრძანებით მთელი რიგი რთული სისხლის სამართლის საქმეთა გამომძიებისა და ამასთანავე ინიციატივისა და პროფესიული ოსტატობის გამოჩენისათვის დაჯილდოებული არიან ფასიანი საჩუქრებით: იუსტიციის უფროსი მრჩეველი სპირიდონ ბაგრატიის ძე ტვილიძე — თბილისის ტრანსპორტის პროკურორის მოადგილე და იუსტიციის მრჩეველი ალბერტ დავთის ძე ჩხატარაშვილი — ქ. თბილისის პროკურატურის საგამომძიებო განყოფილების პროკურორი.

საერთაშორისო კოლოკვიუმი სოციალური დაცვის პრობლემაზე

საზოგადოებისა და ინდივიდის ინტერესების რაციონალური ურთიერთშეხამება ყოველთვის იყო და კვლავაც რჩება სამართლებრივი პოლიტიკის გადაჭრელ ამოცანად დასავლეთის ქვეყნებში. მიუხედავად ამისა, არის რამდენიმე მიმართულება ბურჟუაზიულ იურისპრუდენციაში, რომლებიც მილახლოდნენ ამ ამოცანის სწორად გადაწყვეტას. მათ შორის ყველაზე უფრო პროგრესულია ახალი სოციალური დაცვის თეორია. ამიტომ სრულიად ბუნებრივია, რომ ჩვენში დიდი ყურადღება ეთმობა ამ თეორიის ძირითად დებულებებს. უფრო პეტტი, რამდენიმე წელია, რაც სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი გახდა კოლექტიური წევრი სოციალური დაცვის საერთაშორისო საზოგადოებისა და, მსოფლიოს მრავალ სხვა ქვეყანასთან ერთად, აქტიურად ჩაება მის საქმიანობაში. ამის ერთ-ერთი დადასტურებაა სოციალური დაცვის საერთაშორისო კოლოკვიუმი, რომელიც სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტში მიიწყო მოსკოვში ამა წლის 13-19 ოქტომბერს. აღსანიშნავია, რომ ეს იყო პირველი საბჭოური ღონისძიება, რომელიც ჩვენს ქვეყანაში გაიმართა სოციალური დაცვის საერთაშორისო საზოგადოების ხაზით. ისიც ნიშანდობლივია, რომ კოლოკვიუმში მიმდინა თემა — „დაგვევა, როგორც სოციალური დაცვის რეალიზაციის მეთოდი“; ჩვენში ხომ ვეგმიანობა სისხლის

სამართლის პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია.

კოლოკვიუმზე შეიკრიბნენ არგენტინის და ევროპის 10 ქვეყნის წარმომადგენლები. საბჭოთა კავშირის, ბულგარეთის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, რუმინეთის, იტალიის, ესპანეთის, საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთისა და ჰოლანდიის წარმომადგენლები. კოლოკვიუმს ხელმძღვანელობდნენ სოციალური დაცვის საერთაშორისო საზოგადოების პრეზიდენტი, საფრანგეთის აკადემიის აკადემიკოსი მარკ ანსელი, საზოგადოების გენერალური მდივანი პროფ. ბერია დი არჩენტინო (იტალია) და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორი, პროფ. ვ. კუდრიავცევი.

სოციალური დაცვის დაგვევის საკითხები 4 ჯგუფად დაიყო და განხილულ იქნა სოციოლოგიურ, სისხლის სამართლის, სამედიცინო-ბიოლოგიურ და პენიტენციურ სექციებში. შესაბამისად, მოხსენებები წარმოადგინეს პროფ. სორებმა ა. იაკოვლევმა (სსრ კავშირი), და ლ. ჰულსმანმა (ჰოლანდია), ჯ. პიზაპამ (იტალია) და ი. კარპეცმა (სსრ კავშირი). ბ. ბაიდერმანმა (არგენტინა) და ნ. კუხნეცოვამ (სსრ კავშირი), ნ. სტრუჩკოვმა (სსრ კავშირი) და ფ. მაკ კლინტოკმა (დიდი ბრიტანეთი). მოხსენებებმა დიდი ინტერესი გამოაწვია. გაიმართა დისკუსია, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 40-ზე მეტმა მეცნიერმა თუ პრაქტიკოსმა

1 ახალი სოციალური დაცვის თეორიის ძირითადი პრინციპები ამომწურავად განხილულია მარკ ანსელის სახელგანთქმულ წიგნში, რომელიც რუსულად ითარგმნა და გამოიცა პროფ. ა. პიონტკოვსკის ინიციატივით. იხ. **Марк Ансель. Новая социальная защита (гуманистическое движение в уголовной политике)**, М., 1970. ეს წიგნი მსოფლიოს მრავალ სხვა ქვეყანაშიც არის გამოცემული.

2 ეს საზოგადოება 1947 წელს დაარსდა. მისი პრეზიდენტია მარკ ანსელი. ძირითადი ორგანო, რომელიც ამ საზოგადოების საქმიანობასა და მის მეცნიერულ მიღწევებს აშუქებს, არის **«Revue de science criminelle et de droit penal compare»**. ყურნალის სარედაქციო კოლეგია სათავეში უდგანან მ. ანსელი (რედაქტორი) და ი. მარქსი (გენერალური მდივანი).

3 მოკლე ინფორმაციის ფარგლებში შეუძლებელია ყველაფერი ითქვას მარკ ანსელის პიროვნების შესახებ, რომელიც უსუოდ თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე უფრო გამოჩენილი ფიგურაა სამართლის დარგში. შევნიშნავთ მხოლოდ, რომ დაუღალავ მეცნიერულ მუშაობასთან ერთად იგი საფრანგეთის საკაცაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატასაც ჩელმძღვანელობს.

იურისტმა, მათ შორის მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, სვერდლოვსკის, კლადივოსტოკის, თბილისისა და სხვა ქალაქების წარმომადგენლებმა. თბილისიდან კოლოკვიუმზე გამოვიდა შინდია უგრეხელიძე, რომლის თემა იყო „ბიორითმები და უსაფრთხოების ღონისძიებათა დაგეგმვა“.

კამათის მონაწილეთა განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ორ პრობლემას. პირველი მათგანი დაკავშირებულია სოციალური დაცვის ღონისძიებათა დაგეგმვის შესაძლებლობასთან. გამომსვლელთა უმრავლესობამ ოპტიმისტურად შეაფასა ასეთი შესაძლებლობა, აღიარეს, რომ სოციალური დაცვის ღონისძიებათა დაგეგმვა საესეებით რეალური ამოცანაა, მხოლოდ ეს უნდა ხდებოდეს განსხვავებული მოცულობით — მთელი ქვეყნის მასშტაბით, რეგიონის, შრომითი კოლექტივის თუ მცირე სოციალური ჯგუფის ფარგლებში. ამასთან, დაგეგმვის ვადები და კონკრეტულობის ხარისხი არ შეიძლება ყოველთვის ერთნაირი იყოს, ხაზი გაესვა იმ გარემოებას, რომ აუცილებელია მთავარი ყურადღება მიექცეს მთელი საზოგადოებისა და მასში შემავალი თითოეული ინდივიდის ცხოვრების სოციალური პირობების გაუმჯობესებას; საჭირობოტო სოციალური პრობლემების გადაჭრა ძირითადი სტრატეგიული ხაზი უნდა იყოს დანაშაულობასთან ბრძოლაში.

სოცლისტების მეორე ძირითადი ნაწილი დაეთმო იმის პროგნოზირებას, თუ რა გეზით განვითარდება მომავალში სისხლის სამართალი, სისხლის სამართლის პოლიტიკა თუ პენიტენციური პოლიტიკა. კოლოკვიუმზე გაბატონებული იყო კანონიერებისა და ჰუმანიზმის პროგრესული იდეები, ადამიანის პიროვნებისადმი ყურადღებითა და ღირსებით მოპყრობის სულსკვეთება მაშინაც კი, როდესაც განსაცხელი პიროვნება აშკარად დამნაშავეა. მაგ-

რამ ერთიანი აზრი ვერ შემუშავდა იმის თაობაზე, თუ რა საშუალებებით უნდა ხდებოდეს სამართლებრივი პოლიტიკის მიზნების განხორციელება, რათა საზოგადოება დაზღვეული იყოს დანაშაულისაგან. ხომ არ არის საამისოდ აუცილებელი მაინცდამაინც მკაცრი სასჯელების გამოყენება, ცხადია, კანონის წინაშე ყველას თანასწორობის პირობებში; თუ ასეც შესაძლებელია, რომ შეგადაშიგ შევამკვიროთ სასჯელები, არ გამოვიყენოთ სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა, მის ნაცვლად მივმართოთ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ და სამოქალაქო-სამართლებრივ ღონისძიებებს.

კოლოკვიუმზე კამათი გაიმართა ისეთი პრობლემების ირგვლივ, როგორც არის დელინკვენტური და პრედელინკვენტური პიროვნების ანტროპოლოგიური გამოკვლევის მიზანშეწონილობა, ობიექტური და სუბიექტური მომენტების თანაფარდობა სისხლის სამართალში, სასამართლო მიხედულების ფარგლებში, სისხლის სამართლის გამოჩენა სამართლის სხვა დარგებისაგან და სხვ. ყველა ეს პრობლემა, რომლებსაც ამ ბოლო ხანებში მრავალ ქვეყანაში იკვლევენ, რა თქმა უნდა, ვერ გადაწყდებოდა მოსკოვას კოლოკვიუმზე. მათა გაღრმავებული შესწავლა და საბოლოო გადაწყვეტა მომავლის საქმეა.

მოსკოვის კოლოკვიუმმა კიდევ ერთხელ ნათელყო, რომ სოციალური დაცვის მოძრაობა უცხოური სისხლის სამართლის პოლიტიკის ერთ-ერთი ყველაზე უფრო პროგრესული მიმართულებაა. ამიტომ საბჭოთა იურისტები მზად არიან განვიტარონ ნაყოფიერი თანამშრომლობა სოციალური დაცვის საერთაშორისო საზოგადოებასთან, რომლის მომდევნო X კონგრესი გაიმართება ქ. სალონიკში (საბერძნეთი) 1981 წლის სექტემბერში და მიემდინება თემას — „ქალაქი და დანაშაულობა“.

მ. ბ. სტურუა



გარდაიცვალა ტრანსპორტის პროკურატურის სამტრედიის განყოფილების პროკურორის თანაშემწე, სკკპ წევრი 1958 წლიდან მიხეილ ბარნაბის ძე სტურუა.

მ. ბ. სტურუა დაიბადა 1922 წელს მოსამსახურის ოჯახში. შრომითი საქმიანობა დაიწყო 1938 წლიდან. 1945 წელს, საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1950 წელს. 1951-1958 წ. წ. უნივერსიტეტის სისხლის სამართლის კათედრის ლაბორანტია. 1958 წლიდან 1976 წლამდე, რწმუნების ვადის გასვლამდე, მუშაობს სამტრედიის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარედ, ამის შემდეგ კი პროკურატურის ორგანოებშია.

მ. ბ. სტურუა არაერთხელ იყო არჩეული პარტიის სამტრედიის რაიკომის წევრად და სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს დეპუტატად.

მ. ბ. სტურუა გამოირჩეოდა განსაკუთრებული გულითადობით, თავმდაბლობით და საქმისადმი სიყვარულით, რითაც დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობდა მოსახლეობაში და მეგობართა შორის.

მიხეილ ბარნაბის ძე სტურუას

სახელი დიდხნს ემახსოვრება ყველას, ვინც მას იცნობდა.

ამხსნაბების ჯგუფი.

დ. ი. ჯანჯღავა



გარდაიცვალა 1948 წლიდან სკკპ წევრი, დეწმლობილი იურისტი, რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი, სამამულო ომის ვეტერანი დავით ივანეს ძე ჯანჯღავა.

დ. ჯანჯღავა დაიბადა 1915 წელს ხობის რაიონის სოფელ ახალ ხიბულაში, გლეხის ოჯახში. 1938 წელს ნარაჯენის სუბტროპიკული ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ მუშაობას იწყებს ძველი ხიბულის დაწუებითი სკოლის დირექტორად, 1934 წლიდან კი ხობის მანქანა-ტრაქტორთა სადგურში აგროტექნიკოსია. 1935 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე, რომლის დამთავრების შემდეგ 1939 წელს აირჩიეს თერჯოლის რაიონის სახალხო მოსამართლედ.

1941 წელს დ. ჯანჯღავა გაიწვიეს საბჭოთა არმიის რიგებში ომის შემდეგ მუშაობდა რაიფინგანის გამგის მოადგილედ, პროკურორის თანაშემწედ.

1946-1976 წლებში, ოცდაათი წლის მანძილზე, დ. ჯანჯღავა ხობის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარის პოსტზეა. პენსიაზე გასვლის შემდეგ „საქკომსოფტექნიკის“ რაიონული გაერთიანების იურისკონსულტი იყო.


დ. ჯანჯღავა არაერთხელ ყოფილა არჩეული საქართველოს კომპარტიის ხობის რაიკომის წევრად და სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს დეპუტატად. წლების განმავლობაში იყო

რაიკომის შტატგარეშე და საზოგადოება „ცოდნის“ ლექტორი. გამოირჩეოდა მინდობილი საქმის სიყვარულით და ერთგულებით, იყო მომთხოვნი და პრინციპული, თავაზიანი და გულისხმიერი ადამიანი.

დ. ჯანჭღავას დამსახურება აღინიშნა მთავრობის ჭილღოებით, მიღებული ჰქონდა „ღვინის მესამე ხარისხის ორდენი“ და მედლები. გულმართალი კომუნისტის დ. ი. ჯანჭღავას ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი კოლეგებისა და ამხანაგების გულში.

ამხანაგების ჯგუფი

ა. ა. ლლონგი



ამბროსი მაქსიმეს ძე ლლონგი დაიბადა 1906 წლის 30 მაისს მანარაძის რაიონის სოფელ შემოქმედში.

საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ა. ლლონგმა სწავლა განაგრძო საქართველოს სსრ საბჭოთა აღმშენებლობისა და სამართლის ინსტიტუტში. ჯერ კიდევ სწავლის პერიოდში დაიწყო შრომითი საქმიანობა საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატში.

1931 წელს ა. ლლონგი ამთავრებს უმაღლეს სასწავლებელს და მუშაობას იწყებს ქ. თბილისის 28 კომისიის რაიონის იურიდიული კონსულტაციის გამგედ, ადვოკატთა კოლეგიის წევრად. შემდეგ რაიონული საბჭოს აღმასკომის განმარტელობის დაცვის განყოფილების იურისკონსულტია.

1939 წელს ამბროსი ლლონგი ინიშნება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის იურიდიული განყოფილების გამგედ. 1939-50 წლებში იგი პრეზიდიუმის აპარატის პარტიული კომიტეტის მდივანია, დროებით ასრულებს საქმეთა მმართველის მოვალეობას.

1950 წელს სადირექტივო ორგანოების გადაწყვეტილებით ა. ლლონგი გადააყვავთ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრად და სისხლის სამართლის კოლეგიის თავმჯდომარედ, ამავე დროს იგი უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის წევრია.

1959 წელს ა. ლლონგი კვლავ ბრუნდება სამუშაოდ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში — ჯერ პატიების უამდგომლობათა განხილვის მომხადების ჯგუფის გამგედ, შემდეგ კი, 1977 წლის ივლისამდე, პენსიაში გასვლამდე, მუშაობს პატიების საკითხთა განყოფილების გამგედ.

ამბროსი ლლონგი იყო სკკპ წევრი 1939 წლიდან. ნაყოფიერა და ხანგრძლივი მუშაობისათვის მას ქართველ იურისტთა შორის ერთ-ერთ პირველს მიენიჭა საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტის საპატიო წოდება. დაჯილდოებული იყო „საპატიო ნიშნის“ ორდენით, შვიდი მედლით, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელებით.

ამხანაგების ჯგუფი



ცნობები ავტორთა შესახებ

შენგელია რომან ვარლამის ძე — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, 20 მეცნიერული შრომის, ერთი სახელმძღვანელოს, ერთი მონოგრაფიის და ორი ბროშურის ავტორი, სისტემატურად თანამშრომლობს ჩვენს ჟურნალში.

ტყეშელაშვილი გიორგი ტარნანტის ძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს იურიდიული განყოფილების უფროსი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, 50 შრომის და 5 მონოგრაფიის ავტორი, სისტემატურად თანამშრომლობს ჩვენს ჟურნალში.

საპანელი ბიძინა ვარლამის ძე — იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, 16 შრომის, 2 მონოგრაფიის და 1 ბროშურის ავტორი, სისტემატურად თანამშრომლობს ჩვენს ჟურნალში.

ბაბიანი ანკორ ალექსანდრეს ძე — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სისხლის სამართლის კათედრის პროფესორი, დამნაშავეობის სოციოლოგიის ლაბორატორიის ხელმძღვანელი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, 45 შრომის და 3 მონოგრაფიის ავტორი, სისტემატურად თანამშრომლობს ჩვენს ჟურნალში.

დიდუშელიძე მარინე იოსების ასული — ეკონომ-გეოგრაფი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამნაშავეობის სოციოლოგიის ლაბორატორიის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, მეორედ გამოდის ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.

კობახიძე ავთანდილ ვლადიმერის ძე — თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, 12 მეცნიერული შრომის ავტორი, სისტემატურად თანამშრომლობს ჩვენს ჟურნალში.

ხითაროშვილი ევგენი კავლეს ძე — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი, მეორედ გამოდის ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.

კვანტალიანი გივი შალვას ძე — ქ. თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსი, პირველად გამოდის ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.

კობახიძე მამია სარიტონის ძე — საქართველოს სსრ იუსტიციის ორგანოების მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების მუდმივმოქმედი რესპუბლიკური კურსების დირექტორი, საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, 26 შრომის, მათ შორის ერთი მონოგრაფიის ავტორი, სისტემატურად თანამშრომლობს ჩვენს ჟურნალში.

ხინბროშიძე იური მოსეს ძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, 60 შრომისა და 12 მონოგრაფიის ავტორი, პირველად იბეჭდება ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.

«САВЧОТА САМАРТАЛИ» («Советское право»), № 2, 1981 (на грузинском языке). Двухмесячный научно-практический журнал Министерства юстиции ГССР, Прокуратуры ГССР, Верховного Суда ГССР.

Адрес редакции: Тбилиси, пр. Плеванова, 103. тел. 95-58-87, 95-88-49.

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ

Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

შპს 50 აპპ.

Handwritten signature

0520560 70186

